საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№37 (555)
14 - 20 ოქტომბერი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკების გამართვამ დაგვანახვა, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია

9

## «სისხლის სამართლის საქმე, პირველ რიგში, სააკაშვილის წინააღმდეგ უნდა აღიძრას»

3



„შეუძლებელია, რაღაც კომისიას განესაზღვრა ყველაფერი ისე, რომ იმჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ ყოფილიყო“

ვიქტორ ცაავა:

## თუ საქართველოს ტერიტორიების დაცვა რუსეთუმეობაა, მაშინ მე რუსეთუმე ვარ და ვიქნები!

5



«სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ ყველა ენა, რომლებიც ჩვენი პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობს, სკოლებში ისწავლებოდეს. სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რა განძის პატრონია ეს ქვეყანა და ეს უნდა ასწავლოს მომავალ თაობებსაც. თუკი თურქეთში ტელევიზიებით გადაცემები მიჰყავთ ლაზურ ენაზე, ასწავლიან ამ ენას, მაშ, ჩვენ, ქართველებს, რა გვიდგას წინ?!»




## ივერი მელაშვილს მხოლოდ დავითგარეჯის ტერიტორია არ აქვს მოსადავებელი!

2



## კიდევ ერთხელ და, მგონი, უკანასკნელად — ლიბერასტი უღმერთო დასავლეთი თუ ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი

8

## ВОТ ЭТО, УЖЕ... УЖЕ...

6-7






## ბართოლომეოსმა ვატიკანთან შერწყმის გზები დააკონკრეტა

11



## რაც არ გინახავს, იმას ნახავ!

21



## ევროკავშირი თუ ევროგანხეთქილება: ვითომ მეგობრების ალიანსი დანგრევის პირასაა

14

მოვლენების პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გადაივსო ქვეყანა „ფულგადახდილ-თანამდებობაშეთავაზებული“ უცხო ქვეყნის აგენტურით, რომელიც, თავის მხრივ, ერთადერთ მოვალეობად რუსეთის სხვადასხვა ბრუნვაში და სხვადასხვა ვარიაციით ძაგებასა და შეურაცხყოფას მიიჩნევს!**

# ივერი მელაშვილს მხოლოდ დავითგარეჯის ტერიტორია არ აქვს მოსადავებელი!




**გენერალურმა პროკურატურამ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან სასაზღვრო ზოლზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის, დემარკაციისა და სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, კომისიის ყოფილი წევრი, ექსპერტთა ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი და კომისიის წევრი ნატალია ილიჩოვა დააკავა.**

პროკურატურის მიერ დაკავებული დიპლომატი **ივერი მელაშვილი** მხოლოდ დავითგარეჯის საკითხში არ გამოირჩეოდა საქართველოს ინტერესების დამაზიანებელ დათმობებზე ხელმოწერით. **მის სინდისზეა თურქეთზე აჭარის 6 ათასი ჰექტარი მიწის გასხვისება სასაზღვრო ზოლში.**

ამის შესახებ გთავაზობთ ევრაზიის ინსტიტუტის ვებგვერდზე 2016 წლის აპრილში გამოქვეყნებულ სტატიას. ისმის კითხვა — **ეს ხომ უკვე ქოცების მმართველობის პერიოდში მოხდა?** განა ქოცებმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა დავითგარეჯის მიმართ ნაცების მმართველობის პერიოდში? — რა თქმა უნდა, იცოდნენ. იცოდნენ და დუმდნენ. განაგრძობდნენ „მეგობარი“ აზერბაიჯანისთვის იაფი ბუნებრივი აირის სანაცვლოდ ქრისტიანული სიწმინდეებისა და ქართული მიწების მიყიდვას.

მაშ ასე, **ივერი მელაშვილის 2016 წლის „გმირობა“ „ქართული ოცნების“ მთავრობის დაკვეთით:**

შოკისმომგვრელია თურქულ გაზეთ „დეილი საბაჰ“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც საქართველოში რუსული საინფორმაციო საშუალების გარეშე ვერ მოაღწევდა (პარადოქსია, მაგრამ ასეა — თურქული პრესის მონიტორინგს საქართველოში არავინ აწარმოებს). ირკვევა, რომ **საქართველოს სასაზღვრო ზოლში მდებარე 6 ჰექტარი ტერიტორია ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე უნდა გადაეცეს თურქეთის რესპუბლიკას, მდინარე ჩაქ-სუს (ჯაყისწყალი) კალაპოტის ხელოვნურად შეცვლის საშუალებით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 10-კაციანი დელეგაცია ივერი მელაშვილის ხელმძღვანელობით შეხვედრია თურქ კოლეგებს პოსოფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე და შესაბამის დოკუმენტზე ხელიც მოუწერია.**

მალე გავრცელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომ საქართველოს მხრიდან თითქოს არ ხდება ტერიტორიის დათმობა. როგორც ამ განცხადებაშია ნათქვამი, თურქეთ-საქართველოს 1992 წლის ხელშეკრულების თანახმად, საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის გადახედვას, რედელიმიტაციასა და რედემარკაციას არ ექვემდებარება. აქვე სამინისტრო ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ქართველი ხალხი. კერძოდ, გვარწმუნებენ, რომ თურმე **„ბუნებრივი პირობების ზემოქმედების შედეგად სასაზღვრო მდინარე ჯაყისწყალმა შეიცვალა კალაპოტი. ამჟამად ორ სასაზღვრო მდინარეზე — ჯაყისწყალსა და ქარზამეთისწყალზე — ხორციელდება სამუშაოები ორ მონაკვეთზე შეცვლილი კალაპოტის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების მიზნით. აღნიშნული მდინარეების ბუნებრივი კალაპოტების აღდგენა ხდება 1973 წლის საზღვრის რედემარკაციის მასალების მიხედვით“.**

ჩნდება კითხვა — **1973 წელს კალაპოტშეცვლილი მდინარისთვის „პირვანდელი“ სახის დაბრუნების საკითხი რატომ წამოიჭრა 2016 წელს? რატომ ატყუებს საგარეო საქმეთა სამინისტრო საზოგადოებას და ზემოთ წარმოდგენილი ბუნდოვანი ფორმულირებით ისე წარმოაჩენს ვითარებას, თითქოს მდინარემ ახლახან იცვალა კალაპოტი და ამიტომ თურქული მხარის მოთხოვნა სამართლიანია?** რატომ ვანგრევთ საკუთარი ხელით საბჭოთა კავშირის მიერ დანატოვარ საზღვარს? თუკი მდინარის კალაპოტის ხელოვნური შეცვლა („პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება“) სამართლიანია, რატომ არ მოხდა ეს საბჭოთა კავშირის პერიოდში — 1973-დან 1991 წლამდე, ე.ი., სსრკ-ის დაშლის მომენტამდე?

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მოდური იყო **სერგო ორჯონიკიძის** ლანძღვა, რომლის თაოსნობით საქართველოს ტერიტორიების ნაწილი მეზობელი რესპუბლიკების შემადგენლობაში აღმოჩნდა (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი). „ორჯონიკიძე“ ლამის „მოღალატის“ სინონიმად იქცა. მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ სერგო ორჯონიკიძეს ფულზე არ გაუცვლია ქართული მიწები. იგი მოქმედებდა იმ იდეოლოგიის მიხედვით, რომლისაც სჯეროდა და რომლითაც განმსჭვალული იყო. **ორჯონიკიძე, იდეური „ინტერნაციონალისტი“, საქართველოს აკლებდა ტერიტორიებს, მაგრამ მაინც ერთიანი საბჭოეთის ფარგლებში.** ეს სულაც არ ამართლებს ორჯონიკიძეს, მაგრამ რაღაც რაციონალური ახსნა მის ქმედებებს აქვს. **დღევანდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება კი აბსოლუტურად გაუგებარია. ორჯონიკიძისეულ იდეალიზმს ახლანდელ ბიუროკრატ ვირთხებს ვერ დაავაბრალებ, იმის დაბრალებაც მიჭირს, რომ თურქებმა მათ ფული „ჩაუჯიბეს“. საქმე უნდა გვქონდეს კლინიკურ შემთხვევასთან, მაგრამ არც ეს კლინიკური გარემოება იქნებოდა განმსაზღვრელი, რომ არა უკვე 25-წლიანი მონური დამოკიდებულება უცხოეთის მიმართ — საქართველომ ყველას ყველაფერი უნდა დაუთმოს, ჩვენ გვყავს „პარტნიორი ქვეყნები“, ჩვენ გვმართავენ უცხოეთის ელჩები და მათი ზემდგომი ორგანოები, ჩვენ ვართ მათხოვარი ქვეყანა, არ გვაქვს არც ეროვნული ღირსება და გვინდა, რომ „გვიპატრონონ“.**

ჩვენ არ გვინდა დამოუკიდებლობა და ვერასოდეს ვიქნებით დამოუკიდებელნი. ჩვენ მუდმივად ვეწევით დამოუკიდებლობის იმიტაციას, რომლის ერთადერთ გამოხატულებად რუსეთის ლანძღვა-გინება მიგვაჩნია. **„ჩვენ“ — ამ შემთხვევაში, საქართველოს ბიუროკრატიას ეხება, მადლობა ღმერთს, ხალხს აღარ!**

ამიტომ მაინც ვიმედოვნებ, რომ **ჩვენი ხალხი ხმას ამოიღებს და ჩაშლის მოღალატურ გარიგებას, რომელიც ამ წმინდა დღეებში, ვნების კვირიაკეში, შედგა. მოვუწოდებ ბიუროკრატებს, ნუ დაემსგავსებიან იუდა ისკარიოტელს!**

აქვე დავძენ, რომ ასეთ პატრიოტულ საკითხებში იმედი არ მაქვს იმ ნაძირალა ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლებისა, რომლებიც ბოტანიკური ბაღის „გადასარჩენად“ დარბიან, მაგრამ ახლა, როდესაც საქართველოს ოფიციალურად აკარგვინებენ თუნდაც მცირე, მაგრამ სისხლით მორწყულ, წინაპრების მიერ შემონახულ ტერიტორიას, ხმა აქვთ გაკმენდილი. არადა, თითქოს იდეალური მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ხელისუფლება გააკრიტიკო, მაგრამ არა, ამ თემაზე კრინტსაც არ დაძრავენ საქართველოს რეალური გამყიდველები!

**გულბაათ რცხილაძე**
ge.news-front.info

# რუსოფობიური პროპაგანდა საქართველოს განზრახ დაღუპვის ტოლფასია

**თუ დაკვირვებიხართ, ამ პირტიტველა ღლაპებს, ყოვლად გამოუცდელ და მიმნდობ ახალგაზრდებს, წამდაუწუმ რომ დაატარებენ საზღვარგარეთ, ე.წ. გადამზადების კურსებსა თუ სხვა ოფიციალურად გაცხადებული მიზეზით, სინამდვილეში გადაბირების კურსებზე დაჰყავთ, ამზადებენ სხვა ქვეყნის დავალებების უპირობოდ შესასრულებლად — იბირებენ აგენტებად და ორ-სამ თვეში ჩამოდიან „ტვინითგადაჭედილ-გავსებულები“, სხვადასხვა წოდებით აღჭურვილები და მინისტრობასაც გამოჰკრავენ ხოლმე ხელს ან სხვა თანამდებობაზე ინიშნებიან.**

ასე ივსებოდა და დღესაც ივსება მიკრობებივით გავრცელებული არასამთავრობოები „სოროს-კმარას“ ჯიშის აგენტურით, რაშიც, სამწუხაროდ, არასამთავრობოებს არც სახელმწიფო სტრუქტურები ჩამორჩება. **ასე გადაივსო ქვეყანა „ფულგადახდილ-თანამდებობაშეთავაზებული“ უცხო ქვეყნის აგენტურით, რომელიც, თავის მხრივ, ერთადერთ მოვალეობად რუსეთის სხვადასხვა ბრუნვაში და სხვადასხვა ვარიაციით ძაგებასა და შეურაცხყოფას მიიჩნევს!** მით უმეტეს, რომ მათი ეს პოზიცია გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვის ლოგიკურ ჯაჭვში ადვილად თავსდება: **„რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები“** — ეს ხომ ყოველ მეორე წინადადებად არის „ნაკურთხი“ ჩვენთან. **შესაბამისად, ვინც რუსეთს აგინებს, პატრიოტი და ერისკაცია. მერე რა, რომ საქმეში ჩახედული და კომპეტენტური პიროვნებები კარგად შიფრავენ დასავლეთის კაბინეტებში დაგეგმილ და ჩაფიქრებულ ამ მრავალსვლიან კომბინაციას და თავში იცემენ ხელს, რადგან მეზობელი რუსეთის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი მსგავსი დამოკიდებულება საქართველოს გეოპოლიტიკურ ჩიხში შეყვანის საუკეთესო საშუალებაა.** აკი დავდივართ 30 წელი ამ მოჯადოებულ წრეზე, მაგრამ ეს სიმართლე ბევრისთვის მიუწვდომელი და გაუგებარია, ბევრისთვის კი — აპრიორი „რუსული ნარატივი“, რადგან არც ერთი ელექტრონული მედიასაშუალება ამ თემას არ აშუქებს. ამდენი ათწლეულებია, ამ თემას ტაბუ ადევს. **ვინც ამ თემაზე ლაპარაკს დააპირებს, რუსეთუმეს, კრემლის აგენტს უწოდებს და ჩასარეცხ მასად მოიხსენიებს ეს თვითონ მართლაც დასავლეთის შტატიანი აგენტურა.** ქვეყანაში უცხო ქვეყნის აგენტურის გამოვლენა და დაკავება უშიშროების სამსახურის პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ ცხადია, ეს არ კეთდება, რადგან **სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებელ ქვეყანაში „მუსიკის დამკვეთის“ მიერ გადაბირებული აგენტურა ხომ „წმინდათა წმინდას“ კატეგორიას მიეკუთვნება და ხელშეუხებელია.**




მოკლედ, ბუტაფორიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც სახელმწიფო დონეზე მიმდინარეობს ვითომ ევროპული ტიპის დამოუკიდებლობანას თამაში. მას ახლავს, ასევე, ბუტაფორიული ვითომდემოკრატიის თამაში, ლგბტ-ის გაუგებარი უფლებების დაცვის პრიორიტეტულობით, ყველას უფლებების დაცვით, გარდა საქართველოსა და მისი გონიერი ნაწილის უფლებებისა, შესაბამისად, **ამ ქვეყანაში კანონს ძალა არ აქვს, კანონი კანონობს შერჩევით, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი საქართველოში არ კანონობს. პლატონის** ცნობილი ფრაზა — „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ დაღუპვას, რომელშიც კანონს არ გააჩნია ძალა და ვინმეს ძალაუფლების ქვეშ იმყოფება“ — ჩვენს მდგომარეობაზეა ნათქვამი. საქართველოში კანონი არათუ ვინმეს ძალაუფლების ქვეშაა, არამედ ეს „ვინმე“ ქვეყნის გარეთ არის, უცხო ძალას წარმოადგენს (ოღონდ, არა რუსეთს). გამოდის, რომ **კანონი ჩვენთან ორმაგად ვერ კანონობს და საქართველოს ჯერ კიდევ არშემდგარი სახელმწიფოებრიობის დაღუპვა დროის ამბავია. არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობა იღუპება, არამედ ქართველობა, როგორც ერი. ეს ისევ და ისევ ახალგაზრდების ამ გადაბირებით და მათი გამოთაყვანებით ხდება.** ანტირუსული პროპაგანდა ბევრ ისეთ ელემენტს შეიცავს, რომლებიც ძირს უთხრის მათში რელიგიისადმი, სამხედრო საქმისადმი, ყოველგვარი ტრადიციულისადმი ინტერესსა და ერთგულებას, ყოველივე იმას, რასაც იგივე პლატონი ბავშვების აღზრდის ფუნდამენტურ საფუძვლად მიიჩნევდა. დიდ ფილოსოფოს პლატონს ვიხმობთ იმის საჩვენებლად, რომ ის ფასეულობები, რომლებსაც დღეს უტევენ რუსოფობიული პროპაგანდის გზით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ყველა დროსა და ქვეყანაში აქტუალურია. ასე რომ, ან ამ მწარე და უმძიმეს რეალობას თვალს გავუსწორებთ და ვაღიარებთ, ან გავაგრძელებთ მოჯადოებულ წრეზე 30-წლიან სიარულს, ოღონდ ნუ დაგვავიწყდებათ, რომ წრეზე დავდივართ და არა საქართველოს ნათელი და ბედნიერი მომავლისკენ!

**კონსტანტინე ჩიკვილაძე,**
**იურისტი, ქართულ-რუსული ურთიერთობების სპეციალისტი**
ge.news-front.info

„ხელისუფლებაც და მისი ე.წ. პროდასავლური ოპოზიციაც, ჩვენდა საუბედუროდ, თამაშობს ერთ პოლიტიკურ სპექტაკლს: ერთი ქმნის ილუზიას, რომ სამართლიანობის აღდგენა მიმდინარეობს, მეორე — რომ პოლიტიკური რეპრესიების მორიგი ტალღა დაიწყო. სინამდვილეში არც ერთი ხდება და არც მეორე, ისინი მხოლოდ ინარჩუნებენ ძალაუფლებას“

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნანა კაკაბაძე:

# სისხლის სამართლის საქმე, პირველ რიგში, სააკაშვილის წინააღმდეგ უნდა აღიძრას

**მას შემდეგ, რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დავითგარეჯაზე განცხადება გაავრცელა და უწყების ხელმძღვანელის პირით საზოგადოებას ამცნო, რომ ახალმა კარტოგრაფიულმა მასალებმა, შესაძლოა, საქმის ვითარება არსებითად შეცვალოს, საკითხის გარშემო, როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ისე მედიაში აჟიოტაჟი არ წყდება. წინა და მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელთა ურთიერთბრალდებები ვითარებას კიდევ უფრო ძაბავს. როგორც ჩანს, ეს თემა ფართო განხილვის საგანი კიდევ დიდხანს იქნება, მით უფრო, რომ მთავარმა პროკურატურამ სახელმწიფო საზღვრის დამდგენი წინა კომისიის საქმიანობის შესწავლა დაიწყო და ამ კომისიის ორი ყოფილი წევრი დააკავა. რა მასალები შეიძლება ჰქონდეს პროკურატურას და მოსალოდნელია თუ არა, რომ გამოძიების პროცესში სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხიც გამოიკვეთოს? გვესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ სახელმწიფო საზღვრის დამდგენი სპეციალური კომისიის ორი ყოფილი წევრის, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას, დაკავებამ პოლიტიკურ სპექტრში მღელვარება გამოიწვია. ოპონენტები ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნასა და რეპრესიებში ადანაშაულებენ. ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოება ერთგვარ ინფორმაციულ ვაკუუმშია — არავინ იცის, რეალურად რა მიმართულებით წარმოებს გამოძიება და კონკრეტულად რა მასალები აქვს სამართალდამცავ ორგანოებს. რა შედეგამდე შეიძლება საბოლოოდ მიგვიყვანოს ამ ყველაფერმა და ხომ არ ფიქრობთ, რომ გამოძიების პროცესში კიდევ სხვა პირების პასუხისმგებლობაც შეიძლება გამოიკვეთოს?**

— ძალიან რთული და საფრთხილო თემაა იმ თვალსაზრისით, რომ, ჯერ ერთი, საქმე ეხება სახელმწიფო საზღვარს, რომელიც დასადგენია; და მეორე — საუბარია სამართლებრივ პროცესზე. მხედველობაში მაქვს ის, რომ იკვეთება დანაშაული, როგორც პროკურატურა ამბობს, და დგება კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც, თუ ობიექტურ გამოძიებასა და სამართლებრივ პროცესზე ვსაუბრობთ, ბოლომდე უნდა მიიყვანონ. რაც შეეხება აღძრულ საქმესა და წაყენებულ ბრალდებებს, ცხადია, თავისთავად მისასალმებელია ფაქტი, როცა მართლმსაჯულება დანაშაულზე რეაგირებს და შესაბამისად მოქმედებს, მაგრამ არის რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც, ვფიქრობ, გარკვეულ ეჭვებსა და უნდობლობას აჩენს ამ პროცესისადმი. რას ვგულისხმობ?

დავიწყოთ იმით, რომ სახელმწიფო საზღვრის დადგენა, მათ შორის მეზობელ აზერბაიჯანთან, 2007-2008 წლებიდან მიმდინარეობს. იყო აქტიური პროცესი და შეხვედრები. ჩნდება შეკითხვა: ხელისუფლების შეცვლიდან რვა წელი გავიდა და ამდენი ხანი რატომ დასჭირდა მართლმსაჯულებას ამ საქმეში არსებული დარღვევების გამოსაძიებლად? სწორად გამიგეთ, არ ვამბობ, რომ ვიღაც უსამართლოდ დაიჭირეს, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ რეპრესიებს ახორციელებს და ა.შ., მაგრამ აქამდე რატომ არ იყო ეს საქმე გამოძიებული და რატომ არ იყვნენ დამნაშავეები დაჭერილნი?!

ეს ერთი. ახლა მეორე — **ის ორი პიროვნება, რომლებსაც სახელმწიფო უმძიმეს დანაშაულს ედავება, დაკავებულია 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემისკენ მიმართულ ქმედებას. ეს თავისთავად არასწორი კვალიფიკაციაა და ვფიქრობ, რომ შეცდომაა, იმიტომ, რომ ტერიტორია კი არ გადაუციათ, მოხდა გადაცემისთვის მომზადება.** კომისიას რა უფლებამოსილება ჰქონდა, რომ გადაეცა?! ანუ, აბსოლუტურად სხვადასხვა მუხლებია, თუმცა დანაშაულის მომზადებაც არანაკლებ მძიმე მუხლია, ვიდრე თვით დანაშაული.

**— უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ ამ თემაზე. ის, რომ დაკავებულ პირებს არასწორად წაუყენეს ბრალი და რეალურად ისინი დანაშაულის მომმზადებლები არიან, ნიშნავს თუ არა ამ საქმეში სხვა პირების მონაწილეობასაც (წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ვგულისხმობ)?**

— ეს უკვე გამოძიების საქმეა, გამოძიება კი ვალდებულია, გამოავლინოს ყველა დამნაშავე, რომლებიც რამე ფორმით მონაწილეობდნენ დანაშაულში. რაც შეეხება დაკავებულებს, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: მისასალმებელია, რომ ესოდენ მნიშვნელოვან საქმეზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ, **თუ ვსაუბრობთ სამართლებრივ პროცესზე, მაშინ ყველაფერი კანონის შესაბამისად უნდა გაკეთდეს. არ შეიძლება, დანაშაული მთლიანად იმ ადამიანებს აჰკიდო, რომლებიც მხოლოდ შემსრულებლები შეიძლება ყოფილიყვნენ. ეს არის ჯოხის გადატეხვა დაბალ ეშელონზე, იმიტომ, რომ შეუძლებელია, რაღაც კომისიას განესაზღვრა ყველაფერი ისე, რომ იმჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ ყოფილიყო.** კიდევ ვიმეორებ: სახელმწიფო საზღვრის დამდგენი კომისიის ყოფილი წევრების მიმართ საქმე უნდა აღძრულიყო მუხლით, რომელიც გულისხმობს დანაშაულის მომზადებას და ესეც, რა თქმა უნდა, მძიმე მუხლია, მაგრამ ამ შემთხვევაში იურიდიული კვალიფიკაცია იქნებოდა ზუსტი... რაც შეეხება მათ, ვინც ეს დანაშაული დაუკვეთა, პირველ რიგში, მათ მიმართ უნდა აღძრულიყო საქმე მუხლით, რომელიც გულისხმობს დანაშაულის ჩადენის მცდელობას.

> «თუ ვსაუბრობთ სამართლებრივ პროცესზე, ყველაფერი კანონის შესაბამისად უნდა გაკეთდეს. არ შეიძლება, დანაშაული მთლიანად იმ ადამიანებს აჰკიდო, რომლებიც მხოლოდ შემსრულებლები შეიძლება ყოფილიყვნენ, ეს არის ჯოხის გადატეხვა დაბალ ეშელონზე. შეუძლებელია, რაღაც კომისიას განესაზღვრა ყველაფერი ისე, რომ იმჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქმის კურსში არ ყოფილიყო»

**— თქვენი აზრით, რამ შეუშალა საგამოძიებო ორგანოებს ხელი, რომ, უპირველესად, დანაშაულის რეალურ მოთავეებს ეგოთ პასუხი (როგორც თქვენ აღნიშნეთ) და სამართლებრივი დევნა მხოლოდ დაბალი ეშელონების წინააღმდეგ არ დაწყებულიყო?**

— რამ შეუშალათ თავის დროზე ხელი, სათავეში მოსვლის შემდეგ მთავარი წინასაარჩევნო დაპირება რომ შეესრულებინათ და სამართლიანობა აღედგინათ?! რამ შეუშალათ ხელი, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი მთავარ ოპოზიციად კი არ გამოეცხადებინათ, არამედ უმძიმესი დანაშაულებისთვის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცათ და კანონის შესაბამისად დაესაჯათ?! იმის თქმა მინდა, რომ **ხელისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულა და, ალბათ, ვერც გამოვა ე.წ. კოაბიტაციის ხიბლიდან, ამ ყველაფერს იყენებს გარკვეული პოპულიზმისთვის. რეალურად მიზანი ის კი არ არის, რომ დანაშაული გამოიძიონ და დამნაშავეები დასაჯონ, არამედ ის, რომ გარკვეული ქულები დაიწერონ.** მოგეხსენებათ, ახლა არჩევნებია და ჰაერივით სჭირდებათ პიარი. ხელისუფლებას რეალურად რომ სურდეს ამ საქმის გამოძიება, პირველ რიგში, დაიჭერდნენ დანაშაულის დამკვეთებს. დანაშაულის თავი ამ შემთხვევაში არის იმჟამინდელი პირველი პირი, ამიტომ **რეალურ გამოძიებაზე თუა საუბარი, სააკაშვილის წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. აი, ეს იქნება იურიდიულად სწორი და სამართლიანი მიდგომა, მაგრამ ხელისუფლება, რომელმაც თავის დროზე წარმოუდგენელი უსინდისობა იკადრა კოაბიტაციის სახელით და დღემდე ამ კოაბიტაციაშია სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რა თქმა უნდა, ამის გამკეთებელი არ არის...**

**— ვთქვათ, ხელისუფლების მხრიდან საზღვრის დამდგენი კომისიის ორი ყოფილი წევრის დაკავება მართლა წინასაარჩევნო პიარის ნაწილია, როგორ ფიქრობთ, ეს რას აძლევს მმართველ გუნდს? ამით მისმა რეიტინგმა შეიძლება მოიმატოს? და კიდევ — ახალმა კარტოგრაფიულმა მასალებმა, რომლებიც ჯერჯერობით უცნობია ფართო საზოგადოებისთვის, რა სიახლე შეიძლება შეიტანოს საქართველო-აზერბაიჯანს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში?**

— ამ ხელისუფლებას ახასიათებს გარკვეული ილუზიების შექმნა. ადრეც რამდენიმეჯერ იყო მცდელობა, რაღაც წარმოდგენები შეექმნათ, თითქოს სამართლიანობის აღდგენა დაიწყო. გაიხსენეთ **ირაკლი ოქრუაშვილის** დაკავება ან **გიგი უგულავასი,** რომლებიც თითის ქნევით მალევე გამოაშვებინეს. თუმცა, ვფიქრობ, საზოგადოება მაინც ხედავს თეთრსა და შავს. ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ კონკრეტულ დანაშაულზე შემსრულებელს აკავებენ და დამკვეთზე საერთოდ არ საუბრობენ, ყველას აეჭვებს; ყველას უჩნდება შეკითხვა: როგორ შეიძლება, ვიღაც მელაშვილი და ილიჩოვა ყოფილიყვნენ დამნაშავეები ტერიტორიების გადაცემაში უცხო სახელმწიფოსთვის და არ იყოს დამნაშავე **სააკაშვილი,** არ იყოს დამნაშავე უშიშროების იმჟამინდელი საბჭო?.. რაც შეეხება ახალ კარტოგრაფიულ მასალას და მიმდინარე მოლაპარაკებებს, არ მგონია, აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ფიქრობდეს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, განსხვავებით წინასგან, დაარღვევს კანონს და კანონის გვერდის ავლით რაღაც მოღალატეობრივ გარიგებაზე წავა. **ვფიქრობ, ოფიციალური ბაქო მზადაა, აღსრულდეს ის შეთანხმება ორ ქვეყანას შორის, რომელსაც 1996-97 წლებში მოაწერეს ხელი. საუბარია 1938 წლის რუკის საფუძველზე მიღწეულ შეთანხმებაზე, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს აზერბაიჯანი ომობს მეზობელ სომხეთთან და მას პრაქტიკულად არ სცალია ამ საკითხისთვის.** დანარჩენი ვნახოთ, როცა დამყარდება მშვიდობა რეგიონში, თუ მოხდა ახლო მომავალში ასეთი რამ, შეიძლება არსებთად შეიცვალოს მოლაპარაკების დინამიკა.

**— სხვათა შორის, ნაცები და ევრონაცები ბოლო პერიოდში აქტიური პროპაგანდით ცდილობენ საზოგადოების დარწმუნებას, რომ თურმე ხელისუფლების მიერ მოძიებული ახალი კარტოგრაფიული მასალა რუსეთიდან შემოგდებული პროვოკაციაა საქართველო-აზერბაიჯანს შორის დაძაბულობის გაჩენის მიზნით. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— გადაჭრით რთულია, რა თქმა უნდა, საუბარი, მაგრამ საკმარისია, შევხედოთ, ვისგან მოდის ეს პროპაგანდა და უკვე ყველაფერი გასაგებია. **ამას ამბობენ ბოკერიები, უგულავები, ოქრუაშვილები, ვაშაძეები და სხვანი — ადამიანები, რომლებიც, პირველ რიგში, თვითონ უნდა ისხდნენ ციხეში, როგორც მიწის გამსხვისებელი მოღალატეები და მხოლოდ მათ შემდეგ შეიძლება აღძრულიყო საქმე იმ ორი ადამიანის წინააღმდეგ.**

რაც შეეხება კონკრეტულ შეფასებებს რუსეთიდან შემოგდებულ პროვოკაციაზე, მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ ერთიცა და მეორეც — **ხელისუფლებაც და მისი ე.წ. პროდასავლური ოპოზიციაც, ჩვენდა საუბედუროდ, თამაშობს ერთ პოლიტიკურ სპექტაკლს: ერთი ქმნის ილუზიას, რომ სამართლიანობის აღდგენა მიმდინარეობს, ხოლო მეორე — რომ პოლიტიკური რეპრესიების მორიგი ტალღა დაიწყო. სინამდვილეში არც ერთი ხდება და არც მეორე. ისინი მხოლოდ ინარჩუნებენ ძალაუფლებას...** აი, ეს არის ჩვენი სამწუხარო რეალობა და მოცემულობა, რომელიც ჯერჯერობით არ იცვლება. და, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს ვერ შეიცვლება, იმიტომ, რომ ამის არც ნება არსებობს დღეს ქვეყანაში და არც რეალური შესაძლებლობა...

> ხელისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოსულა და, ალბათ, ვერც გამოვა ე.წ. კოაბიტაციის ხიბლიდან, ამ ყველაფერს იყენებს გარკვეული პოპულიზმისთვის. რეალურად მიზანი ის კი არ არის, რომ დანაშაული გამოიძიონ და დამნაშავეები დასაჯონ, არამედ ის, რომ გარკვეული ქულები დაიწერონ

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რუსეთი ამ კონფლიქტში, სამხედრო თვალსაზრისით, თითს არ გაანძრევს მანამ, სანამ აზერბაიჯანი საომარ მოქმედებებს არ გადაიტანს სომხეთის ტერიტორიაზე, იმიტომ, რომ ყარაბაღი არ არის, გასხვავებით სომხეთისგან, დსთ-ის ფარგლებში მოქმედი კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების მონაწილე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რეგიონის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება მოსკოვს არასოდეს აუღია“.



# სოსო ცინცაძე: საქართველო ჯერ უნდა გათავისუფლდეს ამ ვირტუალური შანტაჟისგან და შემდეგ შეიძლება რეალური ნაბიჯების გადადგმა სალი, კვალიფიციური დიპლომატიის ჩამოყალიბებისკენ

**სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიმდინარე ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება რომ შეიძლება ორი ქვეყნის ფარგლებს გასცდეს და არც ისე შორეულ მომავალში რეგიონის გეოპოლიტიკა შეცვალოს, ცხადზე ცხადია. ამაზე ექსპერტებიც საჯაროდ საუბრობენ და პოლიტიკოსებიც (როგორც ქართველი, ისე უცხოელი). მეტიც, ბოლო პერიოდში პროცესების დინამიკა (მაგალითად, მხარეებს შორის ურთიერთბრალდებები, რომ მოწინააღმდეგე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას არღვევს) აჩვენებს, რომ, მოლაპარაკებებისკენ გადადგმული პირველი რეალური ნაბიჯების მიუხედავად, დაპირისპირება მწვავდება და კონფლიქტი სრულ (სამხრეთკავკასიურ) ჰუმანიტარულ კატასტროფამდე მიდის. თუმცა მთავარი შეკითხვა, რომელიც აღნიშნული პროცესების ფონზე საქართველოს, როგორც რეგიონის გეოპოლიტიკური გასაღების, კონტექსტში ჩნდება, არის ერთადერთი — რა სახით შეიძლება, შეეხოს ჩვენს ქვეყანას ეს კონფლიქტი და რის გაკეთებაა აუცილებელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად?**

ბევრის აზრით (მათ შორის ანალიტიკოსების გარკვეული ნაწილის შეფასებებითაც), ოფიციალურ თბილისს მიმდინარე პროცესებში ჯერჯერობით ადეკვატური პოზიცია უკავია და ის ორივე ქვეყნისადმი ფრთხილ, პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნებაზე გათვლილი მიდგომებით ხელმძღვანელობაში გამოიხატება, თუმცა ამგვარ შეფასებებთან ერთად ისმის განცხადებებიც, რომ ხელისუფლება სტრატეგიულ შეცდომას უშვებს; მაგალითად, იმ თვალსაზრისით, რომ თურმე იგი უფრო აქტიურად არ თუ ვერ ცდილობს საერთაშორისო საზოგადოების ჩართვას მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირებაში, ან იმ თვალსაზრისით, რომ ის თურმე, ფაქტობრივად, ვერ უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ქვეყანას თავიდან ააცილებს რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიის ე.წ. ჰუმანიტარულ დერეფნად შესაძლო გამოყენებას.

**რა გავლენას იქონიებს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაპირიპირება კავკასიის რეგიონზე და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დააყენოს საქართველო ამ კონფლიქტმა გრძელვადიან პერსპექტივაში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ექსპერტი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაპირისპირებაზე როგორც პოლიტიკოსები, ისე ანალიტიკოსები ბევრს ლაპარაკობენ, არის სხვადასხვა მოსაზრება. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს დაპირისპირება, თუ ის სამშვიდობო მოლაპარაკებით არ დასრულდება (მოსკოვში მიღწეული შეთანხმება ნაწილობრივ დაირღვა), რეგიონში სერიოზულ რყევებს გამოიწვევს, ბევრიც კავკასიურ კრიზისზე აკეთებს მინიშნებას. ჩვენ რა ფორმით შეიძლება შეგვეხოს ეს ყველაფერი და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას?**

— ეს პროცესები: ჯერ დაძაბულობა ორ სახელმწიფოს შორის, შემდეგ საომარი რიტორიკა, შემდეგ მზადება ომისთვის და ბოლოს უკვე საომარი მოქმედებები, რომლებიც დღემდე გრძელდება, როგორც ჩანს, ასე მარტივად ვერ დამთავრდება და შეიძლება ერთგვარ საინტერესო პრეცედენტადაც იქცეს მსოფლიოში. ვგულისხმობ იმას, რომ პირველად რეგიონში ტერიტორიული მთლიანობა, თუნდაც ნაწილობრივ, შეიძლება აღდგეს არა მშვიდობიანი, არა მოლაპარაკების გზით. ამას იდეაში ვამბობ. ასეთი პრეცენდენტი ძნელად მახსენდება მსოფლიოს ისტორიაში, თუ არ ჩავთვლით აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს, 130-მილიონიანი ნიგერიის შემთხვევას. ნიგერიას გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთით გამოეყო სეპარატისტული რაიონი, რომელიც ნავთობით მდიდარი იყო და, ბუნებრივია, ამ რეგიონს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის. 30 თვეს გაგრძელდა ომი და ბოლოს ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ნიგერიამ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა. სხვათა შორის, ეს ის პერიოდია, როდესაც აფრიკაში დაიღუპა თუ მოკლეს გაეროს გენერალური მდივანი **დაგ ჰამარშელდი**.

ახლა რა ვითარებაა სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებაში. მთავარი, რომელზეც ბევრი რატომღაც არ ამახვილებს ყურადღებას, არის ის, რომ აზერბაიჯანი ითხოვს სუბსტანციურ მოლაპარაკებას. ეს ნიშნავს საფუძვლიან დიალოგს, რომელიც გარკვეული წინაპირობებით იდეაშივე რეალურ შედეგზე იქნება ორიენტირებული და არა, ვთქვათ, იმაზე, რომ კონფლიქტი შეწყდეს იქ, სადაც რომელიმე მხარეს ხელს არ აძლევს. სხვათა შორის, აზერბაიჯანი, ბოლო 10 წელია, სულ მოითხოვდა ამ მოლაპარაკებას, მაგრამ სომხეთი არ თანხმდებოდა. სომხეთს სურს მოლაპარაკება, რომელიც დაამყარებს მშვიდობას და არსებულ სტატუს-კვოს შეუნარჩუნებს, თუმცა **ილჰამ ილიევის** პოზიცია ურყევია...

**— გამოდის, რომ მოსკოვში გამართული შეხვედრა და ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმება არსებით შედეგს ვერ მოიტანს?**

— ძნელია, ასე გადაჭრით დასკვნის გამოტანა, მაგრამ ფაქტია: მოსკოვში გამართული შეხვედრის შემდეგ პირველად გამოქვეყნებულ ოთხ თუ ხუთპუნქტიან შეთანხმებაში ერთ-ერთი პუნქტი ეხებოდა სწორედ სუბსტანციური დიალოგის აუცილებლობას, რომელიც, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანის ინტერესშია, თუმცა შემდეგ უკვე ამ დოკუმენტიდან სიტყვა სუბსტანციური გაქრა. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ყველაფერი სომხეთის მხარის ინიციატივით მოხდა. რაც შეეხება მოსალოდნელ შედეგებს, პრაქტიკულად, გამორიცხული მგონია, რომ დღევანდელ ვითარებაში ალიევის მიზანი იყოს ცეცხლის შეწყვეტა და ომამდელი მდგომარეობის აღდგენა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მან კარგად იცის, მსგავსი შესაძლებლობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აწი აღარ ექნება; და მეორე — **აზერბაიჯანის პოზიცია, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არის უზადო. ის იბრძვის კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად იმ ტერიტორიაზე, რომელსაც გაეროდან დაწყებული, რუსეთით დამთავრებული, ყველა ოფიციალურად თვლის აზერბაიჯანის ნაწილად**, ამიტომ მგონია, რომ ბაქო ყველანაირად შეეცდება, სულ ცოტა, იმ დაბრუნებულ პროვინციებში თავისი სამხედროები განალაგოს; ცეცხლის შეწყვეტა კი, როგორც შეთანხმება, ალბათ, გაგრძელდება იქამდე, რა დროც დასჭირდება არა მოლაპარაკებებს, არამედ ტყვეების გაცვლას, მიცვალებულთა გადასვენება-გადმოსვენებას და ა.შ.

**— მოდი, საქართველოზე ვისაუბროთ. არსებობს დღეს საფრთხე, რომ ჩვენი ქვეყანაც ჩაითრიონ ამ დაპირისპირებაში? უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ, სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, ჩვენ, ფაქტობრივად, მოკავშირე არ გვყავს, თუ არ ჩავთვლით დასავლელ პარტნიორებს, რომლებიც, რაც არ უნდა მოხდეს, შეშფოთების იქით რეალურად ვერ მიდიან...**

— მესმის თქვენი შეკითხვის პათოსი და არსი. სიმართლე გითხრათ, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ფონზე საქართველოს რუსეთისგან თავდასხმის საფრთხე ემუქრება. მით უფრო შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აქ შეიძლება რაღაც სამხედრო დერეფანი გაჭრან და სომხეთს დაეხმარონ. ახლა რატომ არ მჯერა ამის, გავაანალიზოთ: ვთქვათ, რუსეთმა საქართველოს გავლით ჯარი მართლაც შეიყვანა სომხეთში, ვის წინააღმდეგ უნდა შეიყვანოს, აზერბაიჯანის? მაშინ გამოდის, რომ აზერბაიჯანის სახით მეორე საქართველოს მიიღებენ. მერწმუნეთ, კრემლში, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა და არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნის პოლიტელიტისგან განსხვავებით, დეგენერატები არ სხედან. ეს ერთი და მეორე — **რუსეთი ამ კონფლიქტში, სამხედრო თვალსაზრისით, თითს არ გაანძრევს მანამ, სანამ აზერბაიჯანი საომარ მოქმედებებს არ გადაიტანს სომხეთის ტერიტორიაზე, იმიტომ, რომ ყარაბახი არ არის, გასხვავებით სომხეთისგან, დსთ-ის ფარგლებში მოქმედი კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების მონაწილე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რეგიონის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება მოსკოვს არასოდეს აუღია.** სხვათა შორის, **ფაშინიანი** ამიტომ ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებისა და, პირველ რიგში, კრემლის დარწმუნებას, რომ თურმე აზერბაიჯანმა სომხეთის ტერიტორიების დაბომბვა დაიწყო. ამით, ფაქტობრივად, რუსეთს უგზავნიან სიგნალს, რომ დაიცვას ხელშეკრულება და მოახდინოს რეაგირება ოფიციალური ბაქოს მოქმედებებზე. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფაშინიანი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, დიდი სიმპათიით არ სარგებლობს მოსკოვში. მას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს რუსულ პოლიტელიტაში, მათ შორის სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს სომხების სახითაც. აი, ეს ყველაფერი, ვფიქრობ, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კრემლი წინააღმდეგი არ იქნება, გარკვეული თვალსაზრისით ჭკუა ასწავლოს ფაშინიანს. რაც შეეხება საქართველოს, **თუ აზერბაიჯანი შეძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ეს, როგორც პრეცენდენტი, ჩვენთვის და მთლიანად რეგიონისთვის თავისთავად განაპირობებს გარკვეულ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს. ყოველ შემთხვევაში სიტუაცია იცვლება და ამ ცვლილებამ სწორი დიპლომატიის შემთხვევაში შეიძლება ახალი შესაძლებლობები გააჩინოს.** მაგალითად, შეიძლება დადგეს დრო, თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში, როცა მოსკოვში იფიქრებენ: საქართველოს დაკარგვას გვირჩევნია, აფხაზები და ოსები ცოტა გავანაწყენოთო, მაგრამ ეს თავისთავად არ მოხდება, ამას სჭირდება სერიოზული დიპლომატიური ძალისხმევა, პირველ რიგში, რუსეთში.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში რეალურია ამის მიღწევა?**

— დღევანდელ ხელისუფლებას, ჩვენდა სამწუხაროდ, პრაქტიკულად არ გააჩნია დიპლომატია. მეტიც, **აქ არ არსებობს დიპლომატიური სკოლა, რომელიც ქვეყანას კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფდა. აი, ამის შედეგია ის, რომ თითოეული პოლიტიკური სუბიექტის მიერ კრემლთან პირდაპირი და შედეგიანი დიალოგის აქამდე განხორციელებული ყველა მცდელობა მხოლოდ მოლააპარაკებების იმიტაციაა.** შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს რაც შეეხება, ვფიქრობ, **დღეს საქართველოს აქვს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ კრემლში თავისი ლობი ჰყავდეს, თუმცა ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: სანამ ხელისუფლება, დღევანდელი იქნება თუ მომავალი, ვირტუალური პოლიტიკური ტერორის ქვეშაა და რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე თუნდაც ერთი სიტყვის მთქმელ ნებისმიერ ხელისუფალს კრემლის აგენტად აცხადებენ, ამაზე ფიქრიც ზედმეტია.** საქართველო ჯერ უნდა გათავისუფლდეს ამ შანტაჟისგან და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რეალური ნაბიჯების გადადგმა სალი, კვალიფიციური დიპლომატიის ჩამოყალიბებისკენ; დიპლომატიის, რომელიც გაცილებით მეტ ბერკეტებსა და ინსტრუმენტებს შეიძლება გულისხმობდეს ჩვენი უსაფრთხოებისთვის... სხვა შემთხვევაში, ქვეყანა, მე ვიტყოდი, არის ბედის ანაბარა და ნებისმიერი ცვლილება, გეოპოლიტიკურ ცვლილებებს ვგულისხმობ, რომლებიც ჩვენს რეგიონში ხდება, საზიანოც შეიძლება აღმოჩნდეს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> **«შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აქ შეიძლება რაღაც სამხედრო დერეფანი გაჭრან და სომხეთს დაეხმარონ»**

> **«დღეს საქართველოს აქვს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ კრემლში თავისი ლობი ჰყავდეს, თუმცა ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: სანამ ხელისუფლება, დღევანდელი იქნება თუ მომავალი, ვირტუალური პოლიტიკური ტერორის ქვეშაა და რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე თუნდაც ერთი სიტყვის მთქმელ ნებისმიერ ხელისუფალს კრემლის აგენტად აცხადებენ, ამაზე ფიქრიც ზედმეტია»**

**„სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ისე გადასცეს ახალგორი მოწინააღმდეგეს, რომ არავინ იცის, სად გადის საზღვარი. დღეს, სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლების თქმით, საქართველოში ე.წ. მცოცავი ოკუპაცია მიმდინარეობს, მაგრამ არავინ ამბობს, რაზე მოაწერა ხელი სააკაშვილმა და სად გადის საზღვარი; არავინ იძიებს იმ საკითხს, მოელაპარაკა თუ არა სააკაშვილი მოწინააღმდეგე მხარეს, რომ კოდორის ხეობიდან ჯარი უსიტყვოდ და უბრძოლველად გაეყვანა“.**

დეპუტატობის კანდიდატი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვიქტორ ცაავა:

# თუ საქართველოს ტერიტორიების დაცვა რუსეთუმეობაა, მაშინ მე რუსეთუმე ვარ და ვიქნები!

**საპარლამენტო არჩევნებამდე ორი კვირა დარჩა და საარჩევნო კამპანიის ტემპერატურა მაღლა იწევს. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მარტვილი-აბაშა-ჩხოროწყუ-წალენჯიხის ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ცაავა:**



**«სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ ყველა ენა, რომლებიც ჩვენი პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობს, სკოლებში ისწავლებოდეს. სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რა განძის პატრონია ეს ქვეყანა და ეს უნდა ასწავლოს მომავალ თაობებსაც. თუკი თურქეთში ტელევიზიებით გადაცემები მიჰყავთ ლაზურ ენაზე, ასწავლიან ამ ენას, მაშ, ჩვენ, ქართველებს, რა გვიდგას წინ?!»**

— რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროკურატურა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესში მონაწილე ექსპერტების ქმედებების კანონიერებას იძიებს. უწყებაში განაცხადეს, რომ დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიამ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები არამართლზომიერად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ინტერესების საზიანოდ შეათანხმა. ეს საშინელი ინფორმაციაა. დავითგარეჯა ყოველთვის იყო საქართველოს უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-კულტურული ცენტრი, რომელშიც ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ დავითგარეჯა არ ყოფილა ალბანეთის პატრიარქის დაქვემდებარებაში, ის საქართველოს ტერიტორიაზე იყო და საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერავინ უარყოფს.

ახლახან კი გაირკვა, რომ საქართველოს დელიმიტაცია-დემარკაციის კომისიამ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ინტერესების საზიანოდ შეათანხმა.

უმნიშვნელოვანესი რუკის დამალვისა და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედების ბრალდებით ორი ადამიანი დააპატიმრეს. შესაძლოა, ისინი რაღაც ფორმით მართლაც არიან დამნაშავენი, მაგრამ მეეჭვება, რომ უმნიშვნელო თანამდებობის მქონე ადამიანების გაკეთებული იყოს ამხელა საქმე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის — **ჯუმბერ პატიაშვილისგან** მსმენია, რომ დავითგარეჯის პრობლემა პერიოდულად წამოყოფდა ხოლმე თავს. ის ყვებოდა, რა სამუშაოები და რა მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ორ ქვეყანას შორის ამ ტერიტორიაზე; ამბობდა, რომ ძალიან მარტივად შეიძლებოდა დავითგარეჯის კომპლექსი საქართველოს გადმოსცემოდა და ამაზე მუშაობდნენ კიდეც, აზერბაიჯანიც თანახმა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თანამდებობიდან ჯუმბერ პატიაშვილის წასვლის შემდეგ კომისიის მუშაობა არავის გახსენებია. აქვე ვიტყვი: თუ რაღაცის გარკვევა სურს ხელისუფლებას, ამოიღონ ჩანაწერები იმ კომისიისა, რომელიც იმხანად მუშაობდა ჯუმბერ პატიაშვილის ხელმძღვანელობით.

**— დავითგარეჯის გარშემო, დიდი ხანია, აურზაურია ატეხილი, ამაზე წერდა და საუბრობდა მასმედია, მაგრამ მმართველი პარტია რატომღაც დღეს დაინტერესდა ამ საკითხით. ხომ არ არის ეს წინასაარჩევნო ხრიკი?**

— არ მინდა, ასე ვიფიქრო, მაგრამ რაღაც მაგდაგვარს წააგავს. საქმე ის არის, რომ ქართველების პრობლემა მხოლოდ დავითგარეჯა არ არის, ჩვენს ქვეყანაში არის ადგილები, რომლებზეც სადემარკაციო ხაზი არ არის გავლებული და ძალიან მალე დილემის წინაშე აღმოვჩნდებით — **შევარდნაძე-სააკაშვილის** ღალატის შედეგებს მალე დავინახავთ. **სააკაშვილი ხომ მიზანმიმართულად კარგავდა ყველაფერს — გაასხვისა ბერთუბანი, ჩიჩხიტური, კოდორის ხეობა, ახალგორი...**

თუკი ხელისუფლებას სურს, ამ არჩევნებზე სააკაშვილის ხელისუფლება სამუდამოდ მოაშოროს ქართველ ხალხს, მაშინ უნდა გამოავლინოს სახელმწიფო დამნაშავეები და არა ის პირები, რომელთა გვარიც კი არ გვსმენია. უნდა დაასახელონ ამ დავალებების გამცემნი. ვიღაც **მელაშვილი** და მისთანები ვერ და არ იქნებოდნენ გადაწყვეტილების მიმღებნი, დავალების უსიტყვოდ შესრულებაც დანაშაულია, მაგრამ, თუკი ხელისუფლებას სურს, საფუძვლიანად გაარკვიოს, რა ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ, მაშინ დეტალური გამოძიება უნდა ჩაატაროს და ყველა ის პირი დასაჯოს, რომლებიც განკარგულებას გასცემდნენ. **ყველა ქართველისთვის მიუღებელია ის, რომ სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები დღეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად იბრძვიან. სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ისე გადასცეს ახალგორი მოწინააღმდეგეს, რომ არავინ იცის, სად გადის საზღვარი. დღეს, სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლების თქმით, საქართველოში ე.წ. მცოცავი ოკუპაცია მიმდინარეობს, მაგრამ არავინ ამბობს, რაზე მოაწერა ხელი სააკაშვილმა და სად გადის საზღვარი. არავინ იძიებს იმ საკითხს, მოელაპარაკა თუ არა სააკაშვილი მოწინააღმდეგე მხარეს, რომ კოდორის ხეობიდან ჯარი უსიტყვოდ და უბრძოლველად გაეყვანა.** ბევრი საკითხი და თემაა ისეთი, რომლებიც ქართველ ხალხს აინტერესებს, ამიტომ აუცილებელია, ობიექტურად გამოიძიოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ეს ყველაფერი, ამისთვის კი საჭიროა, შეიქმნას კომისია, რომელიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან თემებს წინ წამოწევს და დამნაშავეებს გამოავლენს. კომისიის ერთი და ორი წევრი ვერ გაბედავდა სამშობლოს ღალატს, ეს ხელისუფალს უნდა გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც. სამწუხაროდ, დამნაშავე დასჯილი არ არის, მეტიც, ის ყველა არჩევნებში აქტიურად ცდილობს ჩარევას და ამინდის შექმნას. გამუდმებით გვეშინია — არიქა, არ დაბრუნდეს!

**— რას მოგვიტანს დავითგარეჯის თემის წინ წამოწევა ახლა, როდესაც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი მოქმედებებია?**

— „თურქეთი ჩვენი მეგობარია“ — ასე ფიქრობს არსებული ხელისუფლება, ამიტომ, თუ ვინმეს ეგონა, რომ თემა იმიტომ წამოწიეს, დავითგარეჯა დაებრუნებინათ, ცდება. დავითგარეჯის თემა წამოწიეს იმის გამო, რომ არჩევნებისთვის მომგებიანი იყო. როგორც ჩანს, მათ თავიდანვე ჰქონდათ ეს გამიზნული. მინდა, ეს საკითხი უშედეგოდ არ დასრულდეს, საქმე ბოლომდე მიიყვანონ — დამნაშავეები გამოააშკარავონ და დააყენონ დაკარგული მიწების დაბრუნების საკითხი.

მოკლედ, **თუ დაკარგულ-გაყიდული ტერიტორიების თემა ჩაიფარცხება, ამ ხელისუფლებისგან არაფერი გამოვა.**

**აზერბაიჯანს ახლა მიწისთვის არ სცალია, შესაძლოა, მოვთხოვოთ მიწის დაბრუნება, მიუხედავად იმისა, რომ „ჩვენი პარტნიორია“, მაგრამ, თუ მიწა გაყიდულია და ხმას ვერ ვიღებთ?! ამიტომ აუცილებელია, შეიქმნას კომისია, რომელიც მიწების გაყიდვასა და მოღალატეობრივ საქმიანობას შეისწავლის.** სააკაშვილის პერიოდში ძალიან ბევრი სტრატეგიული ობიექტი გაიყიდა და ყველა საქმე შესასწავლია. ჩვენი აღარ არის ენგურჰესი, გასარკვევია რამდენიმე ათასი თურქისთვის მინიჭებული საქართველოს მოქალაქეობის პრობლემაც, **სააკაშვილმა დატოვა საშინელება და ამაზე უნდა მოხდეს რეაგირება. ის, რომ სააკაშვილს ვიღაც იცავს, არ აინტერესებს რიგით ქართველს; ის, რომ სააკაშვილის დაპატიმრებით პრობლემა შეექმნება ხელისუფლებას, რადგან იმ ნაძირალას ვიღაც იცავს, არც ეს აინტერესებს ქართველს, რომელიც თავისი მიწა-წყლის დასაცავად უკანმოუხედავად გაწირავს სიცოცხლეს.** სიმართლეს წინ არ უნდა დაუდგეს არაფერი. სომხები და აზერბაიჯანელები სულ ომში არიან, ამიტომ ჩვენს რელიგიურ სიწმინდეებზე ვერ უნდა ვილაპარაკოთ?!

**— ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ყველას, ვინც ამბობს, რომ დავითგარეჯა ჩვენია, რუსეთუმედ და მოღალატედ მიიჩნევს...**

— თუ საქართველოს ტერიტორიების დაცვა ვინმესთვის რუსეთუმეობაა, მაშინ მე რუსეთუმე ვარ და ვიქნები! საქართველოს ნებისმიერი კუთხე, მიწა, თუნდაც ერთი მუჭაც კი, სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული, ვინც ამას არ გააკეთებს, ის მოღალატეა. ამიტომ **ხელისუფლებას ვთხოვ, დეტალურად გამოიძიოს ყველა საქმე, დაწყებული დავითგარეჯით, დასრულებული აგვისტოს ომით. როგორ და რატომ მოხდა ტერიტორიების გადაცემა, რატომ დავთმეთ უბრძოლველად კოდორის ხეობა, ახალგორი, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი? თუ ამ საქმეებს არ გამოიძიებენ, ეს ხელისუფლება წინა ხელისუფლებასავით გამყიდველი და მოღალატე იქნება.**

**— თქვენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ხართ სამეგრელოს ოთხ რაიონში. ჩვენი გაზეთის მკითხველს, რომელიც ასევე თქვენი ამომრჩეველიც არის, აინტერესებს, რას ფიქრობთ, მეგრული, ლაზური და სვანური ენების დაცვაზე.**

— ეს დიდი განძია ქართველებისთვის. ძალიან პატარა ქვეყანაში რამდენიმე ენაზე საუბრობს ხალხი, ეს ჩვენია და ამის დაკარგვა წარმოუდგენელია. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ეს ენები კი არა, სახელმწიფო ენა — ქართულიც კი დასაცავია ლიბერალების ხელში. ჟურნალისტები, რომლებიც ქართული ენის უპირველესი დამცველები უნდა იყვნენ, ჩვენს უძველეს და უმდიდრეს ენას ამახინჯებენ.

გლობალიზაცია ჭამს და კლავს ყველაფერს, წელიწადში რამდენიმე ენა ქრება... ენა სიმდიდრეა, ენა განძია. მეგრული, სვანური, ლაზური უნდა გადარჩეს, ასევე უნდა გადარჩეს აფხაზური და ოსური, ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა. ვალდებულებაა, რომ ყველა ენა, რომლებიც ჩვენი პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობს, სკოლებში ისწავლებოდეს. სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რა განძის პატრონია ეს ქვეყანა და ეს უნდა ასწავლოს მომავალ თაობებსაც. მინდა, მეგრულ, ლაზურ, სვანურ ენებს სახელმწიფო იცავდეს კანონით! სირცხვილია, ქართველმა არ იცოდეს, რამდენი ზმნაა მეგრულში, სვანურში, ლაზურში, აფხაზურში ან ოსურში — ეს უმდიდრესი ენებია. კიდევ ვიმეორებ: უდიდესი განძია და მას დაცვა სჭირდება. პარლამენტარი, რომელიც ენების დაცვის საკითხს არ დააყენებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მოღალატეა და მისი არჩევა შეცდომა იქნება...

**თუკი ხელისუფლებისთვის „ისტორიულ მეგობარს“, მაგრამ ჩვენთვის, ხალხისთვის, ისტორიულ მტერ თურქეთში ტელევიზიებით გადაცემები მიჰყავთ ლაზურ ენაზე, ასწავლიან ამ ენას, მაშ, ჩვენ, ქართველებს, რა გვიდგას წინ?!**

მძიმეა ეს არჩევნები, არაადეკვატურია ყველა, მაგრამ ჩემი სამეგრელო შეუდარებელია — **თბილია და ტკბილი მეგრელი ამომრჩეველი. გეფერებიან, კარგად გხვდებიან, უამრავი შეკითხვა აქვთ, აქტიურები არიან; იციან, რომ რუსეთთან ურთიერთობის გარეშე არაფერი ეშველება ქვეყანას; იციან — ვისაც ძალუძს ჩვენი ენის დაცვა და არ დაიცავს, პოლიტიკაში და ქართულ ცნობიერებაში ადგილს ვერ დაიმკვიდრებს. მეგრელებს პატრიოტიზმზე თავისი ხედვა აქვთ და ეს ხედვა ღირებულია ჩვენი ქვეყნისთვის.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და, დაიწყო...
ამერიკელების მიერ მათთვის მიუღებელი ხელისუფლებების დასამხობად ინსპირირებული ე.წ. ფერადი რევოლუციები... საქართველო; ყირგიზეთი; უკრაინა; სომხეთი; ახლა ისევ ყირგიზეთი და ბელარუსი; ისევ მთიანი ყარაბახი; მეორე წრე... მესამე წრე... აღარ მთავრდება, არ უჩანს დასასრული, მოდის და მოედინება ერთმანეთში არეული ომი და ქაოსი, გაურკვევლობა და განუკითხაობა, სისხლი და ცრემლი...**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

**ოცდამეოთხე გადაცემა**

# ВОТ ЭТО, УЖЕ... УЖЕ...

**ვალერი კვარაცხელია:** — თქვენ წინაშეა გადაცემა „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე, ვალერი კვარაცხელია.

იმდენად მძიმეა ჩემი დღევანდელი სათქმელი, რომ ეს გადაცემა ლოცვით უნდა დავიწყო: ღმერთო მაღალო, შემეწიე მე, რათა სრულად გამოვთქვა იგი, რისი გამოთქმის სურვილი შენვე ჩამისახე, მიმატანინე ხალხთან იგი, რაც გამოსათქმელად ძნელი და გასაგებად რთული, მაგრამ ჰაერივით აუცილებელი გამხდარა!..

იმ მოვლენიდან, რომლიდანაც ყველა უბედურება დაიწყო, ოცდაცხრა წელიწადი სრულდება. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელოვეჟში (ბელარუსი) ხელი მოეწერა გაუგონარი ღალატის აქტს, რომელშიც მკრეხელური სიტყვები ეწერა.

**ამონაწერი ბელოვეჟის ტყეში 1991 წლის 8 დეკემბერს ხელმოწერილი დოკუმენტიდან: Союз ССР как субъект международного права и геополитическая реальность прекращает своё существование!**

ერთი წუთით შეჩერდი, ძვირფასო მაყურებელო. ერთი წუთით შეჩერდი და, ოცდაცხრა მძიმე წელიწადის გასვლის შემდეგ, კარგად გაიაზრე, რა მოხდა სადღაც ბელოვეჟის ტყეში (ნაკრძალში). არაყზე მეტად საკუთარი თანამდებობით (ერთს რსფსრ-ის პრეზიდენტი ერქვა — **ბორის ელცინი**; მეორეს, უკრაინის სსრ-ის პრეზიდენტი — **ლეონიდ კრავჩუკი**; მესამეს კი — ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — **სტანისლავ შუშკევიჩი**) გალეშილმა არამზადებმა ფარატინა ქაღალდზე, რომელსაც „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (СНГ) ჩამოყალიბების დოკუმენტი“ უწოდეს, ეს თავზარდამცემი წინადადება ჩაწერეს: **Союз ССР как субъект международного права и геополитическая реальность прекращает своё существование!** წარმოგიდგენიათ? საბჭოთა კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა, წყვეტს არსებობასო.

მოდი, **გონების თვალი გადავავლოთ დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ საბჭოთა კავშირს — კაცობრიობის ისტორიაში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს... როგორ იქმნებოდა ადამიანთა მოდგმის მიერ ათასწლეულების განმავლობაში ნაოცნებარი ეს უნიკალური სისტემა და სახელმწიფო?**

სამართლიანი სახელმწიფოს მოწყობის შესახებ, საზოგადოდ, მთელი კაცობრიობის ნაწვალებსა და ნააზრევზე, კონკრეტულად კი, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიკისა და ფრანგული უტოპიური სოციალიზმის ბაზაზე, ჯერ მარქსისტული უნივერსალური მსოფლმხედველობა აღმოცენდა; შემდეგ პოლიტიკური აზროვნების ზოგადსაკაცობრიო შედევრი, მონობისაგან ხალხთა განთავისუფლების დიდი ქარტია — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ დაიწერა; შემდეგ, როგორც გარდაუვალი ისტორიული აუცილებლობა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია განხორციელდა; ბოლოს კი თავისუფლებისკენ ადამიანთა მარადიული ლტოლვის კულმინაცია და გვირგვინი — საბჭოთა კავშირი შეიკრა, რომელიც კოლექტივიზაციის, ელექტროფიკაციის, ინდუსტრიალიზაციის უმძიმესი, მაგრამ გმირულ-ჰეროიკული პერიოდების გავლით სრულიად ახალი ტიპის საზოგადოებად — ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომის საზოგადოებად და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე აგებულ პირველ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ასე მოხდა, მაგრამ არ ეძინა უსამართლობისა და ბოროტების მეორე პოლუსს — კაპიტალისტურ სამყაროს, რომელიც დედამიწაზე პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში საკუთარ (ისტორიულად გარდაუვალ) მესაფლავეს ხედავდა. დასავლეთის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაგეგმილი ათასი ხრიკი და ვერაგობა საბოლოოდ ფაშიზმად და მსოფლიო ომად მოევლინა არამარტო საბჭოთა კავშირს, არამედ მთელ პლანეტას, მაგრამ უმთავრესი დარტყმა, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირზე განხორციელდა. ეს არ ყოფილა სახელმწიფოთა შორის ომი, ეს სისტემათა შორის ომი იყო, ეს იყო კაპიტალიზმის აგრესია სოციალიზმზე, ანუ კაპიტალისტური რევანშის გზით სოციალიზმის, როგორც სისტემის, განადგურების მცდელობა. ფაშისტურ გერმანიას კაპიტალისტური აშშ და ინგლისი ედგნენ ზურგს უკან, რომლებიც აქეზებდნენ, აფინანსებდნენ, აიარაღებდნენ.



ლეონიდ კრავჩუკი, სტანისლავ შუშკევიჩი და ბორის ელცინი

მთელი საბჭოთა კავშირი დადგა სოციალისტური მონაპოვრის დასაცავად. მარტო საბჭოთა კავშირის მხრიდან ოცდაშვიდ მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა ამ წმინდა ომს, ხალხსა და სახელმწიფოს იქამდე არნახული და არგაგონილი ზიანი მიადგა, მაგრამ საბჭოთა კავშირი, როგორც დიდი ისტორიული სამართლიანობის მსოფლიო ციტადელი, გადარჩა. დაინგრა ფაბრიკები, ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საზღვაო პორტები და აეროპორტები, სარკინიგზო ლიანდაგები და სადგურები, საბავშვო ბაგები და ბაღები, კინოთეატრები და თეატრები, სკოლები, ინსტიტუტები, უნივერსიტეტები, მეცნიერებათა აკადემიის შენობები, ბიბლიოთეკები, კულტურის სასახლეები, პანსიონატები, კურორტები, სანატორიუმები... დაინგრა თითქმის ყველაფერი, რისი დანგრევაც შეიძლებოდა, დაინგრა სოფლები და ქალაქები, თითქმის გასწორდა ცა და მიწა, მაგრამ საბჭოთა კავშირი და სოციალიზმი გადარჩა. გადარჩა სოციალური სამართლიანობის იდეა, გადარჩა მის მიმართ რწმენა და ერთგულება. დედამიწის ზურგზე არ აღმოჩნდა სამართლიანი ცხოვრების წესით შეკავშირებული საბჭოთა ერთობის მომრევი ძალა. კაპიტალისტების მიერ მოჭრილი უზარმაზარი ფული, მშრომელების ძარცვის გზით დაგროვილი მთელი მათი სიმდიდრე, მათ მიერ შექმნილი სამხედრო მონსტრი და ფაშისტური ურჩხულის იდეოლოგია, ერთად აღებული, არ აღმოჩნდა საკმარისი საბჭოთა კავშირის დასაჩოქებლად, მის დასაშლელად და გასანადგურებლად. მძლავრმა სოციალისტურმა სახელმწიფომ დიდი სამამულო ომისგან მიყენებული ჭრილობა საოცრად მოკლე დროში მოიშუშა, მთელი მატერიალური დანაკარგი ერთი ხუთწლედის განმავლობაში ომამდელ დონემდე აღადგინა, თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად ბირთვული იარაღიც შექმნა და კოსმოსშიც გაიჭრა. იგი უძლეველი გახდა, მაგრამ, აგერ, ოთხი ათეული წელიწადის გასვლის შემდეგ, სადღაც ბელოვეჟის ტყეში შეკრებილი სამი მოღალატე ხელს აწერს ფარატინა ქაღალდზე ნაჯღაბნ გაუგონარ მკრეხელობას: **Союз ССР как субъект международного права и геополитическая реальность прекращает своё существование!** საოცარია ხომ?! რა უნდა მოჰყოლოდა ამას შედეგად? ის, რაც ასეთ დროს ჩვეულებრივად ხდება ხოლმე: უნდა დაეჭირათ ეს არამზადები და ან ფსიქიატრიულში ეკრათ თავი, ან საპყრობილეში, მაგრამ... შეხედეთ, რა ჩაიდინა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ საბჭოთა კავშირის სათავეში მოთრეულმა პირველმა ნომერმა აგენტმა.

**მიხეილ გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი: — Дорогие соотечественники! Сограждане! В силу сложившейся ситуации с образованием Содружества Независимых Государств я прекращаю свою деятельность на посту Президента СССР.**

**ვალერი კვარაცხელია:** — გორბაჩოვის მიერ ამ სიტყვების წარმოთქმის პარალელურად, კრემლის გუმბათზე სამოცდაათი წელიწადის განმავლობაში ამაყად მოფრიალე საბჭოთა წითელი დროშა დაეშვა, მილიონთა ნაოცნებარი, მილიონთა მონაპოვარი, მილიონთა ოფლით ნაშენები და მილიონთა სისხლით შენარჩუნებული მშრომელთა სახელმწიფო დაეცა... კრემლის გუმბათზე კი იმავე წუთს კაპიტალისტური რუსეთის სამფეროვანი დროშა აღიმართა. უკან, ისტორიის სიღრმეში მოსროლილ და დასავლეთის აპლოდისმენტებით გაბრუებულ მოკავშირე რესპუბლიკებშიც, ნაციონალურ დროშებთან ერთად, ევროსაბჭოს, აშშ-ისა და ნატოს დროშები ააფრიალეს.

**და, დაიწყო...**

სეპარატისტულ განწყობათა აფეთქება, ხალხთა და ეროვნებათა ისტორიული ერთიანობის დაუნდობელი რღვევა და ნგრევა... მთიანი ყარაბაღი; ჩეჩნეთი; დნესტრისპირეთი; აფხაზეთი; სამხრეთ ოსეთი...

**და, დაიწყო...**

ამერიკელების მიერ მათთვის მიუღებელი ხელისუფლებების დასამხობად ინსპირირებული ე.წ. ფერადი რევოლუციები... საქართველო; ყირგიზეთი; უკრაინა; სომხეთი; ახლა ისევ ყირგიზეთი და ბელარუსი; ისევ მთიანი ყარაბაღი; მეორე წრე... მესამე წრე... აღარ მთავრდება, არ უჩანს დასასრული, მოდის და მოედინება ერთმანეთში არეული ომი და ქაოსი, გაურკვევლობა და განუკითხაობა, სისხლი და ცრემლი...

**და, დაიწყო...**

პრივატიზაცია („პრიხვატიზაცია“). გამდიდრდნენ ერთეულები, გაღატაკდნენ მილიონები. ხალხი უმწეობაში აღმოჩნდა, გაჩანაგდა ფაბრიკა-ქარხნები, გაქრა სამუშაო ადგილები, განადგურდა მუშათა კლასი, მოისპო ინტელიგენცია, მშივრები დარჩნენ ბავშვები, მოხუცები, პერსპექტივა აღარ აქვთ ახალგაზრდებს...

**და, დაიწყო...**

სოციალური ემიგრაცია, ლუკმაპურის მაძიებლები ღობე-ყორეს აწყდებიან და საზღვარგარეთ მონური შრომის ფასად არსებობის შესანარჩუნებლად გარბიან...

**და, დაიწყო...**

ზნეობრივი კოლაფსი, გარყვნა, გადაგვარება, გათახსირება, წამოვიდა დასავლური ნაგავი ფსევდოლიტერატურის, ფსევდომუსიკის, ფსევდოხელოვნების სახით; გაჩაღდა აღვირახსნილი პროპაგანდა მამათმავლობისა, ლესბოსელობისა და სხვა ათასი უბედურებისა და უკულმართობისა...

**და, დაიწყო...**

გაუთავებელი ბრძოლა დეპუტატების მანდატებისთვის, მინისტრების პორთფელებისთვის, გუბერნატორთა სკამებისთვის, სხვა მაღალი თუ დაბალი თანამდებობებისთვის...

**და, დაიწყო...**

ფულზე ფიქრი, ფულზე ოცნება, ფულს დახარბება, ფულით გაგიჟება და კორუფცია — მასშტაბური, უკიდეგანო და გაუგონარი...

**და, დაიწყო...**

ნიაღვრად შემოდინება ▶

**ზუსტად ისე უნდა გაირეკოს გარეული თუ შინაური მტერი და ზუსტად ისე უნდა აღდგეს თავის საზღვრებში საბჭოთა კავშირი, როგორც ეს 1945 წელს გააკეთეს საბჭოთა ჯარისკაცებმა ჯარისკაცის მამის გენიალური წინამძღოლობითა და თავდადებით. ესაა ყოფილ საბჭოეთში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი. ყველაფერი სხვა სიცრუეა, რომელიც დროის გაყვანას ემსახურება და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# და, დაიწყო... ყვარყვარეთა დოღი პოლიტიკაში; პოლიტიკით ფულის მშოვნელთა არმიის ჩამოყალიბება, რომლებსაც არავითარი პოლიტიკური მსოფლმხედველობა არ გააჩნიათ, დაძრწიან მდიდართა მიერ დაფინანსებული ერთი პარტიიდან მეორეში და ცხვირსახოცივით იცვლიან მრწამსს, შეხედულებებს, პოზიციებს, ოღონდ ამომრჩევლები როგორმე მოატყუონ...

◀ დასავლური კაპიტალისა სამშობლოს ინტერესების უტიფრად გამყიდველთა მოსასყიდი გრანტებისა და ტრანშების სახით.

**და, დაიწყო...**

ფულით ფულის კეთება და მევახშეობა. კერძო ბანკების თარეში და ნებადართული, დაკანონებული ძარცვა საზოგადოებისა, მშრომელებისა, პატიოსანი მოქალაქეებისა...

**და, დაიწყო...**

ჯანდაცვისა და განათლების უფასო სისტემების გადაკეთება ფულის მკეთებელ საამქროებად, მოგებაზე ორიენტირებულ კერძო დაწესებულებებად.

**და, დაიწყო...**

სოციალისტური სისტემის პირობებში უფასო საცხოვრებელ ბინებში მოსახლეობის მასობრივი შესახლების პროცესის ჩანაცვლება იმ ბინებიდან მოსახლეობის მასობრივი გამოსახლების პროცესით, მათი გალატაკებისა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენების გზით...

**და, დაიწყო...**

ყვარყვარეთა დოღი პოლიტიკაში. პოლიტიკით ფულის მშოვნელთა მთელი არმიის ჩამოყალიბება, რომლებსაც არავითარი პოლიტიკური მსოფლმხედველობა არ გააჩნიათ, დაძრწიან მდიდართა მიერ დაფინანსებული ერთი პარტიიდან მეორეში და ცხვირსახოცივით იცვლიან მრწამსს, შეხედულებებს, პოზიციებს, ოღონდ ამომრჩევლები როგორმე მოატყუონ...

ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ეს მოხდა ყოფილ საბჭოეთში, მათ შორის, რუსეთშიც.

მოხდა მზიანი დღის ხელოვნური, მიზანმიმართული დაბნელება, მოხდა ხალხთა წინასწარდაგეგმილი გაუბედურება, დიდი, გლობალური კატასტროფა.

**ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის ნგრევას მოჰყვა!**

საოცარია, რომ ბევრი ამას დღემდე ვერ მიხვდა.

ამ საქმეში არის ერთი ნიუანსი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია. საბჭოთა კავშირის მტრებმა სახელმწიფოს ფაქტიური დაშლის წინაპირობები შექმნეს, მაგრამ საამისო იურიდიული საფუძველი ვერ მოამზადეს, რის გამოც, დე იურე იგი დღესაც განაგრძობს არსებობას.

საბჭოთა კავშირის დე ფაქტო დაშლიდან ხუთ წლისთავზე რუსეთის სახელმწიფო დუმამ შოკისმომგვრელი დადგენილება მიიღო.

**ამონაწერი რუსეთის პარლამენტის დადგენილებიდან:**

**(ПОСТАНОВЛЕНИЕ Государственной Думы Федерального Собрания РФ от 15 марта 1996 г. № 157-II ГД)**

3. Подтвердить, что Соглашение о создании Содружества Независимых Государств от 8 декабря 1991 года, подписанное Президентом РСФСР Б.Н. Ельциным и государственным секретарем РСФСР Г.Э. Бурбулисом и **не утвержденное Съездом народных депутатов РСФСР** — высшим органом государственной власти РСФСР, не имело и не имеет юридической силы **в части, относящейся к прекращению существования Союза ССР.**

Председатель Государственной Думы Федерального Собрания Российской Федерации Г.Н.СЕЛЕЗНЕВ.

**ვალერი კვარაცხელია:** — რუსეთის სახელმწიფო დუმის ამ უაღრესად მნიშვნელოვან (მე ვიტყოდი, ისტორიულ) დადგენილებას შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია და ვერც მოჰყვებოდა, ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტი ჯერ კიდევ ბელოვეჟის სამარცხვინო დოკუმენტზე ხელისმომწერი ბორის ელცინი იყო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არც ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებსა და არც თვით რუსეთში ჯერ არ იყო გავლილი საბჭოთა კავშირის დაშლითა და დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული აღტყინება, არ იყო ჩამცხრალი დასავლური საყოველთაო ეიფორია და ჯერ კიდევ არ ჩანდა საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ტრაგიზმის მთელი სიმძაფრე, ამიტომაც რუსეთის სახელმწიფო დუმის ამ რევოლუციურ გადაწყვეტილებას არავითარი პრაქტიკული შედეგი და გაგრძელება არ მოჰყოლია.

მას მერე დიდი დრო გავიდა. ახლა ყველაფერი დღესავით ნათელია. დასავლეთიც შიშველია და აღმოსავლეთიც, რუსეთიც შიშველია და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიც. ყველგან უმძიმესი რეალობაა. ნატომ ჩაყლაპა მთელი აღმოსავლეთი ევროპა (ყოფილი „ვარშავის პაქტის“ სახელმწიფოები), ნატომ ჩაყლაპა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ჩაყლაპავს უპირებს უკრაინას, ბელარუსს, მოლდოვას, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს. დასავლეთს ნატოს წევრი თურქეთი აზერბაიჯანთან სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბების მიმართულებით მიჰყავს, რის შემდეგ ნატო კასპიის ზღვაზე გასასვლელს მოიპოვებს. ეს თუ განხორციელდება, რუსეთი საბოლოოდ აღმოჩნდება ნატოს ალყაში.

რა მოხდება ამის შემდეგ?

არ არის ძნელი წარმოდგენა და გააზრება იმისა, თუ რა შეიძლება ამას შედეგად მოჰყვეს, მაგრამ მე მაინც არ ვიჩქარებ პროგნოზების გაკეთებას. მოდით, ჯერ რუსული შეფასებები მოვისმინოთ და ებრაული წარმოშობის რუს ჟურნალისტს, პუტინისა და კრემლის პროპაგანდისტად ცნობილ ვლადიმერ სოლოვიოვს მოვუსმინოთ.

**ვლადიმერ სოლოვიოვი, რუსი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი (07.10.2020):** — ეს სახიფათოა, ეს სახიფათოა! ჩვენ თუ აზერბაიჯანსა და სომხეთს დავკარგავთ, აზერბაიჯანში თუ თურქეთი შევა, დაღესტანსაც დავკარგავთ... შემდეგ ძალიან სწრაფად დაიწყება სხვა ტერიტორიების დაკარგვა, თათრეთის... ბაშკირეთის... რომელ წითელ ხაზებზე მელაპარაკებით, როდესაც კიევის თავზე ამერიკული სამხედრო თვითმფრინავები დაფრინავენ, კიეველებს კი ეუბნებიან, — მიესალმეთ, ხელი დაუქნიეთ?! რომელ წითელ ხაზებზე მელაპარაკებით, თუკი ნატოს ჯარები ჩვენს საზღვრებთან უკვე განათავსეს, თუკი გერმანული ტანკები ბალტიისპირეთში დგანან, ამერიკული თვითმფრინავები კი ჩვენს ტერიტორიებზე შემოჭრებს ახორციელებენ და დაბომბვის იმიტაციას აკეთებენ?! უკვე აღარ არის არც ერთი წითელი ხაზი, რომელიც არ გადმოეკვეთოთ. რომელ წითელ ხაზზე მელაპარაკებით, თუკი ბელარუსზე შეტევა იმას ნიშნავს, რომ სმოლენსკთან ამერიკული (თუ გნებავთ, ნატოს) ჯარი იქნება, თუკი უკრაინაში უკვე გაჩნდა ამერიკული სამხედრო სტრუქტურა, ახლა კი იმას ველოდებით, როდის შემოგვიტევენ კავკასიიდან?! ჩვენ, ვისაც მოუნდა, ყველას მივეცით საშუალება, რომ წითელი ხაზები გადმოეკვეთათ. სულ ტყუილად!

**რეზო ჩხეიძის გენიალურ ფილმ «ჯარისკაცის მამაში» არის ერთი დიდებული ეპიზოდი. უკვე გაქცეული ფაშისტების დევნის ერთ მომენტში გიორგი მახარაშვილი თოვლში ჩამარხულ სასაზღვრო ფირნიშს აღმოაჩენს, რომელზეც ოთხი უძვირფასესი ასოა აღბეჭდილი – СССР. მას სიხარულისგან სუნთქვა ეკვრის, რადგან ეს სასაზღვრო აღნიშვნა იმის მაუწყებელია, რომ მტერი სოციალისტური სახელმწიფოს საზღვრებს მიღმაა გადარეკილი. იგი ჯარისკაცული სასოებით წმენდს ფირნიშს თოვლისა და ყინულისგან და თანამებრძოლებს აღტაცებული უხმობს, რათა ეს უდიდესი ამბავი ახაროს: – НИКОЛОЗ, ВОТ ЭТО, УЖЕ... УЖЕ...**




**ვალერი კვარაცხელია:** — ეს უკვე განგაშის ხმებია და განგაშის ზარია რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიიდან. ეს მხოლოდ რუსეთს არ ეხება. ეს მთლიანად ყოფილ საბჭოეთს ეხება. რა თქმა უნდა, სხვაგანაც და ჩვენშიც არიან ბრიყვები, რომლებიც ხარობენ იმით, რომ რუსეთს ალყაში აქცევენ, რამეთუ არ იციან, რომ რუსეთის ალყაში მოქცევა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ალყაში მოქცევაცაა; არ იციან, რომ რუსეთის დაშლა, თუკი ასეთი რამ მოხდება, თავის დროზე საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკათა ინტერესების ფეხქვეშ გათელვა იქნება, საქართველოსთვის კი, რომელსაც მეზობელი სახელმწიფოები მუშტრის თვალით შემოსცქერიან და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, საიდან რა წაჰგლიჯონ, საბოლოო განადგურების საფუძველი გახდება, ვინაიდან რეგიონში, მიუხედავად ამდენი არეულობისა და სისხლიანი ბატალიებისა, არსებული სტატუს კვოს შენარჩუნების ერთადერთი გარანტი კვლავაც რუსეთია. რუსეთის გარეშე მთელ საბჭოეთს ერთმანეთთან სისხლიანი გარჩევების მძლავრი ტალღა გადაუვლის, შემდეგ კი დასავლეთის საჯიჯგნ და სათარეშო ტერიტორიებად, ნედლეულის ბაზად და სამხედრო პოლიგონად ჩამოყალიბდებიან, საიდანაც თავის დაღწევის საშუალება ისტორიულ თვალსაწიერზე აღარ მიეცემათ.

— გამოსავალიო, — მკითხავთ. გაერთიანებასა და ერთად დგომაში ვხედავ გამოსავალს, დიდი სოციალისტური ოჯახის შექმნაში ვხედავ გადარჩენას, ერთიანი თავდაცვითი სამხედრო ბლოკის შექმნაში ვხედავ მომავალს. დიახ, დიახ, საბჭოთა კავშირის აღდგენაში ვხედავ გზას ხსნისას.

რუსეთის პრეზიდენტმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ბრძანა.

**ვლადიმერ პუტინი, რუსეთის პრეზიდენტი: — Блоковые стереотипы мышления прошлых лет не могут быть хорошим инструментом для поиска и принятия эффективных решений в условиях быстро, стремительно меняющихся условий современного мира.**

**ვალერი კვარაცხელია:** — რუსეთის პრეზიდენტმა კი ბრძანა, რომ ბლოკური აზროვნება (Блоковое мышление) წარსულს ჩაბარდაო, მაგრამ ვერ დავეთანხმები, ვინაიდან დასავლეთის სწორედ ის Блоковое мышление (ნატო და ევროკავშირი) კიდია რუსეთის თავზე დამოკლეს მახვილად, რომელსაც ისევ და ისევ Блоковое мышление უნდა დაუპირისპირო, რომელიც Системное мышление- თი იქნება გაძლიერებული, ვინაიდან დასავლურ კაპიტალიზმს რუსული კაპიტალიზმით ვერ დაამარცხებ. დასავლური კაპიტალიზმის დაჩოქება და დამარცხება მხოლოდ სოციალისტურ სისტემას და სოციალისტურ სახელმწიფოთა მძლავრ იდეოლოგიურ გაერთიანებას ძალუძს. ამის პრეცედენტი ისტორიაში არსებობს, როდესაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა, სტალინის მეთაურობით, დასავლური ფაშიზმი და დასავლური კაპიტალიზმი ერთად დააჩოქა. დააკვირდით: საბჭოთა კავშირის დე ფაქტო დაშლის შემდეგ რუსეთის მიერ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა ბაზაზე ახალი გაერთიანების ჩამოყალიბების ყველა მცდელობა წარუმატებელი და მკვდრადშობილი აღმოჩნდა. ასეთია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (СНГ); ასეთია საბაჟო კავშირი (Таможенный Союз); ასეთია კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (ОДКБ); ასეთია ევრაზიული კავშირი (ЕВРАЗЭС). ვერც ერთი ეს გაერთიანება ვერ შედგა, ვინაიდან კაპიტალისტური რუსეთი მიზიდულობის ცენტრად ვერ იქცა და ვერც მომავალში იქცევა. კაპიტალიზმის ვითარებაში მიზიდულობის ცენტრი ყოველთვის ამერიკა და ევროპა იქნება, ამიტომ კაპიტალისტური რუსეთის ინიციატივით შექმნილი ნებისმიერი საერთაშორისო გაერთიანება მკვდრადშობილი აღმოჩნდება. საკმარისია, რუსეთში სოციალიზმის აღორძინება დაიწყოს, რომ მან განვითარების ისეთივე და უფრო მეტი ტემპები აიღოს, როგორი ტემპებიც სოციალისტურ (კომუნისტურ) ჩინეთს აქვს აღებული. ასეთ შემთხვევაში იგი მიზიდულობის მძლავრ ცენტრად იქცევა და უმოკლეს დროში უძლიერეს ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. რუსი ხალხი ამისთვის უკვე მზადაა, მაგრამ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება და მასთან შეზრდილი ოლიგარქია, რომელიც ცალი თვალით კი არა, ორივე თვალით დასავლეთს შესციცინებს და ნაშოვნ, ნაქურდალ თუ ნაყაჩაღარ კაპიტალს ამერიკასა და ევროპაში აბანდებს და ინახავს, ამისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელია. არავის არ შეუძლია თქმა იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ თქმა იმისა, რომ რუსეთისთვისაც და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისთვისაც ერთადერთი ხსნა და გადარჩენა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის რესტავრაციაა, ერთმნიშვნელოვნად და უყოყმანოდ შეიძლება. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს სტალინური სოციალიზმი და არა ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ანდროპოვისა და გორბაჩოვის უკვე ძირგამოთხრილი და გაშარჟებული პაროდია სოციალიზმისა.

რეზო ჩხეიძის გენიალურ ფილმ „ჯარისკაცის მამაში“ არის ერთი დიდებული ეპიზოდი. უკვე გაქცეული ფაშისტების დევნის ერთ მომენტში გიორგი მახარაშვილი თოვლში ჩამარხულ სასაზღვრო ფირნიშს აღმოაჩენს, რომელზეც ოთხი უძვირფასესი ასოა აღბეჭდილი — СССР. მას სიხარულისგან სუნთქვა ეკვრის, რადგან ეს სასაზღვრო აღნიშვნა იმის მაუწყებელია, რომ მტერი სოციალისტური სახელმწიფოს საზღვრებს მიღმაა გადარეკილი. იგი ჯარისკაცული სასოებით წმენდს ფირნიშს თოვლისა და ყინულისგან და თანამებრძოლებს აღტაცებული უხმობს, რათა ეს უდიდესი ამბავი ახაროს.

**— Николоз, вот это, уже... уже...**

ზუსტად ისე უნდა გაირეკოს გარეული თუ შინაური მტერი და ზუსტად ისე უნდა აღდგეს თავის საზღვრებში საბჭოთა კავშირი, როგორც ეს 1945 წელს გააკეთეს საბჭოთა ჯარისკაცებმა ხალხების მამის გენიალური წინამძღოლობითა და თავდადებით.

ესაა ყოფილ საბჭოეთში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი. ყველაფერი სხვა სიცრუეა, რომელიც დროის გაყვანას ემსახურება და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

**P. S. ვიცი, რომ ამ მასალის გამოქვეყნების შემდეგ მრავალნი აღიძვრიან ჩემს წინააღმდეგ და ჩაქოლვას დამიპირებენ.**

**მაცხოვარი გეუბნებათ: პირველმა მან ესროლოს ქვა, ვინც უცოდველია!**

**მე კი მაცხოვრის სიტყვების ამგვარი პერიფრაზის უფლებას მივცემ თავს: პირველმა მან მესროლოს ქვა, ვისაც ჩემზე მეტად უყვარს სამშობლო!**

**მე ჩაქოლვის არ მეშინია, ის უფრო მაშინებს, ვაითუ, ვერავის ვერაფერი გავაგებინე...**

**ვალერი კვარაცხელია**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ქართული ოცნება" და „ნაციონალური მოძრაობა" ერთი ხის სხვადასხვა ტოტია, ერთნაირ ნაყოფს ისხამენ, პოზიცია-ოპოზიციას ირქმევენ და არჩევნებზე გვთავაზობენ გაბრიყვებულ ქართველ საზოგადოებას. ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი ესმით, მაგრამ რა ქნან? ორივეს ერთი „ხაზეინი" ჰყავს პოტომაკის ნაპირებიდან და საქართველო ვაშინგტონის „ობკომიდან" — საქართველოში აშშ-ის საელჩოდან იმართება.**

# კიდევ ერთხელ და, მგონი, უკანასკნელად — ლიბერასტი ულმერთო დასავლეთი თუ ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთი

## საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე ყოფნა სჯობდა თუ ახლა ევროპაში ბოლოდან მეორე რომ ვართ? არაფერს ვიტყვი პირველობაზე, რომელსაც 200 წლის განმავლობაში არავის უთმობდა ქართველი

**არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ მსოფლიოში მიმდინარე, დროებით „გაყინული" თუ დასრულებული დიდი თუ მცირე სამხედრო კონფლიქტები, დასავლეთის გეოპოლიტიკური წიაღსვლები (თუ ასე თქმა უპრიანია), სირია იქნება ეს თუ უკრაინა, ბელარუსი თუ სომხეთ-აზერბაიჯანი, ერაყი თუ ლიბია, ვენესუელა და ა.შ. — ყველაფერი ეს, ერთად თუ ცალ-ცალკე, საბოლოო ჯამში, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ფარული თუ აშკარა პროცესებია.**



**რუსეთსაც მოუწევს არჩევანის გაკეთება და, რადგან ცხადია, რომ ეს ომი ერთ-ერთი მხარის გამარჯვებით და, შესაბამისად, რომელიმეს დამარცხებით უნდა დამთავრდეს, შუაში რომ არ გავიჭყლიტოთ, ჩვენც უნდა გავაკეთოთ არჩევანი. ეს არჩევანი კი ერთმორწმუნე რუსეთი უნდა იყოს და არა ის, რომ ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ. ბიბლიურად არ ვიცი, მაგრამ დღეს ჰაოსი და ქართლოსი როგორი ძმებიც არიან, ამაზე ილიას «ქვათა ღაღადი» ღაღადებს**

გაზეთის წინა ნომერში სწორედ ამ უმწვავეს თემებს, რუსეთის გარშემო გეოპოლიტიკური თამაშების ანალიზს მივუძღვენი სტატია, რომელიც იმ ფაქტის კონსტატაციით დავასრულე, რომ ზემოხსენებული მოვლენების გამო გეოპოლიტიკურ ალყაში მოქცევის საფრთხის წინაშე მდგარი რუსული დათვი ამ რეალობას არ შეეგუება და ვაი მას, ვისაც ეს გამძვინვარებული დათვი დატორავს-მეთქი.

რუსეთს ძალა რომ შესწევს ქადილის შესრულებისა, არაერთგზის დაუმტკიცებია სამხედრო კონფლიქტებში პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობით. აგერ მთიანი ყარაბაღის სამხედრო დაპირისპირება (თუმცა, რაღა დაპირისპირება — სრულმასშტაბიანი ომი) ახალი დაწყებული იყო, რომ რუსეთის სამხედრო ძალებმა „ცირკონის" ბრჭყალები გამოაჩინეს, როცა წარმატებით გამოსცადეს ჰიპერბგერითი რაკეტა „ცირკონი" (რომელსაც ამერიკელებმა ავიამზიდების მკვლელი შეარქვეს), რომლითაც თეთრი ზღვიდან ბარენცის ზღვაში, 450კმ-ით დაშორებულ პირობით მიზანს ზუსტად დაარტყეს. ამ რაკეტის ჩამოგდება ჯერჯერობით არც ერთ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას არ ხელეწიფება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დასავლეთის შეიარაღებულ ძალებში „ცირკონის" ანალოგი ჯერჯერობით არ არსებობს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამხედრო ექსპერტებმა „ცირკონს" შეკავების არაბირთვული იარაღი უწოდეს. ეს ყველაფერი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ახალდაწყებული ომის ფონზე მოხდა. „ცირკონის" გაშვება, ერთი მხრივ, ახალი ტიპის იარაღის დემონსტრაციული გამოცდა იყო, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) გაფრთხილება — არაფერი შეგეშალოთო, რადგან სომხეთი არც სირიაა და არც უკრაინა — სომხეთი ამიერკავკასიაში რუსეთის ერთადერთი ერთგული მოკავშირეა, რომელსაც რუსეთი არ დათმობს, თვით თურქეთთან ომსაც არ მოერიდება, ვინაიდან, სამხრეთ კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, **სომხეთის დაკარგვა რუსეთის ჯერ ამიერკავკასიიდან გასვლას, ხოლო პერსპექტივაში მთლიანად კავკასიის და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყირიმის დაკარგვის საფრთხეს ნიშნავს.** რომ იტყვიან, ჩემი მტერი იყოს **რამზან კადიროვის** რუსეთის ფედერაციაში შემავალი, მაჰმადიანი ჩრდილოეთ კავკასიელების (წაიკითხე, ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი და ა.შ.) ერთგულების იმედად; მით უმეტეს, იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ თურქეთის მიერ გაცხადებული ე.წ. დიდი თურანის იმპერიის აღდგენის გეგმების გზაზე, აზერბაიჯანის შემდეგ, ზემოხსენებული ჩრდილოეთ კავკასიის სუნიტი მაჰმადიანური, ანუ თურქეთის ერთმორწმუნე რესპუბლიკების ჯერი დადგება და, აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, რუსეთი არაფრის დიდებით არ დათმობს სომხეთს, ანუ ამიერკავკასიას.

პირიქით — რუსი თუ სხვა პოლიტოლოგ-ექსპერტები პოლიტიკურ შოუებში სულ უფრო ხშირად და გაბედულად საუბრობენ, რომ რუსეთი, უკვე დროა, ჰაერში „კალიბრებისა" თუ „ცირკონების" ფუჭი ფოიერვერკების მოწყობიდან რეალურ ქმედებებზე გადავიდეს — ჯერ ცნობილი რაკეტებით და, თუ საჭირო შეიქნა, ჯერჯერობით მხოლოდ ვლადიმერ პუტინისა და სამხედროების ვიწრო წრისთვის ცნობილი საიდუმლო იარაღების (რომელთა არსებობის შესახებ განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა) მეშვეობით, პანღურის კვრით უნდა გააძევონ ამიერკავკასიიდან თურქები და შემდეგ რომანოვების, გნებავთ, სსრკ-ის იმპერიისდროინდელი „კონსტიტუციური წესრიგი" აღადგინონ გაურჩებულ აზერბაიჯანსა და ნატოსკენ მიმავალ საქართველოში.

სანდო წყაროს ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტს სამხედროები „აწვებიან" ე.წ. დერჟავნიკი გენერალიტეტის სახით, რომლებიც ყოველივე ზემოთქმულის შესასრულებლად დაუყოვნებლივ ქმედებებს მოითხოვენ ვლადიმერ პუტინისგან არა მხოლოდ საქართველო-აზერბაიჯანის მიმართ, არამედ რუსეთის იმპერიის სხვა „უმადური შვილების" — უკრაინა-მოლდოვა-ბელარუსის მიმართაც.

ამ ჩამონათვალში შეიძლება მოხვედრილიყო ყირგიზეთიც, რომელშიც რამოდენიმე დღის წინათ მორიგი „ფერადი რევოლუცია", სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, მაგრამ ბიშკეკის ახალარჩეულმა თუ დანიშნულმა პარლამენტის თავმჯდომარემ ტრიბუნაზე ასვლისთანავე პირველი, რაც თქვა, იყო ის, რომ ყირგიზეთის მთავარი სტრატეგიული მოკავშირე იყო და იქნება რუსეთის ფედერაცია.

ამას წინათ ერთ-ერთ რუსულ ლიბერასტულ ტელეარხზე სსრკ-ის ცნობილ მაესტროსთან, გენიალურ ლატვიელ კომპოზიტორ **რაიმონდ პაულსთან** ინტერვიუს ვუყურე. კორესპონდენტი ერთი საათის განმავლობაში უშედეგოდ „ეჩალიჩებოდა" უკვე 80 წელს გადაცილებულ მაესტროს, როგორმე ცუდი დაეცდენინებინა სსრკ-ზე ან თანამედროვე რუსეთზე. ბატონმა რაიმონდმა ჯერ ხომ აქო და ადიდა სსრკ, შემდეგ ტელეწამყვანის გულის გასახეთქად ხსენებულ ტელევიზიას უსაყვედურა — მინსკის დარბევებს რომ დღენიადაგ ატრიალებთ, იმაზე რატომ დუმხართ, არანაკლებ სასტიკი დარბევები რომ ხდება საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკა ხომ, საერთოდ, გაგიჟდაო. ეს ყველაფერი პირში მიახალა აბეზარ კორესპონდენტს გულმოსულმა „კრემლის ვარსკვლავმა" — ასე ეძახდნენ თურმე ბალტიის რესპუბლიკებში საბჭოთა კავშირისდროინდელ მომღერლებს ბალტიის ქვეყნების ურაპატრიოტები. **მხცოვანმა მაესტრომ ისიც გაიხსენა, რომ სსრკ-ის ეკონომიკაში ლატვიას პირველი ადგილი ეკავა და იქვე კითხვა შეუბრუნა წამყვანს: ევროკავშირის წევრი ლატვიის ეკონომიკა ევროპაში რომელ ადგილზეაო? — ბოლოდან მეორეზეო, თავადვე უპასუხა დასმულ კითხვას დიდმა კომპოზიტორმა.**

თუმცა ერთი მართლა „შეეშალა": ცხოვრების დონით საქართველო იყო პირველი და ბალტიისპირეთი — მეორე.

„შერეკილი" **ერთაოზ ბრეგვაძის** არ იყოს, კინაღამ მეც ვიყვირე: „უჰ, შენი ჭირიმე, ბიძია-ბაბუა!" და იქვე რიტორიკული კითხვა გამიჩნდა: საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე ყოფნა სჯობდა თუ ახლა ევროპაში ბოლოდან მეორე რომ ვართ? არაფერს ვიტყვი პირველობაზე, რომელსაც 200 წლის განმავლობაში არავის უთმობდა ქართველი.

**ყველანაირი გეოპოლიტიკური მოცემულობის გათვალისწინებით, რუსეთი მტრად რომ გაიხადო, ან ავლიპის პაციენტი უნდა იყო, ან სამშობლოს შეგნებული მტერი. ნუთუ ამ უმარტივეს ჭეშმარიტებას ვერავინ ხვდება და ვერავინ ხედავს ქოც-ნაცების ხელისუფლებაში?!**

დიახ, ქოც-ნაცების, რადგან არა ერთხელ და ორჯერ აღგვინიშნავს, რომ „ქართული ოცნება" და „ნაციონალური მოძრაობა" ერთი ხის სხვადასხვა ტოტია, ერთნაირ ნაყოფს ისხამენ, პოზიცია-ოპოზიციას ირქმევენ და არჩევნებზე გვთავაზობენ გაბრიყვებულ ქართველ საზოგადოებას. ყველაფერს ხედავენ და ყველაფერი ესმით, მაგრამ რა ჰქნან? ორივეს ერთი „ხაზეინი" ჰყავს პოტომაკის ნაპირებიდან და საქართველო ვაშინგტონის „ობკომიდან" — საქართველოში აშშ-ის საელჩოდან იმართება.

მოძმე ერები, სტრატეგიული მოკავშირეები გლობალურ პოლიტიკაში ფუჭი სიტყვებია!

წინა წერილში ნათქვამს, ოღონდაც უფრო მძაფრად, გინდ დამაპატიმრონ, გინდ ფაშისტობა თუ ქსენოფობია დამწამონ, მაინც ხმამაღლა ვიტყვი:

სომხეთ-აზერბაიჯანის ომში საქართველო ბოლომდე ნეიტრალური ვერ დარჩება და ბაქოსა და ერევანს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს. ეს რომ ასე იქნება, ამას წინათ მოსკოვში, რუსეთ-სომხეთ-აზერბაიჯანელებს შორის მოლაპარაკების შედეგებმა, უდრო ზუსტად, უშედეგობამ დამარწმუნა — მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებისა, რეგიონში საომარი მოქმედებები ერთი წუთითაც შეწყდა კი არა, უფრო დაუნდობლად გაგრძელდა.

აქედან გამომდინარე, **რუსეთსაც მოუწევს არჩევანის გაკეთება და, რადგან ცხადია, რომ ეს ომი ერთ-ერთი მხარის გამარჯვებითა და, შესაბამისად, რომელიმეს დამარცხებით უნდა დამთავრდეს, შუაში რომ არ გავიჭყლიტოთ, ჩვენც უნდა გავაკეთოთ არჩევანი, ეს არჩევანი კი ერთმორწმუნე რუსეთი უნდა იყოს და არა ის, რომ ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ. ბიბლიურად არ ვიცი, მაგრამ დღეს ჰაოსი და ქართლოსი როგორი ძმებიც არიან, ამაზე ილიას „ქვათა ღაღადი" ღაღადებს.**

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, რადგან ომი აქვს ჩვენს „სტრატეგიულ მოკავშირეს", თურმე დავითგარეჯაზე სიტყვა არ უნდა დავძრათ. რა დროს რუკები და კომპასებია, როდესაც გარეჯში დაღვრილი 6 ათასი ბერის სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და მიწაზე სამართალს ეძებს.

**დავით მხეიძე**

**P.S. „სსრკ-ის დანგრევა XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედია იყო!"— სრული სიმართლე ბრძანა ვლადიმერ პუტინმა თავის დროზე. ამის გამო დასავლელმა ლიბერასტებმა ლამის ჯვარს აცვეს რუსეთის პრეზიდენტი — სსრკ-ის აღდგენა უნდაო. „ვისაც სსრკ-ის დანგრევა გაუხარდა, მას გული არ აქვს, მაგრამ, ვისაც სსრკ-ის აღდგენა უნდა, მას ჭკუა არ აქვს!" — ესეც პუტინის ნათქვამია და ფრთხილად, ნატოს პამპერსების მოტრფიალე საქართველოვ, რადგანაც რუსეთის პრეზიდენტი, მგონი, „უჭკუო" საქციელს აპირებს და ემანდ „ავარიაში არ მოვხვდეთ", ერთხელ მაინც გავაკეთოთ სწორი არჩევანი: იქით — ლიბერასტული, ულმერთო დასავლეთი და აქეთ — ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთის იმპერია!**

რუსეთი კონფლიქტში „ჩაერია“ და მერე როგორ — ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა მოახერხა ის, რაც ვერ მოახერხეს ევროპამ და ამერიკამ. რუსეთმა მოლაპარაკების მაგიდასთან დასვა აზერბაიჯანული და სომხური მხარეები, თვითონ შუამავლის როლი იკისრა და ყოველგვარი მატრაკვეცობისა და ზედმეტი აურზაურის გარეშე ისინი, დროებით მაინც, ცეცხლის შეწყვეტაზე დაითანხმა.

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოლაპარაკების გამართვამ დაგვანახვა, რომ რუსეთთან დიალოგი აუცილებელია

**აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე ომი საქართველოზეც ახდენს გავლენას — გარდა იმისა, რომ რეგიონში სიმშვიდე არ არის, ისედაც მყიფე ეკონომიკას მეზობლებს შორის არასტაბილური გარემო კიდევ უფრო შეარყევს, მაგრამ ახლა არა ეკონომიკაზე, არამედ იმაზე გვსურს საუბარი, რისი სწავლა შეიძლება ამ ომიდან და ისიც გავიხსენოთ, რომ სულელები საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ, ჭკვიანები — სხვისაზე და ჩვენი გადასაწყვეტია, რომელს ავირჩევთ.**



როგორც ერთი, ისე მეორე მხარე ინტერნეტში მუდმივად ავრცელებდა ომის ამსახველ კადრებს, როგორ ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალას, როგორ იგდებდნენ ხელთ საბრძოლო ტექნიკას. ამ ყველაფერს პატრიოტული სიმღერებიც ერთვოდა. რა თქმა უნდა, კარგია, როცა მტერს იგერიებ, მაგრამ თითოეული გარდაცვლილი ჯარისკაცის უკან ოჯახი დგას — მშობლები, ცოლშვილი და თითოეულის სიკვდილი ტრაგედიაა. ახლა არ ვიტყვით, რომელი მხარის, მაგრამ რამდენიმე ათეულ ტანკისტს წელზე ჯაჭვი ჰქონდა შემორტყმული, რომლითაც ტანკის სკამზე იყვნენ მიბმულნი, ბრძოლის ველიდან რომ არ გაქცეულიყვნენ. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ტანკების განადგურება ჰაერიდან დრონის მეშვეობით ისე ხდება, გაქცევას კი არა, ამოსუნთქვას ველარ ასწრებენ. ჰოდა, ეს უწვერული ბიჭები რკინის კუბოში ჰყავდათ დაბმული და ისე უშვებდნენ სიკვდილთან შესახვედრად. **ნეიტრალური ადამიანისთვის (თუ, საერთოდ, შეიძლება ომის დროს ნეიტრალური იყო) ეს ყველაფერი უმძიმესი სანახავია და ამიტომ ადრეც მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია, რომ მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს.**

იმის მიუხედავად, რომ დასავლეთმა შეშფოთება-აღშფოთების შემდეგ ორივე მხარეს ომის შეწყვეტისკენ მოუწოდა, არც აზერბაიჯანი და არც სომხეთი არ გაჩერებულან. ორივე მხარე დაუნდობლად ბომბავდა ერთმანეთის პოზიციებს და მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურების შესახებაც ომახიანად გადმოსცემდა. **ომის შეწყვეტის მოწოდებასთან ერთად, ევროპისა და ამერიკის ლიდერები იმასაც გაიძახოდნენ, რომ მთავარია, ამ ომში რუსეთი არ ჩაერიოს, თორემ შემდეგ ყველაფერი უფრო ფართო მასშტაბს მიიღებსო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ დასავლეთს სურდა ომში რუსეთის ჩართვა და ასეთ შემთხვევაში კავკასია საბრძოლო პოლიგონად იქცეოდა,** საქართველოც ავტომატურად აღმოჩნდებოდა კონფლიქტში ჩართული და საბოლოოდ მივიღებდით იმას, რომ ამიერკავკასია მხოლოდ ტერიტორია იქნებოდა, დაუსახლებელი, გაუკაცრიელებული, ჩვეულებრივი საბრძოლო პოლიგონი, რომელსაც რიგრიგობით გამოიყენებდნენ „სტრატეგიული პარტნიორები“ ან საწვრთნელად, ან საომრად.

საბოლოოდ, **რუსეთი კონფლიქტში „ჩაერია“ და მერე როგორ — ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა მოახერხა ის, რაც ვერ მოახერხეს ევროპამ და ამერიკამ. რუსეთმა მოლაპარაკების მაგიდასთან დასვა აზერბაიჯანული და სომხური მხარეები, თვითონ შუამავლის როლი იკისრა და ყოველგვარი მატრაკვეცობისა და ზედმეტი აურზაურის გარეშე ისინი, დროებით მაინც, ცეცხლის შეწყვეტაზე დაითანხმა.** სულ ცოტა, სამდღიანი მშვიდობის პერიოდში მხარეები დაღუპულთა ცხედრებისა და ტყვეების გაცვლით იქნებიან დაკავებულნი და, ამასთანავე, წითელი ჯვარი ჰუმანიტარულ დახმარებასაც შეიტანს რეგიონში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა და, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, მათი ყოფა ყოველდღიურად დამძიმდება.

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ქართულ სოციალურ ქსელებში ნამდვილი ისტერიკა დაიწყო. რაც მთავარია, ამ ისტერიკის მომწყობნი არა რიგითი ადამიანები, არამედ ე.წ. ცნობადი ფეისები აღმოჩნდნენ. ისინი მიესალმნენ ცეცხლის შეწყვეტას, მაგრამ დაიწუნეს ის, რომ მხარეებმა ცეცხლი რუსეთის ჩარევის შემდეგ შეწყვიტეს. თურმე ძალიან ცუდია, თბილისელმა **სერგეი ლავროვმა** რომ მოახერხა და აზერბაიჯანი და სომხეთი დააზავა, რადგან ლავროვს თურმე კავკასია ეზიზღება. ვერ გეტყვით, სად ამოიკითხეს ზიზღი, რადგან ლავროვს არაერთხელ უთქვამს, რომ მშობლიური თბილისი ძალიან უყვარს და ენატრება.

**ცივილიზებული სამყარო ტაშს უკრავს რუსეთს იმისთვის, რაც მოახერხა, ჩვენ კი ვლანძღავთ და ამით ქულების ჩაწერა გვინდა დასავლეთთან, მაგრამ იმას რატომ არავინ კითხულობს, თვითონ დასავლეთი რატომ არ აკრიტიკებს რუსეთს წარმატებული მოლაპარაკებების გამო? იმიტომ, რომ სულელი გამოჩნდება, შეუსაბამო გამოჩნდება მსოფლიოს თვალში და ამიტომ ტაშს უკრავს; ან რა საჭიროა აუტკივარი თავის ატკივება, როცა აგერ არის საქართველო და ნებისმიერ განცხადებას ისე გააკეთებს, კითხვასაც არ დასვამს**

**საინტერესოა ისიც, რომ არც ამერიკისა და არც ევროპის არც ერთ პოლიტიკოსს რუსეთის ინიციატივა და მიღწეული შედეგი არ გაუკრიტიკებია. პირიქით — ლავროვს ტაშიც დაუკრეს, კარგია, რომ მოახერხე და საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ერთ მაგიდასთან დასვიო. თანაც, ეს არ იყო შეხვედრა შეხვედრისთვის, ის კონკრეტული შედეგით დასრულდა და ეს დაინახა სრულიად მსოფლიომ... საქართველოს გარდა.**

არ ვიცი, სხვა რა ტერმინი გამოვიყენო, მაგრამ **ქართველი პოლიტიკოსების განცხადებები ამ მიმართულებით ყეფას უფრო ჰგავს. მშვიდობა დამყარდა რეგიონში და მაინც ვაკრიტიკებთ რუსეთს. კაცის კვლა შეაჩერა რუსეთმა და ჩვენ მაინც არ მოგვწონს.** რამდენიმე ასეული ადამიანი სამუდამო განსასვენებელს მშობლიურ მიწაში ჰპოვებს, რამდენიმე ათასი დახმარებას მიიღებს, რამდენიმე ასეული ტყვეობას თავს დააღწევს და ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცუდიცაა, რადგან რუსეთმა გააკეთა. **უკვე სასაცილოც აღარ არის ქართველ პოლიტიკოსთა უგუნურება, რადგან ის ყოველგვარ ზღვარს სცდება. კოსმოსსაც აქვს საზღვარი, იდიოტიზმი უსაზღვროაო, — ამაზეა ნათქვამი. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს.** რატომღაც გვგონია, რომ, როგორც წელს, დავოსის ფორუმზე მხოლოდ ჩვენ ვაკრიტიკეთ რუსეთი, ისე ხდება ახლაც. ამჯერადაც, **მხოლოდ ჩვენ გვაკრიტიკებინებენ** (ჰო, გვაიძულებენ) რუსეთს იმისთვის, რომ შემთხვევით არ გაგვიჩნდეს სურვილი და ლავროვს სასაუბროდ არ დაუჯდეს **დავით ზალკალიანი.** გემახსოვრებათ ის ისტერიკა, რაც ზალკანიანისა და ლავროვის შეხვედრას მოჰყვა. მაშინ ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს აუგი არ დასცდენია, რადგან გამოცდილი დიპლომატია და მიხვდა, რომ მეზობელთან კონკრეტულ თემებზე საუბარი შესაძლებელი იყო, მაგრამ... არ დაგვაცადეს, არ დაგვანებეს და კვლავ კატათაგვობანას თამაში განვაგრძეთ. **ცივილიზებული სამყარო ტაშს უკრავს რუსეთს იმისთვის, რაც მოახერხა, ჩვენ კი ვლანძღავთ და ქულების დაწერა გვინდა დასავლეთთან, მაგრამ იმას რატომ არავინ კითხულობს, თვითონ დასავლეთი რატომ არ აკრიტიკებს რუსეთს წარმატებული მოლაპარაკებების გამო? იმიტომ, რომ სულელი გამოჩნდება, შეუსაბამო გამოჩნდება მსოფლიოს თვალში და ამიტომ ტაშს უკრავს. ან რა საჭიროა აუტკივარი თავის ატკივება, როცა აგერ არის საქართველო და ნებისმიერ განცხადებას ისე გააკეთებს, კითხვასაც არ დასვამს.**

რეალობას თვალი რომ გავუსწოროთ, სწორედ **აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა დაგვანახვა, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი აქვს. თანაც, ეს ის შემთხვევაა, როცა აზერბაიჯანიც და სომხეთიც მოლაპარაკების შედეგით კმაყოფილია, რუსეთს კი აქედან რა სარგებელი? — არაფერი.** მან, უბრალოდ, შეასრულა **შუამავლის როლი და შეასრულა უმაღლეს დონეზე** — რა ვალდებულებაც აიღო, იმას თავი გაართვა. წელან ტყუილად არ გვიხსენებია, რომ ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ. ახლა სწორედ ის დროა, რომ სხვის შეცდომებზე ვისწავლოთ და არ დავიწყოთ ახალი ველოსიპედის გამოგონება. **ვკითხოთ ზალკალიანს, ლავროვთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა თუ უკმაყოფილო.** კულუარულად ჰკითხონ, **ხმამაღლა ნუ იტყვიან და იქნებ დაიწყოს შეხვედრის მომზადება საქართველოსა და რუსეთის პირველ პირებს შორის. ნუ იქნება რუსეთი, მერე რომ არ ითქვას, მოსკოვში ეახლნენო, ნუ იქნება საქართველო, აქ რომ აქციები არ გაიმართოს, იყოს ნეიტრალური სტატუსის მქონე შვეიცარია, რომელიც მაშინაც მზად იყო ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის და გამორიცხულია, ახლა თქვას უარი შუამავლის როლზე.** პირველივე შეხვედრის შემდეგ გამოჩნდება, აქვს თუ არა აზრი დიალოგის გაგრძელებას და, თუ ჩვენი ხელისუფალი იტყვის, რომ აზრი არ აქვს, ხმას აღარავინ ამოიღებს; იტყვიან: ვცადეთ, არ გამოვიდაო.

ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. **ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ ჩვენი სიმშვიდის, ტერიტორიული მთლიანობისა და მართლა დამოუკიდებლობის გასაღები რუსეთშია. კიდევ გავიმეორებთ: საქართველო არ უნდა დაემონოს არც ერთ ქვეყანას, არ უნდა იყოს არავისზე დამოკიდებულ-ჩამოკიდებული და არ უნდა ასრულებდეს არც ერთი ქვეყნის ლიდერისა თუ ელჩის მითითებებს. ამიტომ ვამბობთ, რომ უნდა ვესაუბროთ ყველას და ვესაუბროთ, როგორც ტოლ-სწორები და არა ისე, წელში ოთხად რომ მოიკეცებიან, კითხვის ნიშანს რომ დაემსგავსებიან ხოლმე ჩვენი ლიდერები. მანამდე კი, სომხეთმა და აზერბაიჯანმა გაბედეს რუსეთის შუამავლობით ერთ მაგიდასთან დასხდომა და ზავი დადეს. ლავროვს არც ერთი მათგანი არ შეუჭამია.**

**უნდა ვესაუბროთ ყველას და ვესაუბროთ, როგორც ტოლ-სწორები და არა ისე, წელში ოთხად რომ მოიკეცებიან, კითხვის ნიშანს რომ დაემსგავსებიან ხოლმე ჩვენი ლიდერები. მანამდე კი სომხეთმა და აზერბაიჯანმა გაბედეს რუსეთის შუამავლობით ერთ მაგიდასთან დასხდომა და ზავი დადეს. ლავროვს არც ერთი მათგანი არ შეუჭამია**

**ბესო ბარბაქაძე**

არჩევნები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკაში მხოლოდ ორი ანგარიშგასაწევი პარტიაა, მსოფლიოს ყველაზე მზარდი ეკონომიკის მქონე, 1,4-მილიარდიან ჩინეთში — ერთი და ისიც კომუნისტური, ევროპის წამყვან ქვეყნებშიც ორი-სამი პარტია ებრძვის ერთმანეთს ხელისუფლებისთვის და თურმე, საქართველოში ათი და მეტი პარტია თუ მოხვდება პარლამენტში, კარგია. თუ ეს კარგია, თვითონ რატომ არ აქვთ მრავალპარტიული პარლამენტი? თვითონ რატომ არ აქვთ ნულოვანი ბარიერი? რატომ არ ეპატიჟებიან ყველა მსურველს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში?**

# ევროპაში მაღალი საარჩევნო ბარიერი და თითზე ჩამოსათვლელი პარტიები რომ არის, ჩვენ რატომ გვტენიან ნულოვან ბარიერსა და ასობით პარტიას?

## გონება დაძაბეთ და ჩამოთვალეთ პარტიები, რომლებიც საქართველოში დამოუკიდებლად მოახერხებენ 7%-იანი ბარიერის გადალახვას

**საქართველოში 31 ოქტომბერს სამი ათასზე მეტი საარჩევნო უბანი გაიხსნება. დღეს არსებული ნულოვანი ბარიერის პირობებში საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად თითო უბანზე ოთხი ხმის მოპოვებაც კი საკმარისია — თუ თითოეულ უბანზე რომელიმე პარტია, სულ ცოტა, ოთხ ხმას აიღებს, პარლამენტში ერთ კაცს გაიყვანს. ამის მიუხედავად, პარტიები ერთიანდებიან ბლოკებში, კოალიციებში, ადგენენ გეგმებს, ეთმობათ საეთეროდ უფასო დრო და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ პარტიების უმრავლესობას არ აქვს იმის იმედი, რომ უბანზე ასე საჭირო 4 ხმას მოიპოვებს.**

მაღალმთიან სოფლებში ამომრჩეველთა რაოდენობა დიდი არ არის, მაგრამ უბნების უმრავლესობაში 1400-1500 ამომრჩეველია რეგისტრირებული, ე.ი., ხმების ერთი პროცენტიც კი არ არის საჭირო იმისთვის, რომ პარლამენტში მოხვდე. **მარტივი გათვლებით, 0,66 პროცენტიც რომ აიღოს პარტიამ, პარლამენტში ერთი კაცი შეჰყავს. რაც მთავარია, ამის შემდეგ ის კვალიფიციური სუბიექტი ხდება და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში... სახელმწიფოსგან დაფინანსებას იღებს, რათა რეგიონული ოფისები ამუშაოს, მაგრამ რომელ ოფისებსა და მხარდამჭერებზეა ლაპარაკი, როცა იმის იმედიც არ გაქვს, რომ უბანზე 1400 კაციდან გამოჩნდება 4 ადამიანი, რომლებიც მხარს დაგიჭერენ, და ამიტომ იძლებული ხარ, სხვასთან გაერთიანდე?**

**ამ გაერთიანებასაც აქვს თავისი მიზეზი: თითო წარმომადგენელი უბანზე ყველა პარტიას ეყოლება; ორის გაერთიანების შემთხვევაში ეს გარანტირებული ორი ხმაა, დაუმატეთ მას კიდევ ორი გზააბნეული ამომრჩევლის ხმა და ერთი კაცი პარლამენტშია. მერე იმ ფულს, რომელსაც სახელმწიფო 4 წლის განმავლობაში ჩვენი გადასახადებიდან მათ მისცემს, ძმურად გაიყოფენ და წავიდა 4 წელი ხალხის ხარჯზე გრიალი. არ გეგონოთ, მცირე თანხებზე ვსაუბრობთ, ძირითადად თანხა მილიონ ლარს სცდება.**

სამაგიეროდ, ამერიკისა და დასავლეთის განცხადებები ამ მიმართულებით ისეთია, გაოცებისგან, შესაძლოა, ყბა ჩამოგივარდეთ. ისინი მიესალმებიან იმას, რომ საქართველოს პარლამენტში ბევრი პარტია მოხვდება და პოლიტიკური სიჭრელე იქნება (ქართული რეალობის გათვალისწინებით — ბარდაკი და განუკითხაობა). არადა, **ამერიკაში მხოლოდ ორი ანგარიშგასაწევი პარტიაა, მსოფლიოს ყველაზე მზარდი ეკონომიკის მქონე, 1,4-მილიარდიან ჩინეთში — ერთი და ისიც კომუნისტური, ევროპის წამყვან ქვეყნებშიც ორი-სამი პარტია ებრძვის ერთმანეთს ხელისუფლებისთვის და თურმე, საქართველოში ათი და მეტი პარტია თუ მოხვდება პარლამენტში, კარგია. თუ ეს კარგია, თვითონ რატომ არ აქვთ მრავალპარტიული პარლამენტი? თვითონ რატომ არ აქვთ ნულოვანი ბარიერი? რატომ არ ეპატიჟებიან ყველა მსურველს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში?** პასუხი მარტივია — ასე ზოგავენ თანხებსაც, ამომრჩევლის და საკუთარ ნერვებსაც და, რაც მთავარია, ასე უფრო მარტივია მართვა. მოსწონს ერთი პარტიის პროგრამა ამომრჩეველს — აძლევს ხმას, არ მოსწონს — მოწინააღმდეგეს აძლევს ხმას. და, როგორც ახლა ამბობენ, წერტილი!

გსმენიათ, ამერიკაში საარჩევნო ნომერი ჰქონოდეს რომელიმე პარტიას? ან მოგიკრავთ ყური, დასავლეთში რომელიმე პარტიის ნომერი 40-ს ან 50-ს ზემოთ ყოფილიყოს? სასაცილოდ არ ეყოფა ეს იქაურ ამომრჩეველს, არ ხდება იქ ასე და არ ხდება იმიტომ, რომ **ყველა არ იჩემებს პოლიტიკოსობას; არ ამბობს, რომ ქვეყანა უნდა ანდონ და ის აუცილებლად გაამართლებს. არ არის დასავლეთში პოლიტიკა ფულის საჭრელი მანქანა და არ გადადის მემკვიდრეობით პარტიის თავმჯდომარეობა მამიდან შვილზე.** ერთი ექსპერიმენტი ამერიკამაც ჩაატარა: მამა **ბუშის** შემდეგ ქვეყნის სათავეში შვილი ბუში მოვიდა, რასაც დღემდე ნანობენ. ჩვენთან კი **მამები, რომლებიც, 30 წელია, ძერებივით დასტრიალებენ პარლამენტს და მომენტს ელიან, ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე წარმატებით დასხდნენ, ახლა ასპარეზზე შვილებთან ერთად გამოდიან და ხალხს აგუებენ მათ სახეებსა და სახელებს (გვარები ისედაც გვახსოვს).**

ყირგიზეთში რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო. **არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა და ხელისუფლებამ ძლივს გაასწრო. ჩვენთვის საინტერესო კი ის არის, რომ ამ გადატრიალებით აღფრთოვანებული დარჩა ჩვენი ოპოზიცია — აქაოდა, თუ ხელისუფლება შედეგებს გააყალბებს, იმავეს მოვიმოქმედებთო, მაგრამ ოპოზიციის არც ერთ ლიდერს არ წამოსცდენია, რომ ყირგიზეთში, რომელსაც განვითარებით ვუსწრებთ** (ყოველ შემთხვევაში, ასე გვეუბნებიან), **7%-იანი საარჩევნო ბარიერია დაწესებული. ახლა კი გონება დაძაბეთ და ჩამოთვალეთ პარტიები, რომლებიც საქართველოში დამოუკიდებლად მოახერხებენ 7%-იანი ბარიერის გადალახვას.** ერთი ხელის თითები სავსებით საკმარისია ამისთვის. საქართველოში რეალურად 4-5 პარტიაა, რომლებსაც ჰყავთ ელექტორატი, დანარჩენები კი, უბრალოდ, მავნებლები არიან. ჰო, მავნებლები, რადგან, როცა 1500-კაციან უბანზე 4 ხმის მოგროვების იმედი არ გაქვს და ამიტომ სხვასთან ერთიანდები, პოლიტიკაში რა გინდა, უნდა დაფიქრდე. შესაძლოა, ბევრს არ მოსწონდა **კობა დავითაშვილი** ან პირიქით — მოსწონდა, მაგრამ კაცმა თქვა: არჩევნებში თუ 3%-იან ნიშნულს ვერ გადავლახავ, ჩავთვლი, რომ პოლიტიკაში ჩემი ადგილი არ არის და წავალო. **ვერ გადალახა, ადგა და კაცურად წავიდა.** ანალოგიურად მოიქცა დავით გამყრელიძეც. იქნებ თქვენც გეყოთ კაცობა, ქალობა და ამ არჩევნების შემდეგ, უბრალოდ, თქვათ, რომ პოლიტიკაში თქვენი ადგილი არ არის და წახვიდეთ. ჩამოთვლაც შეგვიძლია, მაგრამ ეჭვი გვაქვს, ამდენ პარტიაში ვინმე გამოგვრჩება და გული დასწყდება. **არ გაგიკვირდეთ და, პოლიტიკურ პარტიებად „ქობულეთის მომავლის ფონდი“, „კასპის მომავლის ფონდი“, „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“, „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია“ და კიდევ სხვები არიან დარეგისტრირებულნი.** რა ძნელი მისახვედრია, რომ მათ პარლამენტში მოხვედრის შანსი არ აქვთ, მაგრამ, თუ გაერთიანდებიან და თუ გახდებიან ათი და ოცი, შესაძლოა, ერთი კაცი გაძვრეს და... ყველა მათგანი იღებს კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს და... წავიდა დაფინანსება.

გამოსავალი ერთია — **აუცილებელია, რომ გაიზარდოს საარჩევნო ბარიერი,** აუცილებელია, რომ პარტიას არჩევნებში მონაწილეობისთვის დაევალოს არა რამდენიმე ასეული მხარდამჭერის ხელმოწერის მიტანა, არამედ ეს რაოდენობა სოლიდური გახდეს და რეალურს მიუახლოვდეს. არ გამოვა სხვანაირად, რადგან **მუდმივად იქნება ცდუნება, რომ პოლიტიკა არის საუკეთესო ბიზნესი, აკეთო არაფერი და იშოვო ფული. როგორც ერთი ამბობდა, მილიონი უნდა ვიშოვოო, სწორედ ეგაა ყველაფრის თავიდათავი და ის ერთი ამ პარლამენტშიც აუცილებლად მოხვდება, ისეთ ადგილზე ჩასვა კონკრეტულმა პარტიამ.**




**აუცილებელია, რომ გაიზარდოს საარჩევნო ბარიერი; აუცილებელია, რომ პარტიას არჩევნებში მონაწილეობისთვის დაევალოს არა რამდენიმე ასეული მხარდამჭერის ხელმოწერის მიტანა, არამედ ეს რაოდენობა სოლიდური გახდეს და რეალურს მიუახლოვდეს. არ გამოვა სხვანაირად, რადგან მუდმივად იქნება ცდუნება, რომ პოლიტიკა არის საუკეთესო ბიზნესი, აკეთო არაფერი და იშოვო ფული. როგორც ერთი ამბობდა, მილიონი უნდა ვიშოვოო, სწორედ ეგაა ყველაფრის თავიდათავი და ის ერთი ამ პარლამენტშიც აუცილებლად მოხვდება, ისეთ ადგილზე ჩასვა კონკრეტულმა პარტიამ**

თუმცა, ერთიცაა, საარჩევნო ბარიერის მომატებას დასავლეთი არ დაგვანებებს და იცით, რატომ? ასეთ შემთხვევაში, **ლიბერალიზმის მომხრე პარტიები, უბრალოდ, არსებობას შეწყვეტენ. ისინი არათუ პარლამენტში ვერ მოხვდებიან, იმ მხარდაჭერით, რომელიც აქვთ, პარლამენტთან ახლოსაც ვერ გაივლიან.** ლიბერალიზმს კი დასავლეთში უზარმაზარი ზურგი აქვს და სწორედ ის ზურგი არ დაუშვებს მათ დაკნინებას. პირდაპირ ვთქვათ: **რესპუბლიკური პარტია არჩევნებში დამოუკიდებლად რომ გავიდეს, 0,66%-ს ვერ მიიღებს და კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის გარეშე დარჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკელები ისევ ამერიკამ უნდა დააფინანსოს და რატომ შეიწუხოს თავი, როცა მარტივად შეიძლება პარტიის ერთ-ერთი წევრი ჩასვას სხვა ოპოზიციური პარტიის გამსვლელ სიაში და კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს პლუს სახელმწიფოს დაფინანსება გარანტირებული ექნება.**

ვერ გეტყვით, შეეცდება თუ არა ეს პარლამენტი რაიმეს შეცვლას ამ მიმართულებით, მაგრამ კითხვა მაინც ხომ უნდა დასვას: **ევროპაში მაღალი საარჩევნო ბარიერი და თითზე ჩამოსათვლელი პარტიები რომ არის, ჩვენ რატომ გვტენიან ნულოვან ბარიერსა და ასობით პარტიას?** თანაც, 3-მილიონიან ქვეყანაში, სადაც, ამომრჩეველი პროპორციულად რომ გადაანაწილო, ერთ პარტიაზე, შესაძლოა, ერთი სტადიონი ხალხიც ვერ შეგროვდეს, მაგრამ **ქართველ პოლიტიკოსებს ხომ „სტრატეგიული პარტნიორებისთვის“ ასეთი კითხვების დასმა აკრძალული აქვთ?! მათ მხოლოდ უსიტყვო მორჩილება და ერთმანეთის ატანა ევალებათ.** მერე რა, რომ პარლამენტში სწორედ ამ პოლიტიკური სიჭრელისა და გაურკვევლობის გამო მუშტი-კრივი ჩვეულებრივი ამბავია. დამშეულ მოსახლეობას პურს როცა ვერ აჭმევ, სანახაობა მაინც არ უნდა მოაკლო და არ ყოფილა პარლამენტი, რომელიც უჩხუბრად და გამიშვი-გამაკავეს გარეშე ჩამთავრებულიყოს. არც ეს პარლამენტი იქნება ასეთი და ამიტომ პარტიულ სიებში სპორტსმენების სიმრავლეც ნუ გაგაკვირვებთ. ნავარჯიშევი კაცი მაინც სხვანაირად იქნევს მუშტს.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.** ქვეყნის ამჟამინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საარჩევნო კამპანიის შემყურე საქართველოს მოსახლეობა, დროა, დაფიქრდეს პარლამენტში დეპუტატების რაოდენობისა და მათთვის ანაზღაურების შემცირებაზე, რაც ნაკლები დეპუტატი იქნება პარლამენტში, მით ნაკლები წურბელა ეყოლება ბიუჯეტს. საქართველოში 3,7 მლნ ადამიანი ცხოვრობს, პარლამენტში კი 150 დეპუტატია. მარტივი გაანგარიშებით, გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველ 24 666 ადამიანზე 1 დეპუტატი მოდის. ეს, მაგალითად, იტალიის მაჩვენებელზე 6-ჯერ ნაკლებია.

**ბართოლომეოსმა საჯაროდ განაცხადა, რომ მზად არის, აღიაროს პაპის პრიმატი: „თუკი ჩვენ მივაღწევთ თანხმობას კათოლიკურ ეკლესიასთან ტერმინ „პირველობის“ საკითხში, როგორიც იყო ის პირველ ათასწლეულში, მაშინ ეკუმენისტი პატრიარქისთვის სირთულე არ იქნება რომის კათედრის პირველობის აღიარება და მეორე ადგილის დაკავება“.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბართოლომეოსმა ვატიკანთან შერწყმის გზები დააკონკრეტა

**აშშ-ში საბერძნეთის არქიეპისკოპოსის (ეკუმენისტური საპატრიარქოს იურისდიქციაშია) მეთაურმა ელპიდოფორ ლამბრინიადისმა ნიუ-იორკში, იეზუიტების უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია თემაზე „მართლმადიდებლურ-კათოლიკური ურთიერთობების მომავალი აშშ-ში“.**

**ელპიდოფორი** კონსტანტინოპოლის პატრიარქ **ბართოლომეოსის** უბრალო ნაცვალი არ არის მეტროპოლიაში (სტამბოლის საპატრიარქო, ფაქტობრივად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის „საეკლესიო“ განყოფილებაა), ის მის მემკვიდრედ ითვლება (დასავლეთ ევროპაში კონკურენტ ემანუელის ჩაფლავების შემდეგ, რომელმაც ხელი ვერ შეუშალა იქაური რუსული არქიეპისკოპოსის მიერთებას მოსკოვის საპატრიარქოსთან).

**ელპიდოფორი, როგორც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რაფინირებული თანამშრომელი, ეკუმენისტი პატრიარქის რუხი კარდინალია. ის ასაჯაროებს სხვადასხვა ანტიკანონიკურ ინიციატივას და სამსჯელოდ გააქვს საერთაშორისო და კონფესიათაშორის მოედნებზე, სანამ ბართოლომეოსი დანერგავს მათ „მსოფლიო დონეზე“.** ამ რაკურსში უნდა განვიხილოთ „მართლმადიდებლურ-კათოლიკური ურთიერთობების მომავალი“, როგორც მას ხედავენ ზემოხსენებული პერსონაჟები.

ლექციის შესავალში ელპიდოფორმა მიუთითა ხსენებული ურთიერთობების „ისტორიულ წინამძღვრებზე“: „1965 წელს წინასწარმეტყველური ჟესტით პაპმა **პავლე VI**-მ და ეკუმენისტმა პატრიარქმა **აფინაგორამ** ერთობლივად გადაწყვიტეს, აღედგინათ ევქარისტული ურთიერთობები, რომლებიც დაიკარგა საუკუნეების განმავლობაში; ამასთანავე, გააუქმეს 1054 წლის გადაწყვეტილება ეკლესიის გაყოფის შესახებ“. გამოდის, **ეკუმენისტური საპატრიარქო, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, პაპს ეკლესიის წევრად მიიჩნევს.**

მსოფლიო ეკლესიამ ეს აქტი არ მიიღო. კერძოდ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის იმჟამინდელმა პატრიარქმა **ალექსი I**-მა აფინაგორს აცნობა: „ამ აქტს, ჩვენი აზრით, მნიშვნელობა არ აქვს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის“, ხოლო ელადის ეკლესიის მეთაურს, არქიეპისკოპოს **ქრიზოსტომს** რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა განუმარტა: **„ამ აქტს ღვთისმეტყველური მნიშვნელობა არ აქვს, რადგან კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის განხეთქილება ძალიან ღრმაა და ამ განხეთქილების დასაძლევად ამჟამად შესაბამისი საფუძველი არ არსებობს“.**

ბართოლომეოსმა პაპებთან ურთიერთობა მესა-ლიტურგიებში მონაწილეობამდე დაიყვანა. შედეგად, როგორც ელპიდოფორი ამბობს, „ორი ეკლესიის დიალოგმა „სიმწიფეს“ მიაღწია და ჩასახა რწმენა, რომ სწორედ დღეს, როგორც არასდროს, მართლმადიდებლები და კათოლიკები შეძლებენ, დატკბნენ ჩვენი ეკლესიების გაერთიანებით“, ამ დიალოგის „მიღწევები“ კი გამოიხატება შემდეგში:

*** ურთიერთაღიარება;**
*** საერთო აღსარება;**
*** მრავალფეროვნების მიღება;**
*** ერთობლივი ლიტურგიული გამოცდილება;**
*** განახლება და რეფორმები;**
*** პაპის ტახტის როლის აღიარება.**

პაპის ღირსებების გაგება — „ის, როგორ განვსაზღვრავთ ძალაუფლებას ეკლესიაში“, ფენერის წარმომადგენლის აზრით, „პირდაპირ გავლენას იქონიებს ჩვენს უნარზე, ვიცხოვროთ და ვიარსებოთ, როგორც ერთიანმა ეკლესიამ“. თუმცა ეპიდოფორი იქვე „აზუსტებს“, რომ მისი შეფი (ის შეფი კი არა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან, არამედ ის, ვინც „მართლმადიდელობის სხეულის პრეზიდენტია“) ლაპარაკობს „სიყვარულის, ღირსებისა და მსახურების პირველობაზე“, მაგრამ სინამდვილეში ასეა?

საერთოდ, **ღირსების პირველობაზე (ოღონდ, რა თქმა უნდა, არა კათოლიკე პაპის) ლაპარაკობს კანონები, მსახურების პირველობაზე — თვითონ იესო ქრისტე („ხოლო თქვენ შორის უდიდესი თქვენი მსახური იყოს“, მათე, 23:11), რომელიც თვითონ არის სიყვარულის პირველობა.** ბართოლომეოსი კი მანიაკურად ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ პირველია მართლმადიდებელ იერარქთა შორის არა ღირსებით, არამედ ძალაუფლებით და ამ ძალაუფლების საფუძველზე ქმნის განხეთქილებას მართლმადიდებლურ სამყაროში. ბართოლომეოსი მზად არის, ორი ეკლესიის გაერთიანების შემთხვევაში, „ძალაუფლების პირველობა“ რომის პაპს გადასცეს. ბართოლომეოსმა 2006 წელს უკვე გაუწია სამსახური პაპ **ბენედიქტს**, როცა ის ფენერის რეზიდენციაში მიიღო.



შეხვედრისას გამართულ ცერემონიაზე ეკუმენისტი პატრიარქი რომის პაპს ისე მიესალმა, როგორც იესო ქრისტეს (ეკლესიის ჭეშმარიტ მეთაურს). და ეს იმის მიუხედავად, რომ ვატიკანი მოითხოვს დოგმების დაცვას ხელისუფლებასა და პაპის უცდომელობის შესახებ. **რომის პაპის ჰეგემონიაზე თანხმობა გამოიხატა იმაშიც, რომ პონტიფიკოსის სახელი ლიტურგიაში პირველი მოიხსენია — კონსტანტინოპოლის პატრიარქზე ადრე.** შემდეგ წელს ბართოლომეოსმა უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ მზად არის, აღიაროს პაპის პრიმატი: **„თუკი ჩვენ მივაღწევთ თანხმობას კათოლიკურ ეკლესიასთან ტერმინ „პირველობის“ საკითხში, როგორიც იყო ის პირველ ათასწლეულში, მაშინ ეკუმენისტი პატრიარქისთვის სირთულე არ იქნება რომის კათედრის პირველობის აღიარება და მეორე ადგილის დაკავება პაპის პრიმატის აღიარების მზადყოფნის შესახებ: „თუკი ჩვენ მიღვაწევთ თანხმობას კათოლიკურ ეკლესიასთან ტერმინ „პირველობის“ საკითხში, როგორიც იყო ის პირველ ათასწლეულში, მაშინ ეკუმენისტი პატრიარქისთვის სირთულე არ იქნება რომის კათედრის პირველობის აღიარება და მეორე ადგილის დაკავება“.**

**ელპიდოფორი, როგორც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რაფინირებული თანამშრომელი, ეკუმენისტი პატრიარქის რუხი კარდინალია. ის ასაჯაროებს სხვადასხვა ანტიკანონიკურ ინიციატივას და სამსჯელოდ გააქვს საერთაშორისო და კონფესიათაშორის მოედნებზე, სანამ ბართოლომეოსი დანერგავს მათ «მსოფლიო დონეზე»**



ელპიდოფორი ლექციას კითხულობს იეზუიტთა უნივერსიტეტში

**ბართოლომეოსი მანიაკურად ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ პირველია მართლმადიდებელ იერარქთა შორის არა ღირსებით, არამედ ძალაუფლებით და ამ ძალაუფლების საფუძველზე ქმნის განხეთქილებას მართლმადიდებლურ სამყაროში. ბართოლომეოსი მზად არის, ორი ეკლესიის გაერთიანების შემთხვევაში, «ძალაუფლების პირველობა» რომის პაპს გადასცეს**

ის, რომ „ადამიანური წესრიგის საპატიო პირველობა“, რომელიც სტამბოლის პატრიარქმა მოიხსენია, ნიშნავს ძალაუფლებაში პირველობას, თვითონ განმარტა ეკუმენისტური საპატრიარქოს 2018 წლის ყრილობაზე (სახელდობრ, ამ ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება უკრაინისთვის „ავტოკეფალიის“ მიცემის შესახებ). თუმცა 10 წლით ადრე ბართოლომეოსის პირადმა თეოლოგმა **ზიზიულასმა** „დაასაბუთა“, რომ „კანონები აღიარებენ მხოლოდ ერთ პრიმატს — რეალურ ძალაუფლებას“. და უკვე იმხანად ფენერის წარმომადგენლები ამ პრიმატს რომის ტახტს ანიჭებდნენ. რისთვის?

პასუხი მარტივია: **„მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების შემდეგ, რომელშიც პირველობა რომის პაპს მიენიჭება, ეკუმენისტი პატრიარქი ძალაუფლებასა და გავლენის მიხედვით მეორე იქნება, მაგრამ ეს ძალაუფლება გავრცელდება ყველა „აღმოსავლეთ ეკლესიაზე“.** ასე ცვლის ფენერი ამჟამინდელი ილუზორული ღირსების პირველობას (რომელიც მატერიალურად არაფერს აძლევს), „აღმოსავლეთ ეკლესიებზე რეალური ძალაუფლების მიხედვით მეორე ადგილს, თანაც ამით ის სამწყსოს რაოდენობის 3 მლნ-დან 10 მლნ ადამიანამდე გაზრდის (ძირითადად, აშშ-ის მართლმადიდებლების წყალობით). ამ სქემას, დიდი ხანია, მხარს უჭერს ვატიკანი. ამის შესახებ XVIII-XIX საუკუნეების გზაგასაყარზე წერდა ათონელი ღვთისმეტყველი და კანონისტი, ღირსი **ნიკოდიმ სვიატოგორეცი.**

რომელ „დოგმატურ“ საფუძველზე უნდა შეერწყას ფანერის „მართლმადიდებლობა“ ლათინურ სარწმუნოებას?

„ორმხრივი აღიარება“, რომელზეც ლაპარაკობს ელპიდოფორი, უკვე აღსრულდა ბალამანდის (ბალამანდის მონასტერი მდებარეობს ლიბანში, ტროპოლისთან ახლოს) თათბირზე 1993 წელს. და ეს მოხდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების დარღვევით, მაგრამ ეს კანონები ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს გამოაცხადა ბართოლომეოსმა „მოძველებულად“.

რაც შეეხება „რეფორმების განახლებას“ (წაიკითხე, გახრწნას) — ეს არის ის, რაც გააქტიურებულია, როგორც თანამედროვე კათოლიციზმში, ისე ფენერის „მართლმადიდებლობაში“.

რჩება **„ერთობლივი აღსარება“,** „როცა მართლმადიდებლები და კათოლიკები ერთიანდებიან, ჩვენ უნდა გვქონდეს იდენტური აღმსარებლობა“, — ამბობს ელპიდოფორი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ფენერმა უკვე გადაწყვიტა, იმისგან დამოუკიდებლად, როგორი იქნება რწმენის სიმბოლო, რაც მიუთითებს მის მნიშვნელობაზე, როგორც ფენერისტებისთვის, ისე ლათინებისთვის. მათ უნიაში „ასეც შეიძლება და ისეც“, მაგრამ ასეთი აღსარება დასაშვებია ჭეშმარიტი მართლმადიდებლებისთვის? ყველა ადგილობრივი ეკლესია ეთანხმება ამ დათმობებს? ლაპარაკი აღარ არის გარყვნილებებზე კათოლიციზმისა, რომელიც მხარს უჭერს ე.წ. გენდერულ მრავალფეროვნებას, აბორტებსა და ადამიანის „სხვა უფლებებს“.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„მომავალში განვითარება წარიმართება უფრო რთული გზებით, მოსახვევები ძალიან სახიფათო იქნება. საქმე იქამდე მივა, რომ განსაკუთრებით აწრიალდება აღმოსავლეთი. დასავლეთიდანაც დიდი წინააღმდეგობები წარმოიქმნება. და მაინც, როგორ ცუდადაც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და მომავალი თაობების მზერა მიმართული იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლის გამარჯვებისაკენ. ყოველ წელს ახალი თაობა მოვა. ისინი აიტაცებენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და ჩვენ საკადრისს მოგვაგებენ, თავიანთ მომავალს ჩვენს წარსულზე დააფუძნებენ“.**

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34-36, 2020წ.)

# სტალინი სამ განზომილებაში

**ვინც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტებისა და პირადად ჩემი სტატიების მკითხველია, შესანიშნავად იცის, რასაც ვწერ, მაგრამ სხვისი ნათქვამი ამბავი ინტელექტუალთათვის მაინც სასიამოვნოა. უღრმესი მადლობა, ჩემო მკითხველო, მაგრამ გთხოვთ, გამოვიდეთ ფრონტის წინა ხაზზე და ყველას ვაჩვენოთ, რომ ჩვენ საკმარისად ბევრნი ვართ. თქვენი წრიდან იქნებ იმ კაცს წააკითხოთ ერთი-ორი სტატია, რომელიც ურწმუნო თომაა. ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი. თითოეულმა მკითხველმა თითო კაცი რომ დაარწმუნოს ჭეშმარიტებაში, ეს ქრისტესმიერიც არის და ჩვენი საქმის გამარჯვებაც.**

არჩევნები კარს არის მომდგარი, ცხარე კამათია გამართული საკითხზე, ვინ უნდა გვიხელმძღვანელოს. ეს ხომ იმას ჰგავს, მღვდელმა რომ გზად შემხვედრი ორი მოჩხუბარი ახალგაზრდა გააშველა:

— მითხარით, შვილებო, რა გაქვთ გასაყოფი, რატომ ამტვრევთ ცხვირებს ერთმანეთს?

— მამაო, ჩვენ იმაზე ვჩხუბობთ, რომელს უნდა გაგვეძარცვე პირველადო.

**30 წელიწადია, ქვეყანა იქცევა და ინგრევა. კიდევ მეექვსედ და მეშვიდედ ერთი და იგივე სახეები უნდა ავირჩიოთ და ისევ მათ უნდა დაგვმოძღვრონ?!**

აი, ეს მოიტანა უსტალინობამ.

ჩემს დღევანდელ წერილში გაგაცნობთ, როგორ „ტოტალურად“ აკონტროლებდა სტალინი, როგორც წარსულს, ისე აწმყოს და როგორ ხედავდა იგი მომავალს.

კიდევ ერთხელ წავიკითხოთ და ერთად გავაანალიზოთ მეფის გენერლის ასულის, ცნობილი რევოლუციონერის, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისრის **ალექსანდრა კოლონტაის** მიერ 1939 წელს ჩაწერილი სტალინის სიტყვები:

„ჩვენი პარტიისა და ხალხის მიერ გაკეთებულ ბევრ საქმეს დაამახინჯებენ და გალანძღავენ. პირველ რიგში, საზღვარგარეთ და ჩვენს ქვეყანაშიც. სიონიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ მიისწრაფვის, ჩვენი მიღწევებისა და წარმატებების გამო სამაგიეროს გადახდას მოინდომებს. ის ჯერ კიდევ ისე უყურებს რუსეთს, როგორც ბარბაროსების ქვეყანას, როგორც ნედლეულს, რესურსს. ჩემს სახელსაც გალანძღავენ, ცილს დამწამებენ. მე ბევრ ბოროტებას მომაწერენ. **მსოფლიო სიონიზმი ყოველმხრივ შეეცდება ჩვენი კავშირის განადგურებას, რათა რუსეთი ფეხზე ვერასოდეს დადგეს. საბჭოთა კავშირის ძალა ხალხთა მეგობრობაშია. ბრძოლის მახვილი, პირველ რიგში, ამ მეგობრობის დაშლისკენ იქნება მიმართული, რუსეთისთვის განაპირა რაიონების ჩამოცილებისკენ. აქ, შეიძლება ითქვას, ჯერ ყველაფერი არ გაგვიკეთებია, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.**

...განსაკუთრებული ძალით წამოყოფს თავს ნაციონალიზმი. ის ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს დაჯაბნის კიდეც, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული დროით. **ერის შიგნით წარმოიქმნება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები. გაჩნდება ბევრი პიგმეი-ბელადი, ერის გამყიდველი. მთლიანობაში, მომავალში განვითარება წარიმართება უფრო რთული გზებით, მოსახვევები ძალიან სახიფათო იქნება. საქმე იქამდე მივა, რომ განსაკუთრებით აწრიალდება აღმოსავლეთი. დასავლეთიდანაც დიდი წინააღმდეგობები წარმოიქმნება. და მაინც, როგორ ცუდადაც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და მომავალი თაობების მზერა მიმართული იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებისკენ.** ყოველ წელს ახალი თაობა მოვა. ისინი აიტაცებენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და ჩვენ საკადრისს მოგვაგებენ, თავიანთ მომავალს ჩვენს წარსულზე დააფუძნებენ“. სტალინს ყველაზე დიდი ძეგლი ევროპაში (საბჭოთა კავშირის ჩათვლით) ჩეხებმა დაუდგეს ქვეყნის დედაქალაქ პრაღაში, რომლის მშენებლობაც 1952 წელს დაიწყეს და 1955 წელს დაასრულეს (ამ ძეგლზე შემდგომ ცალკე მასალას მოგაწვდით). ძეგლის საზეიმო გახსნას საბჭოთა კავშირის ცკ-ის იმჟამინდელი გენერალური მდივანი **ნიკიტა ხრუშჩოვი** დაესწრო. გახსნის ცერემონიაზე სწორედ მან გადასცა ძეგლის ავტორებს ლენინის ორდენები.

ეს ფაქტი შემთხვევით არ მომიყვანია.

**1.** ამ მოვლენიდან ერთი წლის თავზე, 1956 წელს, პარტიის XX ყრილობაზე, ხრუშჩოვმა სტალინის კულტის მავნე შედეგებზე ისაუბრა, დაგმო სტალინური ეპოქა და ხალხს აუწყა ახალი „დემოკრატიული“ ეპოქის დასაწყისი. იმავე წელს პრაღაში სტალინის ძეგლი ააფეთქეს და დაამხეს.

* ასრულდა სტალინის ანდერძის პირველი სიტყვები: „ჩვენი პარტიისა და ხალხის მიერ გაკეთებულ საქმეებს დაამახინჯებენ და გალანძღავენ, პირველ რიგში, საზღვარგარეთ და შემდეგ ჩვენს ქვეყანაში“.

**2.** ხრუშჩოვმა ორდენების გადაცემიდან მეორე წელს XX ყრილობაზე განაცხადა: „სტალინი იყო უცოდინარი, ამბიციური, მშიშარა. მან არ იცოდა სამხედრო რუკების კითხვა, იგი ომს გლობუსით ხელმძღვანელობდა. სტალინი რომ არა, ომს უფრო ადრე და დანაკარგების გარეშე დავამთავრებდით“.

* ხრუშჩოვის სულელური ბოდვის შემდეგ, ვნახოთ რას ამბობს სტალინზე დიდი სამეულის ერთ-ერთი წევრი, მსოფლიოში აღიარებული გეოპოლიტიკოსი, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **უინსტონ ჩერჩილი: „რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ უმძიმესი გამოცდის წლებში მას მართავდა გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი სტალინი. ის იყო უდიდესი პიროვნება, რომელიც პატივისცემას იმსახურებდა იმ პერიოდში — ცვალებად და მკაცრ ხანაში. სტალინი იყო არაჩვეულებრივი ენერგიის, ურყევი ნებისყოფისა და ძალის მქონე, მკვეთრი, მკაცრი, საუბარში ულმობელი ადამიანი, რომლისთვისაც აქ, ბრიტანეთის პარლამენტში, გაზრდილს არაფერი შემეძლო დამეპირისპირებინა. სტალინს ჭარბად ჰქონდა იუმორი და სარკაზმი, აზრთა ზუსტი ათვისების უნარი. ეს ძალა სტალინში ისე დიდი იყო, რომ ის ყველა დროის ხალხთა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის განუმეორებელი ჩანდა. სტალინმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა. მისი ლოგიკა ყოველგვარ პანიკას მოკლებული გააზრებული სიბრძნე გახლდათ. ის უდრეკი ოსტატი იყო იმისა, რომ ყველაზე გამოუვალ, მძიმე ვითარებაში მოენახა გამოსავალი. გარდა ამისა, სტალინს ყველა კრიტიკულ თუ საზეიმო მომენტში შეეძლო თავშეკავებული ყოფილიყო და ილუზიებს არასოდეს ნებდებოდა. მან შეჰქმნა და დაიქვემდებარა უზარმაზარი იმპერია. ის იყო ადამიანი, რომელიც თავის მტერს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა. სტალინი იყო მსოფლიოში უდიდესი დიქტატორი, რომელმაც ჩაიბარა კავიანი რუსეთი და ატომური შეიარაღებით დატოვა“.**

თეირანის კონფერენციაზე უინსტონ ჩერჩილმა შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

„რუსეთისათვის დიდი იღბალია, რომ მისი აგონიის დროს ის აღმოჩნდა ამ უდიდესი და გამოწრთობილი მხედართმთავრის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს ადამიანი არის შთამბეჭდავი, გამორჩეული პიროვნება, შესაბამისი იმ სერიოზული და ქარიშხლიანი დროებისა, რომელშიც გაიარა მისმა ცხოვრებამ. ადამიანი ამოუწურავი გამბედაობისა და ნებისყოფისა, პირდაპირი და ურთიერთობაში უცერემონიო მანერების მქონე.... სტალინმა ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ღრმა და ცივსისხლიანი სიბრძნითა და ყოველგვარი ილუზიის უქონლობით“.

1943 წელს კი ჩერჩილი ამბობდა: **„დილით, როცა ვდგები, ვლოცულობ, რომ სტალინი ცოცხალი და ჯანმრთელი იყოს, მხოლოდ სტალინს შეუძლია იხსნას მსოფლიო“.**

ეს სიტყვები ხომ გაცილებით დამაჯერებელია, ვიდრე ხრუშჩოვის ნაბოდვარი.

**3.** სიონიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობისაკენ ისწრაფვის ჩვენი მიღწევებისა და წარმატებების გამო, სამაგიეროს გადახდას მოინდომებს“ (სტალინი).

* უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ სტალინის ლიკვიდაცია სიონიზმის „დამსახურებაა“. **ღალატსა და მოპარვაში დაოსტატებულმა ატლანტიკელმა მგლებმა მოისყიდეს სუსტი ნებისყოფის ალკოჰოლიკი ხრუშჩოვი და განზრახვა აისრულეს და კოლონტაის მიერ ჩაწერილი სტალინის „ანდერძის“ მე-3 დებულება, რომ „სიონიზმი სამაგიეროს გადახდას მოინდომებს“, შესრულდა.**

„სიონიზმი ყოველმხრივ შეეცდება ჩვენი კავშირის განადგურებას, რათა რუსეთი ფეხზე ვერასოდეს წამოდგეს. საბჭოთა კავშირის ძალა ერთობაშია. ბრძოლის მახვილი, პირველ რიგში, ამ მეგობრობის დაშლისაკენ იქნება მიმართული, რუსეთის განაპირა მხარეების ჩამოცილებისაკენ“.

მასონთა ლოჟის წევრებმა: **მიხეილ გორბაჩოვმა, ბორის ელცინმა** და **ალექსანდრე იაკოვლევმა** უზრუნველყვეს სსრ კავშირის (რუსეთის სამსაუკუნოვანი იმპერიის) დაშლის დავალების შესრულება. დღეს დიდი თუ პატარა ნაწილები ყოფილი იმპერიისა სულს ღაფავს და ბიოლოგიურ საცდელ პოლიგონად არის გადაქცეული. **და დიდი იმპერია დღეს რომ ცოცხალია, მსოფლიოს ამცნობს მხოლოდ კრემლის კურანტები, სტალინის მიერ შექმნილი ბირთვული იარაღი და სსრ კავშირის ჰიმნი — სტალინის მიერ შექმნილი და აჟღერებული.**

4. „განსაკუთრებული ძალით წამოყოფს თავს ნაციონალიზმი. ის ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს დაჯაბნის კიდეც, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული დროით“ (ი. სტალინი).

* ჩუქჩეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩასული არასამთავრობო ორგანიზაციები ადგილობრივებს



სტალინის გამოსვლა აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე. 1945 წლის 5 მაისი

**უინსტონ ჩერჩილი: «რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ უმძიმესი გამოცდის წლებში მას მართავდა გენიოსი და უდრეკი მხედართმთავარი სტალინი. ის იყო უდიდესი პიროვნება, რომელიც პატივისცემას იმსახურებდა იმ პერიოდში — ცვალებად და მკაცრ ხანაში. სტალინი იყო არაჩვეულებრივი ენერგიის, ურყევი ნებისყოფისა და ძალის მქონე, მკვეთრი, მკაცრი, საუბარში ულმობელი ადამიანი, რომლისთვისაც აქ, ბრიტანეთის პარლამენტში, გაზრდილს არაფერი შემეძლო დამეპირისპირებინა**



უინსტონ ჩერჩილი და სტალინი

# ეჭვი არავის ეპარება, რომ სტალინის ლიკვიდაცია სიონიზმის „დამსახურებაა“. ღალატსა და მოპარვაში დაოსტატებულმა ატლანტიკელმა მგლებმა მოისყიდეს სუსტი ნებისყოფის ალკოჰოლიკი ხრუშჩოვი და განზრახვა აისრულეს და კოლონტაის მიერ ჩაწერილი სტალინის „ანდერძის“ მე-3 დებულება, რომ „სიონიზმი სამაგიეროს გადახდას მოინდომებს“, შესრულდა.

გრიგოლ ოლიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინმა ჯერ კიდევ 1945 წელს გათვალა მოვლენების ნეგატიური განვითარება. აი, რა უთხრა მან თავის პარტნიორებს იალტის კონფერენციაზე გამართული მოლაპარაკებებისას 1945 წლის 6 თებერვალს: «სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, საშიში არაფერია. ჩვენ არ დავუშვებთ აგრესიას ჩვენი ქვეყნების მიმართ, მაგრამ გავა ათი წელი, შესაძლებელია, უფრო ცოტა დროც კი და ჩვენ აღარ ვიქნებით და მოვა ახალი თაობა, რომელსაც არ ექნება გავლილი ის, რაც ჩვენ გავიარეთ. ეს თაობა, დიდი ალბათობით, ბევრ რამეს სხვაგვარად შეხედავს და შეაფასებს. და რა მოხდება? ჩვენ, თითქოს, მიზნად დავისახეთ, დავიცვათ მსოფლიო საომარი მოქმედებებისგან, თუნდაც 50 წლით, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები»**

◀ ასწავლიდნენ ნაციონალურ ლოზუნგებს — „გაუმარჯოს ნაციონალურ და მზიურ ჩუქჩეთს!“ (იქ, სადაც საერთოდ მზე არ უნახავთ პოლარული ღამეების გამო), „საქართველო ქართველებს!“, „თავისუფლება ბანდერას უკრაინას!“, „თავისუფლება რუს ხალხს!“. აი, ამ ლოზუნგებით შემოვიდა სოროსი და მისი არმია, რუსეთის დასაპყრობად.

**5.** „ერის შიგნით წარმოიქმნება ნაციონალური ჯგუფები და დაიწყება კონფლიქტები. გაჩნდება ბევრი პიგმეი-ბელადი, ერის გამყიდველი“ (ი. სტალინი).

*** გავიხსენოთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რა დღეში ვიყავით და რა დღეში ვართ დღეს. ამასთანავე, იქნებ ისიც გავიხსენოთ, რამდენი და რამხელა ვიყავით სტალინის პერიოდში და რამდენი ვართ დღეს ან რაღა ვართ დღეს.**

**6.** „მომავალში განვითარება წარიმართება უფრო რთული გზებით, მოსახვევები ძალიან სახიფათო იქნება. საქმე იქამდე მივა, რომ განსაკუთრებით აწრიალდება აღმოსავლეთი. დასავლეთიდანაც დიდი წინააღმდეგობები წარმოიქმნება. და მაინც, როგორ ცუდადაც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და მომავალი თაობების მზერა მიმართული იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებისაკენ. ყოველ წელს ახალი თაობა მოვა. ისინი აიტაცებენ თავიანთი მამებისა და პაპების დროშას და ჩვენ საკადრისს მოგვაგებენ, თავიანთ მომავალს ჩვენს წარსულზე დააფუძნებენ“ (ი. სტალინი).

* მკითხველო, ალბათ, გასაგებია ნათელხილვის უნარი, რომელიც სტალინს ჰქონდა და ხედავდა მომავალს.

ერთი ანდერძით რომ არ დავკმაყოფილდეთ, გავიხსენოთ სხვა წინასწარმეტყველებებიც, რომლებიც სტალინმა სხვადასხვა პერიოდში საჯაროდ წარმოთქვა.

ჰიტლერს სურდა, 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე ვერმახტის ჯარების აღლუმი თვითონ მიეღო, მაგრამ ამ დღეს წითელ მოედანზე მავზოლეუმის ტრიბუნიდან სტალინი მიმართავდა, როგორც აღლუმში მონაწილე წითელარმიელებს (რომლებიც აღლუმიდან პირდაპირ ფრონტზე მიემართებოდნენ), ასევე საბჭოთა კავშირის ხალხებსა და, საზოგადოდ, სრულიად მსოფლიოს: **„კიდევ რამდენიმე თვე, კიდევ ნახევარი წელიწადი, შეიძლება ერთი წელიც და ჰიტლერულ გერმანიას თავისი დანაშაულებების სიმძიმე გასრესს. თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც განმათავისუფლებლებს, თქვენ წილად გხვდათ განმათავისუფლების დიადი მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი! ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“**

* ახდა სტალინის წინასწარმეტყველება — **ერთი წლის შემდეგ გერმანელთა მზე სტალინგრადისთვის ბრძოლაში ჩაესვენა.**

სტალინის წინასწარმეტყველების ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ წარმოთქმული სიტყვა კომინტერნის აღმასკომის იუგოსლავიის კომისიაში 1925 წლის 30 მარტს:

„უეჭველად მცდარად უნდა ჩაითვალოს სემიჩის მცდელობა, განიხილოს ნაციონალური საკითხი იუგოსლავიაში საერთაშორისო ვითარებასა და ევროპაში მოსალოდნელი პერსპექტივების დაუკავშირებლად. სემიჩი ეყრდნობა იმას, რომ ამჟამად ხორვატებსა და სლოვენიელებში არ არსებობს სერიოზული სახალხო მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის და მივიდა დასკვნამდე, რომ ერთა გამოყოფის უფლების საკითხი აკადემიური საკითხია. ყოველ შემთხვევაში, არააქტუალურია. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. კიდევაც **რომ დავეთანხმოთ, რომ ეს საკითხი ამჟამად აქტუალური არ არის, მან შეიძლება აქტუალურობა შეიძინოს, თუ ომი დაიწყო, ან როცა ომი დაიწყება, თუ ევროპაში რევოლუცია მოხდა, ან როცა იგი მოხდება. ხოლო ომი რომ აუცილებლად დაიწყება და რომ ისინი იქ აუცილებლად წაეკიდებიან ერთმანეთს, ეს უეჭველია, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმპერიალიზმის ბუნებასა და მის განვითარებას“.**

ეს მაგალითიც სრულ წარმოდგენას გვიქმნის სტალინის შორსმჭვრეტელობაზე იუგოსლავიის მოვლენების გათვალისწინებით და რაც უახლოეს წარსულში მოხდა.

**7.** სტალინმა ჯერ კიდევ 1945 წელს გათვალა მოვლენების ნეგატიური შეფასებები. აი, რა უთხრა მან თავის პარტნიორებს იალტის კონფერენციაზე გამართული მოლაპარაკებებისას 1945 წლის 6 თებერვალს:

**„სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, საშიში არაფერია. ჩვენ არ დავუშვებთ აგრესიას ჩვენი ქვეყნების მიმართ, მაგრამ გავა ათი წელი, შესაძლებელია, უფრო ცოტა დროც კი და ჩვენ აღარ ვიქნებით და მოვა ახალი თაობა, რომელსაც არ ექნება გავლილი ის, რაც ჩვენ გავიარეთ. ეს თაობა, დიდი ალბათობით, ბევრ რამეს სხვაგვარად შეხედავს და შეაფასებს. და რა მოხდება? ჩვენ, თითქოს, მიზნად დავისახეთ, დავიცვათ მსოფლიო საომარი მოქმედებებისგან თუნდაც 50 წლით, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები“.**


ალექსანდრა კოლონტაი

სტალინის ნათელხილვა კი 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო, როდესაც მსოფლიოში უძლიერესი არმია 170 დივიზიით თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. **ისტორიის ზოგიერთი ფალსიფიკატორი მუქ ფერებში ხატავს 22 ივნისს, როგორც ომის დაწყების პირველი დღის დაბნეულობასა და პირველ მარცხს, რომელიც დიდხანს სდევდა წითელ არმიას. თითქოს სტალინი მოუმზადებელი შეხვდა ომს, რადგან სჯეროდა, რომ ფიურერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს არ წამოიწყებდა.** მაგალითისთვის მხოლოდ ერთი ფაქტს მოვიყვან: 1941 წლის აპრილის ბოლოს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულები თათბირზე მიიწვიეს და გააფრთხილეს, რომ 5 მაისს ისინი მიწვეულნი იყვნენ კრემლში. მწყობრად დაწყობილი აკადემიის კურსდამთავრებულები 5 მაისს კრემლისაკენ დაიძრნენ. სათანადო შემოწმების შემდეგ ახალგაზრდები კრემლის ანდრეევის დარბაზში მიიწვიეს. 17 საათსა და 55 წუთზე პრეზიდიუმში გამოჩნდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი **ტიმოშენკო,** მარშლები და ადმირალები. სცენის სიღრმეში პოლიტბიუროს სრულ შემადგენლობას წინ მოუძღოდა სტალინი. ოვაციებისგან დარბაზი ინგრეოდა. ტიმოშენკომ დამსწრეთ დაწყნარებისკენ მოუწოდა და გამოაცხადა, რომ ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით სიტყვა ეძლეოდა ამხანაგ სტალინს. ტრიბუნაზე ასულმა სტალინმა დაიწყო: „უპირველესად, გილოცავთ სასწავლებლის დამთავრებას თქვენს პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. ალბათ, გაინტერესებთ, რისთვის მოგიწვიეთ აქ. უნდა გითხრათ, რომ, როცა წახვალთ ახალ სამსახურში ზღვაზე თუ ხმელეთზე, აუცილებლად შეგეკითხებიან — რა ხდება ქვეყანაზე? რა დაემართა საფრანგეთს, რატომ ითმენს ამდენ დამარცხებას ინგლისი? ნუთუ მართლა უძლეველია გერმანული არმია? როგორი იქნება მსოფლიო მომავალში? — ამ საკითხებზე მინდა გელაპარაკოთ და გავცე პასუხი ამ კითხვებს. გერმანელები, — განაგრძობდა სტალინი, — ძალზე დაჩაგრულად გრძნობენ თავს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რომ მათ არ აქვთ სასიცოცხლო სივრცე, მაშინ, როცა „გერმანია ყველაზე ძლიერი ქვეყანაა მსოფლიოში“, „ჩვენ, გერმანელები, ყველაზე ჭკვიანი და ძლიერი ერი ვართ. ღმერთისგან გაჩენილი რასა, რომელსაც ეკუთვნის, იბატონოს დანარჩენ ხალხებზე“. „გერმანულ არმიას აქვს ყველაზე საუკეთესო იარაღი მსოფლიოში“. ჰიტლერელთა ეს განცხადებები ყველაზე საშიშია არა მხოლოდ რიგი ქვეყნებისთვის, არამედ ძირითადი საფრთხეა საბჭოთა კავშირისთვის. რაც შეეხება საფრანგეთის დამარცხებას, ეს ასეც იქნებოდა, რადგან საფრანგეთის არმიას ჰყავს ყველასათვის უცნობი გენერლები და მინისტრები. ისინი ჯარის მშენებლობის ნაცვლად ჩართულნი არიან ბიზნესში, თავიანთ საქმეს აკეთებენ და აქვეითებენ ფრანგული ჯარის პრესტიჟს. ფრანგების ავტორიტეტი ისე დაეცა, რომ ფრანგ ოფიცრებს გოგონებიც აღარ მიჰყვებიან ცოლად. რაც შეეხება გერმანულ არმიას, ის მართლაც ძლიერი და კარგად შეიარაღებულია, მაგრამ არა უძლეველი. კართაგენსაც ეგონა, რომ უძლეველი არმია ჰყავდა **ჰანიბალის** სარდლობით, მაგრამ ის რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს. ასე ფიქრობდა **ნაპოლეონიც** თავის უძლეველობაზე, მაგრამ ის რუსეთმა **კუტუზოვის** მეთაურობით დაამარცხა. ასევე ცდებიან გერმანელები, როდესაც თავიანთ უძლეველობაზე ლაპარაკობენ. ჩვენ საკმაოდ ძლიერი არტილერია გვყავს და ვიბრძვით მისი შემდგომი გაძლიერებისთვის. ჩვენმა შესანიშნავმა კონსტრუქტორებმა შექმნეს საშუალო ტანკი T-34, რომელიც არათუ ჩამოუვარდება გერმანულ ტანკებს, არამედ გაცილებით აღემატება მათ. ასევე გვაქვს მძიმე ტანკი. მართალია, ჩვენ არ გვყავს ისეთი ძლიერი ავიაცია, როგორიც გერმანელებს, მაგრამ გვყავს უნიჭიერესი ავიაკონსტრუქტორები, რომლებიც დღე და ღამე მუშაობენ ამ ნაკლის გამოსასწორებლად. თქვენ სამიოთხი წლის წინათ დატოვეთ თქვენი ხომალდები. აი, დაბრუნდებით უკან და ვეღარ იცნობთ თქვენს ხომალდებს. ჩვენ ისინი ძირფესვიანად შევცვალეთ. იქ სულ სხვა გარემო და სამუშაო დაგხვდებათ“.

შემდგომ სტალინმა ყურადღება გაამახვილა ხელმძღვანელი კადრების აღზრდაზე არმიაში: **„აკადემიაში ახალგაზრდებს უნდა შევასწავლოთ ახალი ტექნიკა. უნდა ვასწავლოთ ახალი აზროვნება. თანამედროვე ომს თანამედროვე აზროვნება სჭირდება. მე მყავს ნაცნობები, რომლებიც სწავლობენ საარტილერიო აკადემიაში, მე წავიკითხე ერთ-ერთის კონსპექტები და გამაკვირვა, რომ ის დიდ დროს კარგავს ისეთი ტექნიკის ათვისებაში, რომლებსაც 1916 წლიდან აღარ იყენებენ. ეს ხომ ყოვლად დაუშვებელია!“**

ამ მომენტში წინა რიგებიდან მსხდომი აკადემიის ხელმძღვანელებიდან ვიღაცამ წამოიძახა: „არასწორია“. მას სტალინმა უპასუხა: „გთხოვთ, ნუ შემაწყვეტინებთ, მე ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, გეუბნებით, თვითონ წავიკითხე თქვენი აკადემიის მსმენელის ჩაწერილი კონსპექტი (როგორც მოგვიანებით გაირკვა, სტალინი თავისი შვილის — იაკობისაგან ფარულად კითხულობდა მის ყველა კონსპექტს. იაკობი სწორედ საარტილერიო აკადემიაში სწავლობდა და ამ თათბირსაც ესწრებოდა).

**„გერმანიას სურს, მოსპოს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, გერმანიას სურს, გაანადგუროს ჩვენი დიადი სამშობლო, მოსპოს მილიონობით ჩვენი მოქალაქე, ცოცხლად გადარჩენილები კი მონებად აქციოს. ჩვენი ქვეყნის ხსნა არის მტრის ღირსეული დახვედრა და გამარჯვება ამ ომში გერმანულ ფაშიზმზე. გაუმარჯოს მომავალ ომში ჩვენს გამარჯვებას!“**



**ერის შიგნით წარმოიქმნება ნაციონალური ჯგუფები და კონფლიქტები. გაჩნდება ბევრი პიგმეი-ბელადი, ერის გამყიდველი. მთლიანობაში, მომავალში განვითარება წარიმართება უფრო რთული გზებით, მოსახვევები ძალიან სახიფათო იქნება. საქმე იქამდე მივა, რომ განსაკუთრებით აწრიალდება აღმოსავლეთი. დასავლეთიდანაც დიდი წინააღმდეგობები წარმოიქმნება. და მაინც, როგორ ცუდადაც უნდა განვითარდეს მოვლენები, გავა დრო და მომავალი თაობების მზერა მიმართული იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს გამარჯვებისაკენ**

ევრო-დაპირისპირება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1975 წლის 1 სექტემბერს ჰელსინკიში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ გამართული თათბირის დასკვნითმა აქტმა ევროპის საკვანძო პრობლემა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 30 წლის შემდეგ გადაჭრა. ამ აქტით გაცხადდა ევროპის სახელმწიფოს საზღვრების ურყეობა. ამჟამად კი აშკარა ხდება, რომ ჰელსინკის აქტმა მხოლოდ დააკონსერვა მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები.**

# ევროკავშირი თუ ევროგანხეთქილება: ვითომ მეგობრების ალიანსი დანგრევის პირასაა

**კოვიდპანდემიური ევროპიდან ყოველდღიურად ისეთი ამბები მოდის, რომლებიც აჩენს შეკითხვას: არის კი ევროპა ერთიანი და ხომ არ ჩანს ევროკავშირის სისტემური კრახი პოლიტიკურ ჰორიზონტზე?**



## ნახშირწყალბადებისთვის ბრძოლამ და სამოკავშირეო ინტერესების საზარალოდ პოლიტიკურმა ეგოიზმმა საერთო ევროპული კონსტრუქციის სიმყიფე წარმოაჩინა

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ ევროკავშირის პოლიტიკური იმუნიტეტის დეფიციტი გამოავლინა დაშლის ტენდენციის წინააღმდეგ და ძველი სისტემური პათოლოგიები მწვავე ფორმაში გადაიყვანა.

**ლიხტენშტაინის** სათავადოს ტერიტორიული პრეტენზიები **ჩეხეთისადმი** ევროპის სახელმწიფოების ძველი პრობლემების ახალი მოცემულობაა, რომელიც შეიძლება ჯაჭვური რეაქციის დეტონატორად იქცეს. ამისთვის არსებობს გლობალური პოლიტიკური დღის წესრიგის მთავარი ფაქტორის წინაპირობა: **პოლიტიკური სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების ტრადიციული სისტემების რღვევა.**

1975 წლი 1 სექტემბერს ჰელსინკიში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ გამართული თათბირის დასკვნითმა აქტმა ევროპის საკვანძო პრობლემა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 30 წლის შემდეგ გადაჭრა. ამ აქტით გაცხადდა ევროპის სახელმწიფოს საზღვრების ურყეობა. ამჟამად კი აშკარა ხდება, რომ ჰელსინკის აქტმა მხოლოდ დააკონსერვა მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები. ამ აისბერგმა აქტიურად დაიწყო დნობა და ჩამოიშალა სსრკ-ისა და საბჭოთა ბლოკის ნგრევის პროცესში. ამ რაკურსში გერმანიის შეერთება საერთაშორისო სამართლის პროცედურების გარეშე მთელი ქვეყნის ჩაყლაპვის პირველი მასშტაბური ეპიზოდი და ჰელსინკის აქტის შესაბამისი დებულების დარღვევა იყო. იმავე „გამაერთიანებელი ეიფორიის“ კალათაში თავსდება ახალი ევროპული საზღვრების წარმოქმნა, რომლებმაც **ჩეხოსლოვაკია** და **იუგოსლავია** ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშალა. და, **თუ პირველ შემთხვევაში ყველაფერი მშვიდობიანი გზით გადაწყდა (ჩეხოსლოვაკია ჩეხეთად და სლოვაკეთად დაიშალა), იუგოსლავიის ფედერაციის დაშლამ ევროპაში სამხედრო აგრესიის პრეცედენტი შექმნა. ეს პროცესები ომისშემდგომი საერთაშორისო უსაფრთხოების საკვანძო ინსტრუმენტის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის — ეროზიის კატალიზატორად იქცა.**

ევროპაში განხეთქილებები გუშინ არ დაწყებულა.

2019 წელს **ბრიტანეთის მთავრობამ** 1 მლნ გირვანქა სტერლინგი გადაუხადა **33 კვიპროსელს** წამების საკომპენსაციოდ. 1955-60 წლებში ბრიტანელები სასტიკად აწამებდნენ ბრიტანეთის კოლონიის სტატუსის მოწინააღმდეგე კვიპროსის დამოუკიდებლობის მომხრეებს. მსხვერპლთა შორის იყო ქალი, რომელიც 16 წლის იყო, როცა ბრიტანელმა ჯარისკაცებმა გააუპატიურეს. ერთმა მამაკაცმა კი თირკმელი დაკარგა დაკითხვისას მხეცურად ცემის შედეგად. **არც ერთი ბრიტანელი, რომლებიც მონაწილეობდნენ კვიპროსზე ჩადენილ მხეცობებში, არ დაუსჯაით.**

კვიპროსის ბერძენი მოსახლეობის რეპრესიებისთვის მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდამ ცუდად შენიღბა მთავარი პრობლემა: **შიდაევროპული განხეთქილების კვიპროსული ნაკვერჩხალი განაგრძობდა ბჟუტვას ბოლო ათწლეულების განმავლობაში და ახლა პოლიტიკურ ზედაპირზე გამოჩნდა ნატოს წევრ თურქეთსა და საბერძნეთს შორის სამხედრო კონფლიქტის საფრთხის სახით.** კვიპროსმა დამოუკიდებლობა 1960 წელს გამოაცხადა. მანამდე კი, 1950 წელს, კვიპროსის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის შედეგების მიხედვით კუნძულის მოსახლეობის 98%-მა მხარი დაუჭირა ეთნიკურად ბერძნული ტერიტორიების საბერძნეთთან გაერთიანებას.

ბრიტანულმა კოლონიურმა ადმინისტრაციამ არად ჩააგდო ეს პლებისციტი და დაიწყო კვიპროსელთა დაპატიმრება საბერძნეთის ჰიმნის აჟღერების ან დროშის აფრიალებისთვის.

1955 წელს ამოქმედდა კვიპროსის შეიარაღებული განმათავისუფლებელი ორგანიზაცია **ეოკა**. ამან შექმნა ნატოს წევრი ორი ევროპული ქვეყნის — დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის — ხანგრძლივი და დისტანციური სამხედრო კონფლიქტის პრეცედენტი. **ორგანიზაცია ეოკა ფინანსდებოდა და იარაღით მარაგდებოდა საბერძნეთიდან, ხოლო იბრძოდა ბრიტანეთის წინააღმდეგ.**

**თურქეთის** მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციასა და, აგრესორის გარდა, არავის მიერ აღიარებულ ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკას არ გამოუწვევია საერთაშორისო სანქციები. ნატოს წევრი ერთი ქვეყნის ტერიტორიების მიტაცება მეორის მიერ, ფაქტობრივად, ევროკავშირის ჩუმი თანხმობით მოხდა და ახლა ამ ძველმა პოლიტიკურმა წყლულმა შექმნა ფართომასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის საფრთხე, რომელმაც შეურიგებელი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ფორმალური მოკავშირეების ეგოისტური დაპირისპირებების გორგალი ჩახლართა. **ნახშირწყალბადებისთვის ბრძოლამ და სამოკავშირეო ინტერესების საზარალოდ პოლიტიკურმა ეგოიზმმა საერთო ევროპული კონსტრუქციის სიმყიფე წარმოაჩინა.** და ამ „ნახშირწყალბადოვანი კონფლიქტის“ ასაფეთქებელი, ასე ვთქვათ, ბიკფორდის ზონარი თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსისა და მის გარშემო საზღვაო ზონის ოკუპაციის დე ფაქტო აღიარებაა.

მადა ჭამაში მოდისო და თურქეთმა დაგეგმა საბერძნეთის ეკონომიკურ ზონაში ზღვის წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება. ათენი თურქეთის ამ მოქმედებას ძალადობრივ შეჭრად განიხილავს და თავისი საზღვრების დაცვის მზადყოფნას გამოთქვამს, მაგრამ ანკარა ამ ზონას ჩრდილოეთ კვიპროსის საზღვაო შელფად მიიჩნევს და, „ზოგიერთი სახელმწიფოს მტრული ქმედებების მიუხედავად“, საბურღი სამუშაოების დასაწყებად ემზადება. მიმდინარე წლის 24 სექტემბერს თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** განაცხადა: „საერთაშორისო სამართლის, კეთილი ნებისა და კეთილმეზობლური განცხადებების მიმართ საწინააღმდეგო პოზიციის გამო საბერძნეთი ჩაიძირა ქაოსში, რომლიდანაც გამოსავალს ვერ პოულობს“. აშკარაა, ეს გზავნილი მიმართული იყო ათენის გავლით ნატოს ბლოკისა და ევროკავშირის ლიდერების — გერმანიისა და საფრანგეთისადმი. **ამჟამად სამხედრო კონფლიქტის ზღვარზე ბალანსირებს არა მხოლოდ საბერძნეთი** და **თურქეთი. იტალიის, საბერძნეთისა** და **კვიპროსის** სამხედრო-საზღვაო სწავლებებში, აგრეთვე, მონაწილეობდა ნატოს მძიმეწონოსანი ქვეყნის — **საფრანგეთის** სამხედრო-საზღვაო ძალებიც.

ამასთანავე, საბერძნეთი „აქტიური ნეიტრალიტეტის“ მომხრე გერმანიისგან თურქეთისთვის სანქციების დაწესებას მოითხოვს. გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** თავს იკავებს სანქციების დაწესებისგან, საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი** კი მომხრეა.

ეს არის ნატოს შიგნით კონფლიქტი, რომელშიც საბერძნეთის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის, ინტერესებს მხარი არ დაუჭირა გერმანიამ და ამით გაამწვავა პოლიტიკური ვითარება დაძაბულობის სხვა წერტილის მიმართ ევროკავშირის ერთიანი პოზიციის გამოხატვის საქმეში. **იტალიური გამოცემა POLITICO წერს, რომ, სახელდობრ, საბერძნეთმა დაბლოკა ევროკავშირის განცხადება, რომლითაც უნდა დაგმობილიყო ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საპრეზიდენტო აქციების ძალადობრივი ჩახშობა.**

შედეგად, ევროკავშირის 27 ქვეყნის ერთობლივი განცხადება აღარ გავრცელებულა და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი **ჟოზეპ ბორელი** იძულებული შეიქნა, მხოლოდ პირადი განცხადებით დაკმაყოფილებულიყო.

ამ ფონზე **სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება პოლიტიკურ-ეკონომიკური ბზარები ევროკავშირის ტერიტორიაზე. თუკი ნატოს მოწინავე არმიები ერთმანეთის წინაშე აჟღარუნებენ იარაღს, რატომ არ შეიძლება ეს გააკეთონ ნატოს მიერ დანგრეულ იუგოსლავიაში შემავალმა ოდესღაც მოძმე რესპუბლიკებმა, ამჟამად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრმა ქვეყნებმა — სლოვენიამ და ხორვატიამ?**

იუგოსლავიის დაშლის შემდეგ **სლოვენიასა** და **ხორვატიას** შორის დაწყებული მწვავე ტერიტორიული კამათი ევროპული მასშტაბის ტექტონიკური პროცესების კერაა. იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლისას „გამოეპარათ“ სლოვენიასა და ხორვატიას შორის ტერიტორიული წყლების შემოსაზღვრისა და შესაბამისი საზღვაო უფლებების მნიშვნელოვანი მომენტი.

სლოვენია და მისი ჯერ კიდევ იუგოსლავიის პერიოდში შექმნილი სტრატეგიული პორტი პირანი იტალიისა და ხორვატიის იურისდიქციებში შემავალი აკვატორიების საზღვაო ბლოკადაში აღმოჩნდა. სლოვენია ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებიდან პირველი შევიდა ევროკავშირსა და ნატოში და ძლიერი საგარეო წნეხის გამო არ ისარგებლა ვეტოს უფლებით ევროკავშირსა და ნატოში ხორვატიის შესვლისას.

2017 წელს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ სლოვენიის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა და ლიუბლიანას პირანის ყურედან ადრიატიკის ზღვის საერთაშორისო წყლებში გასასვლელად ვიწრო საზღვაო დერეფანი გამოუყო ხორვატიის ტერიტორიულ წყლებში. ხორვატიამ უარყო ეს გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ ეს საკითხი ორივე ქვეყანამ ერთობლივად უნდა გაარკვიოს. **ევროკავშირმა თვალი დახუჭა ამ პრობლემაზე, ამასთანავე, მხედველობიდან გამორჩა ტერიტორიული ერთიანობისთვის უფრო მასშტაბური ხიფათი — პოლონეთის ზღვათაშორისი პოლიტიკური პროექტი.**

ზღვათაშორისი პროექტი პოლონეთის დიდი ხნის ოცნებაა, რომლის მიხედვით პოლონეთის ლიდერობით უნდა გაერთიანდეს ბალტიის, შავი და ხმელთაშუა ზღვების ქვეყნები. ამ პროექტის წინა პლანზე წამოწევისას პოლონეთს ორი კოზირი გაუჩნდა — სლოვენია და ხორვატია. ევროკავშირის მიერ ადრიატიკის ზღვის აკვატორიული კონფლიქტის ამ ორი ქვეყნიდან ნებისმიერის სასარგებლოდ გადაწყვეტა ვარშავას შესაძლებლობას მისცემს, ისარგებლოს ერთ-ერთი კოზირით. კოვიდის პანდემიამდე ზღვათაშორისი პროექტი ბრიტანულ-ამერიკული გავლენების ცენტრის საფრანგეთიდან და გერმანიიდან ბალტიისა და ხმელთაშუა ზღვის სარტყელში გადატანას ითვალისწინებდა, დღეს კი ეს გამოიწვევს „ძველ“ და „ახალ“ ევროპას შორის პოლიტიკური ფრონტის ხაზის გავლებას.

**დღეს პოლონეთს იოლად შეუძლია, ანტიდასავლურ ბლოკში მოუყაროს თავი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 12 ქვეყანას. კიდევ ცოტაც და აშშ-ის პროტექტორატის ქვეშ ვარშავის ხელშეკრულების ალუზია ისტორიული ხუმრობა აღარ იქნება.**

ევროკავშირში შიდა დაპირისპირებების ფონზე ბერლინსა და ვარშავას შორის გამწვავებულ ურთიერთობას დამატებითი იმპულსი შესძინა ცოტა ხნის წინათ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, **მაიკ პომპეოს,** ვიზიტმა ევროპაში. პომპეოს ვიზიტისას მიღწეული იქნა პრინციპული შეთანხმება გერმანიიდან სამხედრო კონტინგენტის ნაწილის პოლონეთში გადაყვანაზე.

ამჟამინდელ ვითარებაში უმნიშვნელო ფაქტორიც საკმარისი იქნება ძალთა მყიფე ბალანსის დასარღვევად. ასეთ ფაქტორად კი შეიძლება იქცეს **სლოვენიისა და ხორვატიის ტერიტორიული კონფლიქტი.** ანტიეპიდემიური ღონისძიებების პირობებში ჩატარებულ ნატოს სწავლება Defender Europe 2020-ში იყო ეპიზოდი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ფორმალურად შეიცავდა ზემოაღნიშნული კონფლიქტის სცენარს.

ნატოს სწავლების ჩარჩოებში სლოვენიის სამხედრო ქვედანაყოფებმა წინაღობები ააგეს ხორვატიასთან საზღვარზე. ასე აღმოჩნდა ევროკავშირის რუკაზე რეალური სასაზღვრო ხაზი.

ევროკავშირი თავის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურად 2004 და 2007 წლებში გაფართოვდა. მის შემადგენლობაში შევიდა შემდეგი ქვეყნები: **ბულგარეთი, უნგრეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი და ესტონეთი.** 2013 წელს ევროკავშირში გაწევრდა **ხორვატია.** და მთავარი გამოწვევა, ზემოაღნიშნული ტერიტორიული პრობლემების გარდა, იყო ახალბედების მოლოდინი მასობრივ ფინანსურ დაფინანსებაზე. ახლა კი ეს ყველაფერი **მასშტაბურ პოლი-** ▶

## იუგოსლავიის ფედერაციის დაშლამ ევროპაში სამხედრო აგრესიის პრეცედენტი შექმნა. ეს პროცესები ომისშემდგომი საერთაშორისო უსაფრთხოების საკვანძო ინსტრუმენტის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის — ეროზიის კატალიზატორად იქცა.

ევრო-დაპირისპირება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლიხტენშტაინის ტერიტორიული დემარში ჩეხეთის წინააღმდეგ ინდიკატორია უკიდურესად სახიფათო ტენდენციისა — ევროპული საზღვრების მასშტაბურად გადაკეთების. თუ კვლავაც გაგრძელდება ევროპის უსაფრთხოების ომის შემდგომი სისტემის დემონტაჟი და იალტის, პოტსდამისა და ჰელსინკის შეთანხმებების ნიველირება, მაშინ მსგავსი პრეტენზიები შეიძლება ჩეხეთმაც წაუყენოს პოლონეთს, პოლონეთმა — ლიტვას, გერმანიამ — პოლონეთსა და რუსეთს კალინინგრადის ოლქზე

**◀ტიკურ ფრუსტრაციად შეიძლება იქცეს.**

2020 წლის 15 აგვისტოს გერმანულმა გამოცემა Die Welt-მა სტატიაში „პრობლემური სახელმწიფოები ევროკავშირის მილიარდების გარეშე რჩებიან“ აღნიშნა, რომ ევროკავშირს განზრახული აქვს მხოლოდ იმ წევრების დაფინანსება, რომლებიც **„პატივს სცემენ ევროპულ სამართალს“.** Die Welt-ი წერს, რომ ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი სახელმწიფო რამდენიმე ასეული მილიონი ევროს გარეშე დარჩება, მათ შორის — ხორვატია და სლოვენია.

**„ევროკომისიამ გადაწყვიტა, რომ სამომავლოდ ევროკავშირის ფონდებიდან გადახდები დაკავშირებული იქნება ევროკავშირის წესების დაცვასთან. ამ საკითხს ევროკომისია მალე განიხილავს და რამდენიმე სახელმწიფომ შეიძლება დაკარგოს ასეულობით მილიონი ევრო. ამ ფილტრის გავლის შანსი ძალიან ცოტაა“,** — წერს Die Welt-ი.

პრობლემურ სახელმწიფოებად კი მიჩნეულნი არიან **პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვენია** და **ხორვატია.** ამ გადაწყვეტილების საბაბად გამოცხადდა კორუფცია და ქვეყნების ჭირვეულობა მიგრანტების მიღების საკითხში, მაგრამ ნამდვილი მიზეზები უფრო სიღრმისეულია. პრობლემური ქვეყნების ჩამონათვალი იმეორებს პოლონეთის ზღვათაშორის პროექტის ქვეყნების სიას. აშკარაა, რომ ბრიუსელმა გერმანიის გავლენით მიიღო გადაწყვეტილება, „დამოუკიდებლობის მოთამაშეებს“ ფინანსური სანქციებით დამუქრებოდა.

ამჟამინდელ ვითარებაში განხეთქილების წინააღმდეგ ამ მეთოდის გამოყენების ეფექტიანობა ბენზინით ხანძრის ჩაქრობის ტოლფასია, მით უმეტეს, რომ იქ ნაპერწკალი შეიძლება გააჩინოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს, აგვისტოში გამართულმა ტურნემაც.

**პომპეო ეწვია სლოვენიას, ჩეხეთს, ავსტრიასა და პოლონეთს. აღმოსავლეთ ევროპის ფლანგზე პომპეოს ტურნეს მიზანი იყო რუსული ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაცია ამერიკული გათხევადებული აირით, გერმანიიდან გაყვანილი ამერიკელი სამხედრო კონტინგენტის განთავსება და ჩინურ IT-გიგანტ „ჰუავეისთან“ თანამშრომლობაზე უარის თქმა. ყველა დასახულ მიზანს პომპეომ მხოლოდ პოლონეთში მიაღწია.** უნგრეთმა კი თავის ისტორიაში ყველაზე დიდი სამხედრო გარიგება გააფორმა აშშ-თან. უნგრეთს განზრახული აქვს, 850 მლნ დოლარად შეიძინოს ამერიკული რაკეტები და კარდინალურად განაახლოს თავისი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა. ამერიკული კომპანია Raytheon-ის სიშორის მოქმედების რაკეტების AMRAAM-ის შეძენის შეთანხმებაზე ხელმოწერით უნგრეთი ჩადგა ნატოს იმ წევრი ქვეყნების რიგებში, რომლებიც ბერლინის პოზიციის საწინააღმდეგოდ დათანხმდნენ აშშ-ის პრეზიდენტის, **დონალდ ტრამპის,** მოთხოვნას შეიარაღების ხარჯების მნიშვნელოვნად მომატებაზე.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ერთიანობის შესანარჩუნებლად ბრიუსელმა არგუმენტად შიდაევროპულ ფინანსურ სანქციებს მიმართა, თუმცა ევროკავშირის მუქარა „პრობლემური ქვეყნების“ ფინანსური სანქციებით დასჯის შესახებ არც ისე ეფექტიანი შემაკავებელი ფაქტორი აღმოჩნდა.

აშკარაა, რომ ლიხტენშტაინის ტერიტორიული დემარში ჩეხეთის წინააღმდეგ ინდიკატორია უკიდურესად სახიფათო ტენდენციისა — ევროპული საზღვრების მასშტაბურად გადაკეთების. თუ კვლავაც გაგრძელდება ევროპის უსაფრთხოების ომის შემდგომი სისტემის დემონტაჟი და იალტის, პოტსდამისა და ჰელსინკის შეთანხმებების ნიველირება, მაშინ მსგავსი პრეტენზიები შეიძლება ჩეხეთმაც წაუყენოს პოლონეთს, პოლონეთმა — ლიტვას, გერმანიამ — პოლონეთსა და რუსეთს კალინინგრადის ოლქზე. **და, თუ ეს ტენდენცია EXIT-ების ალღუმსა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონფლიქტებს დაემთხვევა, სავარაუდოა, რომ შეიქნას შტორმული ვითარება — თავს მოიყრის ევროკავშირისა და საერთო ევროპული უსაფრთხოებისთვის ფატალური ყველა ნეგატიური ტენდენცია.**

Russtrat.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# ევროკავშირი უკრაინას სასაცილო თანხით ეხმარება

**„უკრაინა-ევროკავშირის ცოტა ხნის წინათ გამართული სამიტის ეკონომიკური ბლოკი სრულიად ჩაფლავდა, ბრიუსელი მზად არ არის, უკრაინის დასახმარებლად“, — განაცხადა 9 ოქტომბერს კიევში მოწყობილ პრესკონფერენციაზე უკრაინელმა ეკონომისტმა და პოლიტოლოგმა ანდრეი ნოვაკმა.**

„ეკონომიკურ მდგენელში (სამიტის) მოხდა სრული ჩავარდნა უკრაინისთვის. პირველ რიგში, სამრეწველო ბიზნესი მხოლოდ მოხაზეს, როგორც განზრახვა, არანაირი ვადები, არანაირი ნაბიჯები. ხელმოუწერელი დარჩა წინასწარ შეთანხმებული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაც კი. საპრიზო **500 მლნ ევროს ინვესტიციები და 500 მლნ ევროს კრედიტი არც კი განხილულა, მიუხედავად იმისა, რომ ადრე უკვე იყო პოლიტიკური შეთანხმება: ევროკავშირი დაეხმარებოდა უკრაინას აზოვისპირა რეგიონის განვითარებაში. სამიტის ეკონომიკური ბლოკი, რომელზეც პასუხისმგებელი იყო მთავრობა, ჩაფლავდა. შემდეგ — მხოლოდ გამოცხადდა ევროკავშირის განზრახვა, მისცეს უკრაინას 1,2 მლრდ ევროს ტრანში, მაგრამ არ არსებობს არანაირი კონკრეტული თარიღი, როდის მოხდება ეს; მხოლოდ გაფრთხილება, რომ უკრაინა 1,2 მლრდ ევროს ოდენობის ტრანშის მიღებას შეძლებს გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ.** ეს პირობები კი ეხება კორუფციასთან ბრძოლასა და ანტიკორუფციული ორგანოების მუშაობას. ჩვენ გვესმის, რომ უახლოეს პერსპექტივაში ამ პირობებს უკრაინა, ალბათ, ვერ შეასრულებს. ამასთანავე, **ხელი მოეწერა შეთანხმებას სასაცილო თანხაზე — 390 მლნ ევროზე. ეს არის უკრაინისთვის არა ეკონომიკური, არამედ ტექნიკური მხარდაჭერა.**

შესადარებლად: **ასეთივე სამიტი გაიმართა ევროკავშირსა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შორის, რომლებშიც 13 მლნ ადამიანი ცხოვრობს. ამ ქვეყნებს ევროკავშირმა 9 მლრდ ევრო გამოუყო, 42-მილიონიან უკრაინას კი — მხოლოდ 390 მილიონი (30-ჯერ ნაკლები).**

ეს არის ყველაზე ეფექტიანი შეფასების კრიტერიუმი ევროკავშირის მზადყოფნისა, ეკონომიკურად და ფინანსურად დაეხმაროს უკრაინას. ფაქტობრივად, ლაპარაკია მხოლოდ ტექნიკურ მხარდაჭერაზე“, — განაცხადა ანდრეი ნოვაკმა.

politnavigator.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**


ანდრეი ნოვაკი

## სამიტი გაიმართა ევროკავშირსა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შორის, რომლებშიც 13 მლნ ადამიანი ცხოვრობს. ამ ქვეყნებს ევროკავშირმა 9 მლრდ ევრო გამოუყო, 42-მილიონიან უკრაინას კი — მხოლოდ 390 მილიონი (30-ჯერ ნაკლები)

მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნავალნიმ განაცხადა, რომ არ სურს, იმუშაოს ტრადიციული სამართლებრივი და კონსტიტუციური მექანიზმების ფარგლებში რეფორმების განსახორციელებლად. ამის ნაცვლად ის აქტიურად არის დაკავებული, როგორც ამბობენ, „ქუჩური და ქსელური აქტივიზმით“, აგრეთვე, „პირდაპირი მოქმედებებით“, უფრო მეტიც, იმისათვის, რომ ამ საქმიანობით დაკავებულიყო, მან ანონიმური შემომწირველებისგან მიიღო მნიშვნელოვანი თანხა და კრიპტოვალუტა.**

# ამერიკული გამოცემა: ნავალნის არა მხოლოდ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, არამედ დასავლეთის სხვა სპეცსამსახურებიც იყენებენ



**აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და დასავლეთის სხვა სადაზვერვო სამსახურები ალექსეი ნავალნის თავისი ინტერესებისთვის იყენებენ. „სამუშაოს“, რომელშიც ნავალნი „დასავლური კაპიტალიზმის საყვარელი რუსი დისიდენტის“ რანგში მონაწილეობს, დიდი მნიშვნელობა აქვს სადაზვერვო სააგენტოებისთვის“, — წერს ამერიკული გამოცემა The Greanville Post-ი.**

„ნავალნიმ განაცხადა, რომ არ სურს, იმუშაოს ტრადიციული სამართლებრივი და კონსტიტუციური მექანიზმების ფარგლებში რეფორმების განსახორციელებლად, ამის ნაცვლად ის აქტიურად არის დაკავებული, როგორც ამბობენ, „ქუჩური და ქსელური აქტივიზმით“, აგრეთვე, „პირდაპირი მოქმედებებით“, უფრო მეტიც, იმისათვის, რომ ამ საქმიანობით დაკავებულიყო, მან ანონიმური შემომწირველებისგან მიიღო მნიშვნელოვანი თანხა და კრიპტოვალუტა.

ნავალნის საქციელი ცივი ომის სქემებისა და მეთოდების გაგრძელებაა, ამიტომ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შეუძლია, მხარი დაუჭიროს რუსი საზოგადოების დესტაბილიზაციისკენ მიმართულ მის მცდელობებს“, — ნათქვამია სტატიაში.

სხვადასხვა ქვეყნის დესტაბილიზაციის პროცესში და პლანეტაზე ვაშინგტონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ბატონობის განსამტკიცებლად საკვანძო ასპექტია ე.წ. არასახელმწიფოებრივი სუბიექტების — „აქტივისტების“, ფანატიკოსების, რელიგიური კულტების, აგრეთვე, პოლიტიკური ორგანიზაციების გამოყენება. მაგალითად, ჯორჯ სოროსი უამრავ თანხას ურიცხავდა აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების დისიდენტებს. ხშირად ეს გზააბნეული დისიდენტები, რომლებიც სახსრებსა და პოპულარობას იხვეჭდნენ დასავლეთის მედიასაშუალებების მეშვეობით (ეს მედიასაშუალებები რაღაც გასაოცარი მიზეზებით ეხმარებოდნენ დისიდენტებს), თავს უწოდებდნენ „დემოკრატ სოციალისტებს“ ან „ადამიანური სახის სოციალიზმის“ მომხრეებს, **„მაგრამ სინამდვილეში ისინი გამოდიოდნენ „ადამიანის უფლებების დაცვის“ მოთხოვნით, მათი დახმარებით გზას უკვალავდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს, რომლებიც ამ „სასარგებლო იდიოტების“ თანამოქალაქეების სიცოცხლის მოსპობას ცდილობენ“,** — აღნიშნავს ამერიკული გამოცემა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნავალნის პოლიტიკური აზროვნება რაღაცნაირად ემსახურება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოკლევადიან მოთხოვნებს. მაგალითად, **ცოტა ხნის წინათ ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ჯერჯერობით დაუდასტურებელი განცხადება, რომ ის რუსეთის ხელისუფლებამ წინასწარგანზრახვით მოწამლა, ზუსტად დაემთხვა პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის რეალიზაციის ფინანსურ ეტაპს. ეს მოხდა იმ მომენტში, როცა გერმანია ემზადებოდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა რუსეთიდან შემოტანილი ბუნებრივი აირის მოცულობა და უფრო განემტკიცებინა ეკონომიკური ურთიერთობა ამ ქვეყანასთან, ნავალნი მოულოდნელად კვლავ მოხვდა გაზეთების პირველ გვერდებზე,** — წერს The Greanville Post-ი.

თეთრი სახლი საჯაროდ ლაპარაკობს თავის მისწრაფებაზე „გაბატონდეს ენერგომატარებლების მიწოდების სფეროში“. ვაშინგტონს სურს, გერმანიამ ამერიკული კომპანიებისა და ენერგეტიკული კორპორაციებისგან იყიდოს ბუნებრივი აირი და არა მეზობელი რუსეთისგან. **ნავალნის „აქტივიზმი“ აშკარად იმეორებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ზიგზაგებს.** ამის გამო რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ ნავალნის მიერ დაფუძნებული „კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი“ არაკომერციული ფონდი უცხოეთის აგენტის ფუნქციების შემსრულებელ ორგანიზაციად გამოაცხადა. საკუთარი თავის „დიქტატურის მსხვერპლად“ გამოცხადება მნიშვნელოვანი ნაწილია იმ პროპაგანდისა, რომლითაც ის რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს.

**„მაგრამ, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ფაქტებს, მივხვდებით, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და დასავლეთის სხვა სადაზვერვო სამსახურები ნავალნის მიერ წარმოებულ კამპანიას თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ იყენებენ. და ეს არ არის ვილაცის წარმოსახვის ნაყოფი“,** — ასკვნის გამოცემა.

**eadayli.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**ნავალნის «აქტივიზმი» აშკარად იმეორებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ზიგზაგებს. ამის გამო რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ ნავალნის მიერ დაფუძნებული «კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი» არაკომერციული ფონდი უცხოეთის აგენტის ფუნქციების შემსრულებელ ორგანიზაციად გამოაცხადა. საკუთარი თავის «დიქტატურის მსხვერპლად» გამოცხადება მნიშვნელოვანი ნაწილია იმ პროპაგანდისა, რომლითაც ის რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს**

**ცოტა ხნის წინათ ფართოდ გავრცელებული, მაგრამ ჯერჯერობით დაუდასტურებელი განცხადება, რომ ის რუსეთის ხელისუფლებამ წინასწარგანზრახვით მოწამლა, ზუსტად დაემთხვა პროექტ «ჩრდილოეთის ნაკადი-2»-ის რეალიზაციის ფინანსურ ეტაპს. ეს მოხდა იმ მომენტში, როცა გერმანია ემზადებოდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა რუსეთიდან შემოტანილი ბუნებრივი აირის მოცულობა და უფრო განემტკიცებინა ეკონომიკური ურთიერთობა ამ ქვეყანასთან, ნავალნი მოულოდნელად კვლავ მოხვდა გაზეთების პირველ გვერდებზე**



# Financial Times-ი: მალე დადგება დოლარის გაუმართლებელი პრივილეგიების აღსასრული

## 2020 წელს აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 16%-ს მიაღწევს, 2021 წელს კი გაცილებით მეტი იქნება და ეს გამოიწვევს კატასტროფულ შედეგებს

**2021 წლის ბოლოს დოლარი შეიძლება 35%-ით ჩამოიშალოს. ამის შემდეგ ამერიკული ვალუტის გაუმართლებელი პრივილეგიების აღსასრული დადგება, — წერს პრესტიჟული ბრიტანული გაზეთი Financial Times-ი.**

ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთის იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრი და მომავალი პრეზიდენტი **ვალერი ჟისკარ დ'ესტენი** ამბობდა, რომ ვაშინგტონი არაკეთილსინდისიერად იყენებს თავის მდგომარეობას, როცა ქვეყანაში სხვის ხარჯზე უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს. დ'ესტენმა ამას უსამართლობა უწოდა და აშშ-ს მოუწოდა, ბოლო მოეღო ამ ვითარებისთვის. ამჟამად არსებობს ალბათობა, რომ მისი მოწოდება მალე ასრულდება.

აშშ-ში კატასტროფულად მცირდება შიდა დანაზოგები, რომლებსაც ერთვის საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი.

თუ 1960-დან 2005 წლამდე აშშ-ში სუფთა დანაზოგების დონე 7%-ს შეადგენდა, 2011-2019 წლებში ის 2,9%-მდე შემცირდა. ამჟამად კი ეს მაჩვენებელი, უბრალოდ, არ არსებობს. ბიუჯეტის დეფიციტის მატებასთან ერთად, მატულობს საფინანსო წნეხი და მწვავდება ეკონომიკური პრობლემები. 2020 წელს აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 16%-ს მიაღწევს, 2021 წელს კი გაცილებით მეტი იქნება და ეს გამოიწვევს კატასტროფულ შედეგებს აშშ-ში. ამის შემდეგ დოლარი დაკარგავს განსაკუთრებულ მდგომარეობას მსოფლიოში. აშშ-ში ფინანსური მდგომარეობა ნელ-ნელა უარესდება 2020 წლის დასაწყისიდან. ამჟამად დოლარი მეტისმეტად პრივილეგიური ვალუტაა და ეს მასზე ცუდად მოქმედებს. დოლარი ყოველთვის სარგებლობდა იმით, რომ უალტერნატივო ვალუტა იყო, მაგრამ ამჟამად მას **ევრო, იუანი, ოქრო** და **კრიპტოვალუტა** დიდ მეტოქეობას უწევს, ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ დოლარი ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდება.

**topcor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთის იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრი და მომავალი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი ამბობდა, რომ ვაშინგტონი არაკეთილსინდისიერად იყენებს თავის მდგომარეობას, როცა ქვეყანაში სხვის ხარჯზე უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს. დ'ესტენმა ამას უსამართლობა უწოდა და აშშ-ს მოუწოდა, ბოლო მოეღო ამ ვითარებისთვის. ამჟამად არსებობს ალბათობა, რომ მისი მოწოდება მალე ასრულდება**

სხვისი თვალით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისეთი რა ასწავლეს ამერიკელმა ინსტრუქტორებმა, გენერლებმა და სხვა მეთაურებმა, რომლებიც სომხეთის არმიას წვრთნიან და ხელმძღვანელობენ, რომ ძალა გამოაცალეს? ისე დააკნინეს, რომ უკვე საეჭვოა მისი უნარი და შესაძლებლობა, დაიცვას ის, რასაც ფლობს.**

# ომის ხანძარი, რომელიც შეიძლება ჩვენც მოგვწვდეს

**„განკითხვის დღის ომი“ უწოდეს შეიარაღებულ დაპირისპირებას, რომელიც ისრაელსა და არაბული სახელმწიფოების კოალიციას შორის გაიმართა 1973 წლის ოქტომბერში. „განკითხვის დღის ომად“ მოიხსენია ზოგიერთმა ექსპერტმა სომხეთისა და აზერბაიჯანის ომი, რომელიც მიმდინარე წლის 27 სექტემბერს დაიწყო. დროებითი ჰუმანიტარული დაზავებით თითქოს შეწყდა. რაღაც ერთი საათით. დაპირისპირებულმა მხარეებმა თითი ერთმანეთისკენ გაიშვირეს. ახლო აღმოსავლეთის „განკითხვის დღის ომში“, როგორც რიგითი მებრძოლი, მონაწილეობდა იაკობ კედმი, რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს, როგორც აღიარებულ სამხედრო ექსპერტს, ამჯერად მეორე ასეთ ომს მოესწრო. უთუოდ საინტერესო იქნება მისეული შეფასება იმ შეიარაღებული დაპირისპირების, რომელიც საქართველოს საზღვრების ახლოს მიმდინარეობს.**





იაკობ კედმი

იაკობ კედმი მიიჩნევს:

— უწინარესად, არ მინდა, ჩავუღრმავდე ისტორიულ ექსკურსს. ეს არის კავკასია, აქ ძველთაგანვე არსებობს მტრული განწყობა ხალხებს შორის. თურქებსა და სომხებს შორის მტრობა ისტორიული მოვლენაა და დღეს არავის ძალუძს ამ პრობლემის გადაწყვეტა.

**რატომ დაიწყო ეს ომი?**

**დაიწყო იმიტომ, რომ ის, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში ხდება სომხეთში, არის მისი ორიენტაციის შეცვლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომელმაც კიდევ უფრო დაასუსტა ისედაც სუსტი სახელმწიფო.**

დასუსტდა კი იმიტომ, რომ ხელისუფლების სათავეში **ნიკოლ ფაშინიანის** მისვლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობა სხვა სტადიაში გადავიდა. მას (ფაშინიანს) არ ჰყოფნის სულიერი ძალა და ჯერჯერობით ვერ ბედავს რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას. რუსეთის მიერ სომხეთის მხარდაჭერა, თურქეთისა და აზერბაიჯანის შეფასებით, შემცირდა.

ეს არის მთავარი! **სომხეთის ძალა იყო ის, რომ მას ზურგს უმაგრებდა რუსეთი. დღეს ყველა ხედავს და დარწმუნებულია, რომ ასეთმა მხარდაჭერამ იკლო.** ეს ერთი.

მეორე. როგორია სომხეთის არმია? **საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა იგი (სომხეთის არმია) აზერბაიჯანის არმიაზე ძლიერი იყო, გადავიდა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და არა პირიქით. სომხეთის არმიამ დაიპყრო აზერბაიჯანის მიწები და არა პირიქით.**

ისეთი რა ასწავლეს ამერიკელმა ინსტრუქტორებმა, გენერლებმა და სხვა მეთაურებმა, რომლებიც სომხეთის არმიას წვრთნიან და ხელმძღვანელობენ, რომ ძალა გამოაცალეს? ისე დააკნინეს, რომ უკვე საეჭვოა მისი უნარი და შესაძლებლობა, დაიცვას ის, რასაც ფლობს.

რუსეთისთვის ეს პრობლემა რთულიც არის და არც არის რთული. რუსეთი არ დაუშვებს, რომ უცხოეთის ჯარები შევიდნენ სომხეთში. რუსეთი სომხეთის სუსტი არმიის ნაცვლად ვერ დაიცავს ყარაბაღს. თუ სომხეთის არმიას ძალა არ ეყოფა, ისინი (სომხები) ყარაბაღს დაკარგავენ. და მადლობა უთხრან საკუთარ თავს და მათ, ვისზეც ლოცულობდნენ, მოსკოვისკენ უკანალით მიბრუნებულები.

მადლობა უნდა უთხრან ამერიკელებს — ყველას, ვინც დემონსტრაციებში მონაწილეობდა თავისი ლოზუნგებითა და მოთხოვნებით.

**სომხეთი დღეს დგას იმ პერსპექტივის წინაშე, რომ აზერბაიჯანი ძალით წაართმევს ყარაბაღს და ხელს ვერავინ შეუშლის. რუსეთი ყარაბაღის გამო ამ კონფლიქტის ყულფში თავს არ გაყოფს.**

ამასთანავე, რუსეთი არავის მისცემს უფლებას, დაემუქროს სომხეთის დამოუკიდებლობას. ის, რომ რუსეთის ავიაგამანადგურებლები ერევნის თავზე დაფრინავდნენ, პირდაპირ მიანიშნებდა ვისაც ჯერ არს, რომ სომხეთი მათი მისწრაფებების მიღმა დარჩება.

მაგრამ, თუ მათ (სომხებს) არ ძალუძთ, უწინდებურად სამხედრო ძალით დაიცვან თავიანთი მონაპოვარი, ეს მათი პრობლემაა.

**თურქეთის მიმართ ყველაფერი ნათელია და გარკვეული. ის ტიპი, რომელიც ანკარაში ზის, გაუწონასწორებელი ადამიანია.**

მთელი შუა აზია თურქულად ლაპარაკობს. საიდან მოვიდნენ სელჩუკები? — შუა აზიიდან. ისინი „დიდი თურანის“ წარმომადგენლები არიან. უწინ მათ არ ჰყოფნიდა ჭკუა, შესაძლებლობა, გამბედაობა, რომ შემოეტიათ. ახლა გვიტევენ.

ვინ აღუდგა წინ?

არავინ.

შეიძლება, სადღაც — ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ჩინეთის დონეზე.

**რუსეთი იქ არ არის. რუსეთს თავისი მეზობლების მიერ შექმნილი პრობლემები ამოუვიდა ყელში — კიევიდან მინსკამდე.**

შუა აზიას რას ერჩით!

წმინდა ადგილი ცარიელი არ რჩება.

**საბჭოთა კავშირში უწინ არასოდეს ყოფილა ისეთი კონფლიქტები, როგორებიც მოხდა სუმგაითში, ფერგანის დაბლობზე, აფხაზეთში, დნესტრისპირეთში. აღარაფერს ვამბობ ვილნიუსზე. ყველაფერი დაიწყო საბჭოთა კავშირის პერიოდში (მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში).**

ჰოდა, მადლობა ვუთხრათ ნობელის პრემიის ლაურეატს, რომელმაც ნობელის მშვიდობის პრემია მიიღო მაშინ, როცა თავის ქვეყანაში ყველა ხანძარი გააჩინა.

მაგრამ ეს წარსულია.

**დღეს სხვა პრობლემები გაჩნდა. რუსეთმა ორი რამ უნდა გადაწყვიტოს: სომხეთმა რომ არ დაკარგოს თავისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილი, თურქეთმა ბაზები აზერბაიჯანში რომ არ განალაგოს.**

აზერბაიჯანელები თურქები არიან. თურქი ხალხია. ისევე, როგორც ბელორუსები — რუსი ხალხი, თითქმის ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ.

**ყველაზე ახლობელი ქვეყანა თურქეთისთვის აზერბაიჯანია, ყველა გაგებით ასეა, მაგრამ მათ (აზერბაიჯანელებს) არ სურთ თურქეთის ნაწილად ყოფნა, მათ აქვთ პრობლემები ირანთან. ჯერ კიდევ გაურკვეველია, რა მომავალი ელის ირანის აზერბაიჯანს. ილჰამ ალიევს თუ ჰკითხავთ, იგი (მომავალი) დღევანდელისგან განსხვავებული იქნება.**

რუსეთის მიზანია, შეეცადოს, შეაწყვეტინოს კონფლიქტში ჩათრეულ მხარეებს ომი. არა მგონია, ეს იოლი საქმე იყოს, რადგან თურქეთი, პირადად **ერდოღანი,** აგულიანებს აზერბაიჯანელებს. ასევე — შეურაცხყოფის განცდა, რომელიც ყარაბაღის დაკარგვის შემდეგ არ განელებიათ. თუ ძალა შესწევთ, დაიბრუნებენ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომელი არმია იომებს უკეთესად. **ის, რომ აზერბაიჯანის არმია უკეთ არის შეიარაღებული, ვიცით, მაგრამ, სომხეთის არმია უკეთესად რომ იბრძოდა, ესეც ყველამ იცის. თუ ისე იომებენ, როგორც უწინ, შეინარჩუნებენ ყარაბაღს, თუ ვერ შეინარჩუნებენ, რუსეთის ბრალი არ იქნება. მათ თვითონ დაუშვეს შეცდომები, რომლებიც აშკარაა.**

იაკობ კედმის ეს ტელეგამოსვლა ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც მკაცრი, მტკივნეული, ზუსტი და, რაც მთავარია, სამართლიანი.

**ამრიგად, პირველი ნაბიჯი მშვიდობისკენ რუსეთის შუამავლობით გადაიდგა. წინ მძიმედ დასაძლევი გზაა, ეჭვებით გადახერგილი და მაინც იმედიანი.**

**ა.ხ.**

**რუსეთი არ დაუშვებს, რომ უცხოეთის ჯარები შევიდნენ სომხეთში. რუსეთი სომხეთის სუსტი არმიის ნაცვლად ვერ დაიცავს ყარაბაღს. თუ სომხეთის არმიას ძალა არ ეყოფა, ისინი (სომხები) ყარაბაღს დაკარგავენ. და მადლობა უთხრან საკუთარ თავს და მათ, ვისზეც ლოცულობდნენ, მოსკოვისკენ უკანალით მიბრუნებულები. მადლობა უნდა უთხრან ამერიკელებს — ყველას, ვინც დემონსტრაციებში მონაწილეობდა თავიანთი ლოზუნგებითა და მოთხოვნებით**

**სომხეთი დღეს დგას იმ პერსპექტივის წინაშე, რომ აზერბაიჯანი ძალით წაართმევს ყარაბაღს და ხელს ვერავინ შეუშლის. რუსეთი ყარაბაღის გამო ამ კონფლიქტის ყულფში თავს არ გაყოფს**



მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენში სოფლობის საქმეებს შორიდამ განაგებს მთავრობა, რომელიც, რაკი სხვა ათასი უფრო საჭირო საქმეები აქვს, ვერ იცლის სოფლობისათვის იმოდენად, რამოდენადაც სასურველია, და ფული ფულად მიდის და შესანიშნავს შეღავათს და შვებას კი ვერა ვხედავთ“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «ყველაფერი ახია ჩვენზე. რაც მოგვდის, ჩვენივე ბრალია, სხვას ნურავის ვუსაყვედურებთ»

**აი ჭეშმარიტება, რომელსაც არ გვინდა, თვალი გავუსწოროთ, რადგან უფრო მშვიდად ვართ მაშინ, როცა ჩვენს უილაჯობას, უფხობას, დაუდევრობას, გნებავთ, სიზარმაცეს სხვას გადავაბრალებთ ხოლმე. თუნდაც ჩვენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები ავიღოთ. რამდენი ვიყვირეთ, — უცხოელებზე მიწის მიყიდვა არ შეიძლება, გლეხისთვის ეს პირიდან ლუკმის გამოღებააო... მერედა სად არის ეს გლეხი?**



ამჯერად სწორედ ამ საკითხზე საუბარი იყო ჩვენი მიზანი, მაგრამ „ახალი ამბავი“ გვაუწყა ხელისუფლებამ, ცაზე მეხის გავარდნის მსგავსი — თურმე დავითგარეჯა და საერთოდ 3500 ჰექტრი ქართული მიწა აზერბაიჯანისთვის ჩვენვე ლანგრით მიგვირთმევია ორი პირის (გამოძიება ჯერჯერობით მხოლოდ ორ პიროვნებაზე საუბრობს) ხელით. დარწმუნებული ვარ, ყველა ნაღდ ქართველს „რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე“ ჩაურბინა და „იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა“. ილია მსგავს ტკივილს მთელი სიცოცხლე ატარებდა და უშურველად აკეთებდა ყველაფერს თანამემამულეთათვის თვალის ასახელად, თავისი ბედკრული სამშობლოს ფეხზე დასაყენებლად, რომელმაც ვერ შეძლო ილიას დაცვა, მისი ამაგის ჯეროვნად დაფასება, ამიტომაც თქვა სასოწარკვეთილმა აკაკიმ ეს მწარე სიტყვები: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“.

XXI საუკუნის ქართველობასაც სასოწარკვეთილებისთვის უამრავი მიზეზი დაუგროვდა და ვერც მას, ისევე როგორც დიდ ილიას, ვერავინ აძლევს პასუხს კითხვაზე: „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..“

ამ პასუხის ნაცვლად კი ტკივილს ტკივილი ემატება, ჯერ არნახული, არგაგონილი... რატომ? როგორც ცხონებულმა ოტია იოსელიანმა თქვა, იმიტომ, რომ „ქვეყანას ფასი დაედო კიტრის, კაცი არა ჩანს ამღები მინდის“ და ქვეყანაც „ხელიდან მიდის, მიდის და მიდის“!

უახლოეს წარსულში ხელისუფლებაში მოსულმა ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ეს პროცესი ვერ დაამუხრუჭა, თუმცა შიგადაშიგ კი წამოგვაძახებენ ხოლმე „უმადურებს“ — წყალი გაქვთ, დენი გაქვთ, გაზიც... გზებიც დაგიგეთო... ინვესტიციები მოვიზიდეთ, აღმშენებლობის პროგრამები შევადგინეთო...

და რა მერე?!

მოსახლეობა კვლავ სიდუხჭირეში ცხოვრობს, გაჭირვებულ და უპოვარ ადამიანთა არმია ნაგვის ურნებში იქექება!

სახეზე გვაქვს უმუშევრობა, მიგრაცია და უპატრონოდ დარჩენილი მარჩენალი მიწა, სოფლად მთვარის იმედად დატოვებული კარ-მიდამო...

აინტერესებს ვინმეს, სად არის დღეს ეს გლეხი და რას საქმიანობს? რატომ დაიცალა სოფლები, როცა მთავრობა გვეუბნება, რომ სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად სხვადასხვა პროგრამებსა და ინვესტიციებს სთავაზობს ადამიანებს?

მართლაც და, სად მარხია ძაღლის თავი?!

ხელისუფლებამ — ილიას გზით მივდივართო და, ჩვენც დღევანდელი პრობლემების პასუხები ილიას პუბლიკაციებში ვეძებოთ. იქნებ სულმნათმა ილიამ მიგვანიშნოს, რატომ ვერ იხეირა სოფელმა, რომლის აღმშენებლობასა და კეთილმოწყობაზე ხშირად გვესმის — რომ გაიყვანეს წყალი, ბუნებრივი აირი, გზები მოაასფალტეს, სკოლები და ბაგა-ბაღები შეაკეთეს ან სულაც ახალი ააშენეს, მოაწყვეს სპორტული მოედნები, ტურისტული ინფრასტრუქტურაც არ დარჩათ მიუხედავი...

მაშ, რატომ არის დღევანდელი სოფელი ისევ ცარიელი?!

რუსეთიდან სამშობლოში მომავალ ილიას ლელთ ღუნიამ გაანდო უბრალო ხალხის გულისტკივილი.

წინასაარჩევნოდ მთა და ბარს მოდებული დეპუტატობის მაძიებელნი, რომლებიც თავის ამომრჩევლებს სოფელ-სოფელ სტუმრობენ, ეკითხებიან კი გლეხს, — რატომ არ ჩერდება წყლით, გაზით, მოასფალტებული გზითა და შუქით უზრუნველყოფილ სოფელში? თუმცა ერთ-ერთ ასეთ კანდიდატს (შესაძლოა, არაერთს) თვითონ გლეხმა შეაწყვეტინა გრძელი მონოლოგი და მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა: „გვშიაო“. მშიერი კაცი კი, ცხადია, მოასფალტებულ გზასა და სპორტულ მოედანზე ვერ იოცნებებს. მას, უპირველესად, სტაბილური შემოსავალი სჭირდება ოჯახის გამოსაკვებად. აი, მერე კი მართლაც კარგია სტადიონიც, გართობაც და მოასფალტებულ გზაზე კარგი მანქანით სეირნობა.

დეპუტატობის კანდიდატებო, ჰკითხეთ თქვენს ამომრჩევლებს, უპირველესად რომელი პრობლემის მოგვარებაში სჭირდება მათ თქვენი თანადგომა და დახმარება და ეს პრობლემები გაიხადეთ თქვენს სამოქმედო პროგრამად, თორემ ბრტყელ-ბრტყელი და ლამაზი სიტყვების რახარუხს, კარგა ხანია, ხალხი ირონიით უყურებს. და იმასაც მიეჩვია, წინასაარჩევნო პერიოდში ამა თუ იმ პარტიას „კოზირი“ რომ აქვს გადა-

**დეპუტატობის კანდიდატებო, ჰკითხეთ თქვენს ამომრჩევლებს, უპირველესად რომელი პრობლემის მოგვარებაში სჭირდება მათ თქვენი თანადგომა და დახმარება და ეს პრობლემები გაიხადეთ თქვენს სამოქმედო პროგრამად, თორემ ბრტყელ-ბრტყელი და ლამაზი სიტყვების რახარუხს, კარგა ხანია, ხალხი ირონიით უყურებს. და იმასაც მიეჩვია, წინასაარჩევნო პერიოდში ამა თუ იმ პარტიას «კოზირი» რომ აქვს გადამალული, რომელსაც საჭირო დროსა და ხელსაყრელ მომენტში ააფარებს ხოლმე თვალებზე**

მალული, რომელსაც საჭირო დროსა და ხელსაყრელ მომენტში აგვაფარებს ხოლმე თვალებზე, რათა მხოლოდ მისი „სიკეთეები“ დავინახოთ და ხელისუფლებაში დავსვათ.

ეს ეჭვი უკვე დაიბადა აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრის საქართველოს საზიანოდ შეცვლაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ. უკვე ისმის ათასი ჭორ-მართალი, დილეტანტების სალაყბოდ და საჭორაოდ გახადეს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი.

გაიგეთ, ძალაუფლების მაძიებელნო, ხალხისთვის მთავარია, საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდეს ეს პრობლემა — ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდეს სასაზღვრო ზოლიდან ნაკუწ-ნაკუწ წარკვეთილი ქართული მიწა და, რა თქმა უნდა, დავითგარეჯა, ხოლო ვის დაეწერება პლიუსი ან მინუსი, პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. განა შეიძლება თქვა: ივანიშვილის (ან თუნდაც სააკაშვილის, ბოკერიას, ნათელაშვილის, ვაშაძეების...) დაბრუნებული დავითგარეჯა არ გვჭირდება და არც მის მიერ 1938 წლის რუკის შესაბამისად აღდგენილი საზღვრებიო?!

ქართველი ხალხი ბრბო არ არის, მან ბოლო ხანს საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინა პოლიტიკოსებთან ურთიერთობის და ყველა მათი ხრიკი და ოინი მისთვის ნაცნობია, ამიტომ წინასაარჩევნო დაპირებებს ხშირ შემთხვევაში ისე უყურებს, „თითქოს ბაზრის ბიჭების ნაყბედი რამ იყოს, ქარის მოტანილი და ქარის წასაღები“.

რად უყურებენ დეპუტატობის კანდიდატებს ამისთანა „აბრუ გასატეხ თვალით“? როდის აქეთ გაუტყდათ ეს აბრუ პარლამენტარებს? ისევ ილიას დავესესხები და ვიკითხავ: „როდის აქეთ ჩამოერთო საზოგადოებრივი ღირსება, რომ ...მის სიტყვას ყურს არ ათხოვებენ და აგრე აუსრულებლად და მაშასადამე, უპატიურად სტოვებენ, თითქო ბავშვის ტიტინი იყოს და არა ჭკუა-დამჯდარის კრებულისა, რომელმაც იცის, რას მოქმედობს, რას შეუწყოს ხელი და რას არა?“

ამის პასუხი წერილის სათაურშია: „რაც მოგვდის, ჩვენივე ბრალია, სხვას ნურავის ვუსაყვედურებთ“.

ხალხის მიერ არჩეულმა კაცმა, ვინც გინდა იყოს, გარდა იმისა, რომ, რასაც თავად ხალხი ჩასძახებს, „ის უნდა ამოიძახოს, და არა თვითნებობდეს და თავისის ჭკუით იწუნებდეს ან ერთს, ან მეორე განაჩენსა, ამომრჩეველთაგან დადგენილს. ყველას შეუძლიან, რასაკვირველია, თავისი აზრი იქონიოს, როგორც ყოველს კერძო კაცს“, მაგრამ ხალხის საქმეებში მარტო ხალხია მბრძანებელი და არა სხვა ვინმე.

ილია წერილში „ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იმხანად თავადაზნაურობის საქმიანობას საკრებულოში ეჭვის თვალით უყურებდნენ: „რა თავადაზნაურობა, ვინ თავად-აზნაურობა, განა თავად-აზნაურობას თავი აქვს, რამ ისაქმოს და გააკეთოს! ან არისღა თავად-აზნაურობაო!...ტყუილად კი არ დაიცინებიან, ნამეტნავად ამ ბოლოს ხანებში... მოდით და, თუ არ დაგიშლით, სიტყვა მოუჭერით, სიტყვა შეუბრუნეთ ამის მთქმელს“.

შენ კი, ჩემო მკითხველო, აბა, იმას მოუჭერი და შეუბრუნე სიტყვა, ვინც ამბობს: რად გვინდა 150 დეპუტატი, რისი მაქნისია ან რისი გამკეთებელიიო?!

**ხალხის მიერ არჩეულმა კაცმა, ვინც გინდა იყოს, გარდა იმისა, რომ, რასაც თავად ხალხი ჩასძახებს, «ის უნდა ამოიძახოს, და არა თვითნებობდეს და თავისის ჭკუით იწუნებდეს ან ერთს, ან მეორე განაჩენსა, ამომრჩეველთაგან დადგენილს. ყველას შეუძლიან, რასაკვირველია, თავისი აზრი იქონიოს, როგორც ყოველს კერძო კაცს», მაგრამ ხალხის საქმეებში მარტო ხალხია მბრძანებელი და არა სხვა ვინმე**

## ერობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო

არა ერთხელ გულდახეთქებით გვიჩივლია, რომ ქალაქებ გარეთ მცხოვრებ მკვიდრთა, სახელდობრ სოფლობას, რიგიანი პატრონი და მომვლელი არა ჰყავს. ვის არ გაუგონია სამართლიანი საჩივარი, რომ არც გზები გვაქვს, არც საკმაო სკოლები, არც სამკურნალო, არც მკურნა- ▶

## „ნუთუ ღირსების დამცირება, ღირსების შელახვა არ არის, რომ, მაგალითად, ჩვენმა მოხელემ ჩვენს მოსაზრებულს სიტყვას, ჩვენს მოფიქრებულს განაჩენს ზედ არ შეხედოს, ხალიჩას ქვეშ ამოდოს სადმე და გულში იძახოდეს: ბევრი იმისთანა სულელობა გვინახავს, ეგეც იმათშიო“

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ქართველი ხალხი ბრბო არ არის, მან ბოლო ხანს საკმაოდ დიდი გამოცდილება შეიძინა პოლიტიკოსებთან ურთიერთობის და ყველა მათი ხრიკი და ოინი მისთვის ნაცნობია, ამიტომ წინასაარჩევნო დაპირებებს ხშირ შემთხვევაში ისე უყურებს, «თითქოს ბაზრის ბიჭების ნაყბედი რამ იყოს, ქარის მოტანილი და ქარის წასაღები». რად უყურებენ დეპუტატობის კანდიდატებს ამისთანა «აბრუ გასატეხ თვალით»?

ლი გვყავს, რომ კაცს გაუჭირდეს და მოიწვიოს. ეს კიდეც ცოტაა: გაუჭირდება რამ სოფლობას, ვთქვათ — პური შემოაკლდა, შიმშილი ჩამოვარდა, ვთქვათ — ჭირი გაჩნდა საქონლისა, თუნდ ადამიანისაც, ვთქვათ — წყლები გვაფუჭებს, ცეცხლი გვწვავს და ამისთანა სხვა რამ უბედურება, მაგალითებრ კალია, თაგვი, ხელიდამ გვართმევს წლის ნაშრომ-ნადაგს, ყოველ ამისთანაში ულონონი ვართ, თავს როგორმე ვუშველოთ.

ქალაქებს კიდევ ყოველ ამაებში პატრონი ჰყავთ და ეგ პატრონები თითონ მკვიდრნი არიან, რადგანაც თვითმმართველობა აქვთ, და ყოველს ამას მათივე კაცები უძღვებიან, ყოველს ამისათვის ჰზრუნავენ და მეცადინეობენ. შიდა-რუსეთშიაც მთავრობამ ამისთანა საქმეების გაძღოლა და მართვა თვით სოფლობასაც მიანიჭა და ეგ მძიმე ტვირთი შორიდამ მაგისთანა საქმეების გამგებლობისა და მართვისა თვით აიხსნა და თითონ ადგილობრივს მკვიდრს მიანდო, რადგანაც **ადგილის მკვიდრმა უფრო ზედმიწევნით იცის თავისი ჭირ-ბოროტი, და რადგანაც სატკივარი იცის, წამალსაც უფრო ადვილად მოახერხებსო**. ესეთი დაწყობილობა მთავრობის მიერ მით უფრო სამართლიანია, რომ სოფლობა იხდის ეგრეთწოდებულ „ზემსკი პოვინნოსტებს“, რომელთაც საგნად გაძღოლა აქვთ ყოველ იმ საჭიროებისა, რაც ზევით მოკლედ მოვიხსენიეთ. ჩვენშიაც მაგისთანა ფული იკრიბება, მაგრამ როგორც წინანდელ რუსეთში, ისეც ეხლა, **ჩვენში სოფლობის საქმეებს შორიდამ განაგებს მთავრობა, რომელიც, რაკი სხვა ათასი უფრო საჭირო საქმეები აქვს, ვერ იცლის სოფლობისათვის იმოდენად, რამოდენადაც სასურველია, და ფული ფულად მიდის და შესანიშნავს შეღავათს და შვებას კი ვერა ვხედავთ. სოფლობას არც რიგიანი გზა აქვს მისვლა-მოსვლისათვის, არც სამკურნალო აქვს, არც მკურნალი ჰყავს, არც სკოლა აქვს, შიმშილია — პატრონი არა ჰყავს, განსაცდელია რომ საერთო — საშველი არსად არის სწრაფი და საკმაო, და სხვანი და სხვანი.**

ეს ნაკლულოვანება იგრძნო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, ბევრჯერ ჩამოაგდო ამაზე ლაპარაკი, ბევრჯერ აიღო, დაიღო და ბოლოს 1894 წლის 30 მაისში მთელის კრებულის ერთიანის ხმით დაადგინა: საქმე ტფილისის გუბერნიაში სოფლობის დაწესებულებათა გადაეცეს კომისიას, შედგენილს გუბერნიის და სამაზრო მარშლებისაგან. რადგანაც 30 მაისს 1894 წ. სათავად-აზნაურო კრებაზე ამ საგანზე სიტყვა ჩამოაგდო თ. გ. მ. თუმანიშვილმა, ამასვე მიანდო კრებამ ამ საქმის შესახებ პროექტი მოამზადოს.

კარგა ხანს გასტანა ამ პროექტის შედგენამ, რადგანაც სხვადასახვა ადგილებიდამ საჭიროდ დანახულ იქმნა შეგროვება ცნობებისა. ბოლოს პროექტი შემზადდა და 28 თებერვალს 1896 წლისას თ. გ. მ. თუმანიშვილმა წარუდგინა ბ-ნს გუბერნიის მარშალს და სთხოვა, მოიწვიოს ხსენებული ზემოთ კომისია და თავად-აზნაურთა კრების განაჩენისამებრ — გაასინჯოს.









## მოსახლეობა კვლავ სიდუხჭირეში ცხოვრობს, გაჭირვებულ და უპოვარ ადამიანთა არმია ნაგვის ურნებში იქექება! სახეზე გვაქვს უმუშევრობა, მიგრაცია და უპატრონოდ დარჩენილი მარჩენალი მიწა, სოფლად მთვარის იმედად დატოვებული კარ-მიდამო...

საჭიროა და სასურველი ჩვენში შემოღება მაგ სოფლობის დაწესებულებისა, ან რამოდენად ზედგამოჭრილია და შესაფერი ჩვენთვის თ. გ. მ. თუმანიშვილის მიერ შედგენილი პროექტი, — ჩვენ ამის გამორკვევას არ შევუდგებით. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, და ვგონებ ბევრნიც სხვანი დაგვეთანხმებიან, რომ საგანი დიდის ყურადღების ღირსია. სხვა არა იყოს რა, **ჩვენი შინაური საქმე ჩვენვე გვქონდეს ხელში წარსამართავად და საპატრონებლად, ჩვენვე გვქონდეს ხელში ღონე ჩვენისავე თავის შველისა და ათასნაირ საერთო განსაცდელისაგან ხსნისა, ჩვენვე გვებაროს სოფლობის ფული და ჩვენვე გვეკითხებოდეს — სად რას მოვახმაროთ,** — ეს ისეთი საგანია, რომ ღირს კაცმა მთელი თავისი დრო და მოცულეობა ზედ შეალიოს. ეს ისეთი საგანია, რომ ანბანის უცოდინარსაცკი უნდა ესმოდეს მისი სიდიდე და სიმძიმე. სად არის ეხლა იგი კომისია, რომელსაც ამისთანა დიდის საქმის შესახები პროექტი უნდა გაესინჯა და თავისი დასკვნა წარედგინა თავად-აზნაურთა კრებისათვის? შარშან თებერვლიდან დღეს-აქამომდე სამი თუ ოთხი კრება ჰქონია თავად-აზნაურობას და ერთხელაც არავის ფიქრადაც არ მოსვლია, ეუწყებინა თავად-აზნაურობისათვის, რომ მომზადებულია პროექტი და უკვე წარდგენილია შარშან თებერვლიდამვე.

ეხლაც 28 მაისს დანიშნულია მორიგი კრება თავად-აზნაურობისა და არც კი დაუნახავთ საჭიროდ, რომ სხვათა საგანთა შორის ეს დიდი საგანიც აღენიშნათ კრების განსახილველად. კრებაში წარდგენას ვინა სჩივის, კომისიაც-კი ამ მთელის ერთის წლის განმავლობაში არავის უფიქრია მოიწვიოს, რომ პროექტი, თავად-აზნაურთა განაჩენისამებრ, გაესინჯათ. განა ასეთის პატივის ღირსია მთელი კრებული მთელის გუბერნიის თავად-აზნაურობისა, რომ ასე თვითნებობით ექცევიან მის განაჩენს და აინუნშიაც არავის მოსდის არც მისი სურვილი, არც მისი განაჩენი, თითქოს ბაზრის ბიჭების ნაყბედი რამ იყოს, ქარის მოტანილი და ქარის წასაღები.

რად უყურებენ მთელს თავად-აზნაურობას ამისთანა აბრუ გასატეხ თვალით? როდის აქეთ გაუტყდა ეს აბრუ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, როდის აქეთ ჩამოერთო საზოგადოებრივი ღირსება, რომ მის განაჩენს კანონიერ და საპატიო გზას არ უხსნიან, მის სიტყვას ყურს არ ათხოვებენ და აგრე აუსრულებლად და მაშასადამე, უპატიურად სტოვებენ, თითქო ბაშვის ტიტინი იყოს და არა ჭკუა-დამჯდარის კრებულისა, რომელმაც იცის, რას მოქმედობს, რას შეუწყოს ხელი და რას არა. აქ ვის რა ხმა ამოეღება, ვის რა ხელი გაუწვდება, რომ კანონიერი სვლა ამ საქმისა თავისის ნებით აბრკოლოს? ამისთანა ყოვლადშემძლეობა ვის აუღია თავისთავზე? ვის აქვს იმის უფლება და ნება, რომ თავად-აზნაურთა კრების განაჩენისამებრ შესრულებული საქმე ასე მჩვრად გახადოს და გამხილების ფიქრს მაინც არ შეუშინდეს? ესეთი ქცევა სასაცილოდ, სამარცხვინოდ და აბუჩად აგდებაა მთელის თავად-აზნაურობისა, რომლის განაჩენსაც ასე მჩვრად ჰხდიან. ნუთუ არ იციან, რომ **თავად-აზნაურთაგან ამორჩეული კაცი, ვინც გინდ იყოს, სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ რასაც თავად-აზნაურობა ჩასძახებს, ის უნდა ამოიძახოს, და არა თვითნებობდეს და თავისის ჭკუით იწუნებდეს ან ერთს, ან მეორე განაჩენსა, ამომრჩეველთაგან დადგენილს.** ყველას შეუძლიან, რასაკვირველია, თავისი აზრი იქონიოს, როგორც ყოველს კერძო კაცს, მაგრამ თავად-აზნაურთა საქმეებში მარტო თავად-აზნაურობაა მბრძანებელი და არა სხვა ვინმე.

მართალია, ბევრი მისთანა კაცია ქვეყანაზე, რომელთათვისაც კანონი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ აქედამ სულაც არ გამოდის ის, რომ სხვები ყურმოჭრილ და ხმაამოუღებელ ყმად გაიხადონ. ყველას თავისი კუთვნილი ღირსება აქვს და ნამეტნავად მთელს თავადაზნაურობას, როგორც მთელს კრებულს, და **ნუთუ ღირსების დამცირება, ღირსების შელახვა არ არის, რომ, მაგალითად, ჩვენმა მოხელემ ჩვენს მოსაზრებულს სიტყვას, ჩვენს მოფიქრებულს განაჩენს ზედ არ შეხედოს, ხალიჩას ქვეშ ამოდოს სადმე და გულში იძახოდეს: ბევრი იმისთანა სულელობა გვინახავს, ეგეც იმათშიო.** სად არი ეხლა იგი პროექტი, იგი კომისია? რატომ თავისი გზა და სვლა არ მისცემია ან ერთს ან მეორეს? ჩვენ ამის პასუხად ორი რამ ვიცით: ერთი ის, რომ ბ-ნ გუბერნიის მარშლისათვის 28 თებერვალს 1896 წელს წარუდგენიათ მომზადებული პროექტი და ის დღეა და ეს დღე, არც კომისია, არც ჩლავი და არც ფლავი. უთუოდ წნილად ჩაუდგიათ და ელიან, როცა დამჟავდება. პატრონობა საქმისა, თუ გნებავთ, ეს არის, და რადგანაც სიჩქარით სოფელი არავის მოუჭამია, ჩვენც ვითმინოთ, ეგებ მოთმინებითა ჩვენითა სული ჩვენი მოვიპოვოთ ოდესმე. ესეც კაი ნუგეშია, თუ თქვენც იტყვით.

**ყველაფერი ახია ჩვენზე. რაც მოგვდის ჩვენივე ბრალია, სხვას ნურავის ვუსაყვედურებთ.** ტყუილად კი არ დაიცინებიან, ნამეტნავად ამ ბოლოს ხანებში, და იძახიან: რა თავადაზნაურობა, ვინ თავად-აზნაურობა, განა თავად-აზნაურობას თავი აქვს, რამ ისაქმოს და გააკეთოს! ან არისლა თავად-აზნაურობაო!... მოდით და, თუ არ დაგიშლით, სიტყვა მოუჭერით, სიტყვა შეუბრუნეთ ამის მთქმელს.

**ტფილისი, 15 თებერვალი, 1897 წელი**

## უახლოეს წარსულში ხელისუფლებაში მოსულმა ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ეს პროცესი ვერ დაამუხრუჭა

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ავსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



# რომის პაპმა ისაუბრა ლგბტ ბავშვების მიმართ ღმერთის სიყვარულზე

**რომის პაპი ფრანცისკე შეხვდა ლგბტ მოზარდების მშობლებს და უთხრა, რომ ღმერთს ყველა თავისი შვილი უყვარს. ეს განაცხადა ქალმა, სახელად მარა გრასიმ, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა, — იუწყება CNN.**

**გრასიმ** დააზუსტა, რომ პონტიფიკს არ ულაპარაკია მაინცდამაინც ლგბტ ბავშვებზე, მაგრამ გასაგები იყო, რომ იგულისხმებოდა ყველა ყმაწვილი. პაპის თქმით, კათოლიკურ ეკლესიას უნდა უყვარდეს ყველა კაცი და ქალი.

ვატიკანმა არ დაადასტურა, რომ პონტიფიკმა სწორედ ასე ილაპარაკა, დაადასტურა მხოლოდ ის, რომ პაპი ნამდვილად შეხვდა ლგბტ ბავშვების მშობლებს, რომლებიც ამ კატეგორიის ბავშვების მშობელთა იტალიის ასოციაციაში არიან გაერთიანებულნი.

**11 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფრანცისკემ სექსი და გემრიელი საკვები ღვთაებრივ სიამოვნებად მოიხსენია. მან განმარტა, რომ კვებით მიღებული სიამოვნება ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობას, სექსი კი სიყვარულს ალამაზებს და ადამიანების მოდგმის გაგრძელებას ემსახურება.**




# აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ მხარი დაუჭირა ტრანსგენდერ მოსწავლეებს ტუალეტის არჩევაში

**სასამართლომ მიუთითა, რომ სკოლებს არ აქვთ უფლება, აუკრძალონ ტრანსგენდერ მოსწავლეებს, აირჩიონ ის ტუალეტები, რომლებიც მათ გენდერულ იდენტურობას შეესაბამება, — იუწყება „ამერიკის ხმა“.**

სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ვირჯინიის შტატის გლოსტერის საშუალო სკოლის ყოფილი მოსწავლის, **გევინ გრიმის,** საჩივარი. იგი ირწმუნებოდა, რომ სკოლამ შელახა მისი კონსტიტუციური უფლება, როცა უარი უთხრა ბიჭების ტუალეტის გამოყენებაზე. სკოლის ადვოკატმა ეს გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ მან (გრიმმა) არ გაიკეთა სქესის შეცვლის ოპერაცია.

„ყველა სტუდენტ-ტრანსგენდერს უნდა ჰქონდეს უფლება იმისა, რაზეც მე უარი მითხრეს: რათა ჩვენმა სკოლებმა და ჩვენმა მთავრობამ აღგვიქვან ისეთებად, როგორებიც ვართ. დღევანდელი გადაწყვეტილება არაჩვეულებრივი ემოციური მხარდაჭერაა არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი ქვეყნის ტრანსგენდერული ახალგაზრდობის“, — განაცხადა გრიმმა.

ერთხელ კიდევ განვმარტოთ, რას ნიშნავს ტრანსგენდერობა.

ტრანსგენდერობა გენდერული იდენტურობის ან გენდერული გამოხატვის ბიოლოგიურ სქესთან დაუმთხვევლობას ნიშნავს. ტრანსგენდერობა არ არის დამოკიდებული სექსუალურ ორიენტაციაზე; ტრანსგენდერ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თავი ჰეტეროსექსუალებად, ჰომოსექსუალებად, ბისექსუალებად და ა.შ. წარმოიდგინონ.

ეს აბდაუბდა „მეცნიერული“ ფორმულირება მარტივად იშიფრება: ტრანსგენდერობა არის სულის (უპირველეს ყოვლისა) და ხორცის გარყვნისა და გახრწნის შედეგი.

უფრო მოკლედ: ბუნების წინააღმდეგ წასვლის ნაყოფია, რომელიც მალევე ლპება, როგორც ყოველივე არაბუნებრივი.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## პედოფილებისთვის ხელის შესაწყობად

**პედოფილებს კომფორტი რომ არ მოაკლდეთ, რომ არ შეწუხდნენ, დრო რომ არ დაკარგონ მსხვერპლის ძებნაში, ბოლოს და ბოლოს, ციხეში რომ არ გამოკეტონ, აშშ-ის მსუბუქი მრეწველობის ბიზნესმა დაიწყო რეალისტური სექსთოჯინების წარმოება — „გასაბერი ქალების“ მსგავსი „თოჯინა ბავშვების“.**

ოღონდ მოგება მოიტანოს და ყველაფერს იკადრებენ!

ეს უკვე ველარ მოითმინეს მილიონერ-პედოფილ **ჯეფრი ეპშტეინის** ძალადობის მსხვერპლად ქცეულმა ადამიანებმა და ხმა აღიმაღლეს „თოჯინა ბავშვების“ დამზადების წინააღმდეგ, — იუწყება FOX News-ი.

მათ მხარი დაუჭირეს რესპუბლიკელი **ვერნ ბიუკენენის** მიერ შეთავაზებულ კანონპროექტს, რომელიც მან 2017 წელს შეიტანა განსახილველად აშშ-ის კონგრესში და რომლითაც აღნიშნული სიბილწის აღკვეთას მოითხოვდა, მაგრამ აქამდე უძრავად დევს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფლორიდის შტატში მიღებული ორიგინალური კანონი, რომლითაც აიკრძალა ასეთი თოჯინების იმპორტი, ახალი ვარიანტით საერთოდ კრძალავს ამ ნივთების გაყიდვასა და ფლობას.

აშშ-ში ჯერჯერობით მხოლოდ სამი შტატია (ფლორიდა, ტენესი და კენტუკი), რომლებშიც ეს ნორმა რეალურად მოქმედებს.

ეპშტეინის მსხვერპლთა ინიციატივას მხარი დაუჭირეს სხვა დაზარალებული ჯგუფების წევრებმაც.





# როდის დაიპყრობენ ტრანსგენდერები ევროპას?

**ცივილიზებული მსოფლიოს ნათელი მომავლისთვის ბრძოლის ახალი მწვერვალი დაპყრობილია: როგორც ვიუწყებოდით, ევროპაში ამობრწყინდა პირველი ტრანსგენდერი მინისტრი, 57 წლის პეტრა დე სუტერი — ბელგიის ვიცეპრემიერი და სახელმწიფო სამსახურისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმეთა მინისტრი. მან სქესის შეცვლა დაიწყო ჯერ კიდევ 2004 წელს. მანამდე ბატონი პეტერი გენტის უნივერსიტეტის გინეკოლოგიის პროფესორი და უნივერსიტეტის საავადმყოფოში რეპროდუქტიული მედიცინის განყოფილების გამგე იყო. ირწმუნება, რომ ბავშვობიდან თავი ქალად მიაჩნდა.**



2014 წელს დე სუტერი პოლიტიკაში ჩაერთო და დაიწყო ბრძოლა ტრანსგენდერთა უფლებების დასაცავად, როგორც ბელგიის სენატის დეპუტატმა. პარალელურად მუშაობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. მხარს უჭერდა სუროგატულ დედობას. შარშან ევროპარლამენტის დეპუტატი გახდა. დღეს უკვე მინისტრია და ეტყობა, რომ ეს მისი კარიერის მწვერვალი არ არის. შემდეგ ნაბიჯს საერთო ევროპულ დონეზე გადადგამს, ევროკომისიისკენ, ანუ ერთიანი ევროპის მთავრობის წევრი გახდება, ოთხხუთ წელიწადში, როცა ახალი კაბინეტი ჩამოყალიბდება.

ბელგია, ერთ დროს შემთხვევის წყალობით ჩამოყალიბებული სამეფო, კარგა ხანია, ხელმძღვანელი კადრების სამჭედლოდ ჩამოყალიბდა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბრიუსელი ევროკავშირის დედაქალაქია. ბელგიის ელიტა, ფაქტობრივად (და ძირითადად), აყალიბებს საერთოევროპული პოლიტიკის დღის წესრიგს.

ის, რაც ცოტა ხნის წინათ წარმოუდგენელი იყო ქრისტიანული ევროპისთვის, წესად ჩამოყალიბდა, ათიოდ წლის შემდეგ კი მოწმენი გავხდებით, რომ შემოიღებენ „აუცილებელ კვოტებს“ და „პოზიტიურ დისკრიმინაციას“ ტრანსგენდერებისთვის, როგორც უწინ — გეებისა და ლესბოსელებისთვის.

არ გყავთ მთავრობაში არც ერთი ტრანსგენდერი? მაშასადამე, ევროკავშირში თქვენი ადგილი არ არის!

პეტრა (ახლა უკვე ქალბატონი) დაუფარავად აცხადებს, რომ მისი მაგალითი სხვებისთვის გაკვეთილია.

ვინ მიგიშვებს ევროკავშირში, როცა შენი ქვეყნის სკოლებში არ ტარდება სექსუმცირესობათა მიმართ ტოლერანტობისა და პატივისცემის გაკვეთილები, აკრძალულია ლგბტ-პროპაგანდა არასრულწლოვანთა შორის. უფრო მეტიც, კონსტიტუციით დადასტურებულია, რომ ქორწინება არის „ქალისა და კაცის კავშირი“.

არნახული ბნელეთის მოციქულობა!..

დასავლეთში კი ყველაფერი ლეგალიზებულია, ამიტომ ჩანს, რომ ბებერი ევროპა გაპედერასტდა, თორემ სექსორიენტაცია აღრეულები ყოველთვის თავზე საყრელად ჰყავდათ.

ჰყავდათ კი არა, იყოლიეს — რეკლამამ თავისი გააკეთა, ქრისტიანობის დემონტაჟმა და ტრადიციულობის უგულებელყოფამ ნაყოფი გამოიღო.

შხამიანი.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ იმავე ევროპაში დასავლეთი და აღმოსავლეთი მკვეთრად არის გამიჯნული. მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ აქტიურად ეწინააღმდეგებიან „რევოლუციურ თავისუფლებას“, დასავლეთში ნებისმიერი ლგბტ-ს ნათელი მომავლის გავრცელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა პრინციპულად შეუძლებელია.

ლესბოსელებისა და ჰომოსექსუალების წახალისებით ევროპაში, ნახევარ საუკუნეზე მეტია, დაკავებულები არიან. ტრანსგენდერებს კი მხოლოდ ამ საუკუნეში მიხედეს. დაიწყო მათი ჩანერგვის ახალი სტადია, მსოფლმხედველობის მათეული პოზიცია ხდება მისაბაძი, როცა „ახალ მსოფლიოში“ ადგილი არ აქვს არა მხოლოდ ოჯახსა და ტრადიციებს, არამედ ქალი ქალად არ აღიქმება, კაცი — კაცად.

ეს შემოტევა ტერორზე უარესია და საერთო არაფერი აქვს ტოლერანტობის პრინციპთან, რომელსაც თითქოს ქადაგებენ და იცავენ ტრანსგენდერები და მათი მფარველები.

ეს მხოლოდ ევროპის პრობლემა არ არის: თუ ევროპა ვერ შეძლებს გამოფხიზლებას, დაავადდება მსოფლიო.

თუმცა ისიც უეჭველია, რომ ამგვარი ტრანსევროპული ცივილიზაცია დიდხანს ვერ იბოგინებს.

**დასავლური მასმედია ყოველთვის იყო და რჩება ელექტორალური ჯოგის მართვისა და პროპაგანდის აქტიურ და ეფექტიან იარაღად. მასმედიაზე კონტროლის დაწესება ლგბტ-მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რადგან სახელმწიფო ტელემაუწყებლობის აუდიტორია დანარჩენზე გაცილებით მეტია, ხოლო ბრიტანული რეჟიმი ახალი სოდომის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი და მშენებელია.**

25-ე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაც არ გინახავს, იმას ნახავ!

**ვნახავთ ქვეყნის ხელმძღვანელობაში, სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ კერძო ბიზნესის მმართველობაში წამოსკუპებულ სავალდებულო ფემინისტებს, გეებს, ტრანსგენდერებს და ასე შემდეგ.**
**მოგვთხოვენ, გვაიძულებენ, გვიბრძანებენ.**
**დაგვითვლიან, როგორც წიწილებს შემოდგომაზე.**
**სქესაღრეულთა დადგენილი კვოტების დაცვის მიხედვით შეგვიფასებენ „დასავლური ღირებულებების“ ერთგულების დონეს, და ევროპულ ალიანსში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხს ამის მიხედვით გადაწყვეტენ.**
**ან არ გადაწყვეტენ.**
**არ ვართ მიჩვეული თუ რა!**
**ბითურობის ზეიმის მარადიული მომლოდინენი — სტოკჰოლმის სინდრომის ფენომენით შეპყრობილი მასები და ცალკე აღებული ინდივიდები.**
**ვაზვიადებ? შეიძლება ასეცაა, მაგრამ — ცოტათი.**

პრობლემაში გარკვეული ანალიტიკოსები სოდომელებისთვის დაწესებული კვოტების შემოღებას აფასებენ, როგორც ახალ, ჯერჯერობით ლოკალურ მოვლენას, რომელიც პერსპექტივაში ჩვენ თვალწინ საყოველთაოდ დაინერგება და თანამედროვეობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშნად აღიქმება. რისი ბრალია, რომ ამ ანომალიამ უკვე შეაღწია მმართველობის სისტემაში, ამაზე ერთიანი აზრი ექსპერტებს არ აქვთ, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა უკვე შეიარაღდა „პროგრესული წინსვლის“ ამ მეთოდით. მაგალითად, **არგენტინის** მთავრობამ დაადგინა კვოტები, რომელთა მიხედვით სახელმწიფო სექტორი უნდა შეივსოს ტრანსვესტიტებითა და ტრანსსექსუალებით არანაკლებ ერთი პროცენტისა. ცოტაა? არა! რადგან მთავარი პირველი აგურის დადებაა და პრაგმატიზმის ლოგიკა გარყვნილების სარკოფაგს თავზე ისე დაგვახურავს, უკან მიხედვასაც ვერ მოვასწრებთ.

ხოლო აშშ-ის კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიამ კინოპრემია „ოსკარის“ ნომინანტობაზე წარსადგენად ახალი მოთხოვნები რომ დააწესა, ამაზე „საქართველო და მსოფლიო“ გაზეთის 35-ე ნომერში წერდა (იხ. №35, „ოსკარის“ მესვეურებმა ფილმებში როლების მესამედზე ფემინისტებისა და ორიენტაციააღრეულთა მიწვევა მოითხოვეს“). ახალი მაგალითები, მერწმუნეთ, თავს არ მოგვანატრებს, მალე გამოჩნდება, რადგან ქალთა კვოტირების გამოცდილებაზე დაყრდნობით უკვე ტენდენციად ყალიბდება.

ერთი შეხედვით, ქალების აქტიურად ჩაბმას სახელმწიფო მმართველობაში ყველა მიესალმება, მაგრამ ექსპერტთა ერთი ნაწილი დაეჭვებულია, **დასაქმების ასეთი „რევოლუციური გარდაქმნა“ ნორმალური ჰეტეროსექსუალური ადამიანების უფლებათა შეზღუდვის ხარჯზე ხომ არ ხდება?!** „ფობიებისგან თავისუფალი“ მსოფლიო წესრიგის დამყარებისთვის თავგამოდებულმა ფემინისტურმა და „უფლებადამცველმა“ მოძრაობამ შემოიღო და დანერგა „პოზიტიური დისკრიმინაციის“ კონცეფცია — აბსურდული მოვლენა.

მოიგონეს თავის გასამართლებლად ფემინიზმის დიქტატურისა და ახალი სოდომის ავტორებმა. თქვეს არაკი, რომლის მიხედვით თეთრკანიანი, ჯანმრთელი, ჰეტეროსექსუალური მამაკაცების უფლების შელახვა არა მხოლოდ დასაშვები, არამედ მართებულიც არის. **„პოზიტიური დისკრიმინაციის“ არსი ქალებისა და სოდომელებისთვის გაზრდილ უფლებათა მინიჭებაა. ექსპერტების დასკვნით, დასავლურ რეალობაში ეს „სიახლე“ დისკრიმინაციად არ აღიქმება, რადგან ემსახურება თანასწორობის დამყარებას.**

„პოზიტიური დისკრიმინაციის“ პირველ ქვეყნად, რომელმაც დააკანონა ეს პრინციპი სახელმწიფო დაწესებულებაში კადრების მიღების პრაქტიკაში, ნორვეგია ითვლება, რომლის პარლამენტმა 1978 წელს მიიღო „კანონი თანასწორობის სტატუსის შესახებ“.

**ამჟამად კვოტებს აქტიურად იყენებენ პოლიტიკურ სისტემებში, რასაც ადასტურებს 2020 წლის მონაცემები — 130 ქვეყანაში ეს პრინციპია გამოყენებული და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის ჯარიმებია დაწესებული.** მაგალითად, ქალთა 40-პროცენტიანი კვოტის დარღვევისთვის საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო 450 ათასი ევროთი დააჯარიმეს. ნიშანდობლივია, რომ კვოტირების დაწესება შეუძლია დასავლეთის საერთაშორისო კომპანიებს იმ ქვეყნებში, რომლებშიც ოპერირებენ.

და საყვედურის თქმას ვერავინ გაუბედავს.

რადგან ევროკავშირმა მიითვისა „თანასწორუფლებიანობის“ დაწესების უფლება არა მხოლოდ წევრი ქვეყნებისთვის, არამედ იმ ტერიტორიებისთვისაც, რომლებიც არ შედის ევროპის იმპერიის საზღვრებში. მითითება კონკრეტულია და კატეგორიული: **„ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს უნდა ახსოვდეთ, რომ თანასწორობის პრინციპის შესრულება არის ევროპული კანონმდებლობის ძირითადი პრინციპი და, აქედან გამომდინარე, აღჭურვილია პირდაპირი ზემოქმედების უფლებით“.**

ევრობიუროკრატია სწორედ ასეთი დიქტატორული მეთოდებით ნერგავს სოდომელთა კვოტებს და ქვეყნების მიამიტი ხელისუფალნი სიამოვნებით ნებდებიან მათ რეკომენდაცია-მითითებებს, რადგან სრულად არიან მოქცეულნი პედერასტების გავლენის ქვეშ, რომლებსაც არ აინტერესებთ ფიზიკურად მძიმე და ჯანმრთელობისთვის საშიში სამუშაო ადგილები: მმართველობის უფლებით აღჭურვილი და გავლენიანი თანამდებობების ხელში ჩაგდებისთვის იღვწიან.

სხვანაირად ვერ გაისუქებენ უკანალს გაქსუებული მამათმავალნი.

**ლგბტ-კვოტირების პრაქტიკაში უკეთ გასარკვევად ექსპერტები გვთავაზობენ დიდი ბრიტანეთის ტელევიზია ბი-ბი-სის მაგალითს, რომლის პერსონალის 11 პროცენტი ლგბტ-სოდომელია, ხოლო ნორმალური თეთრკანიანი მამაკაცების რაოდენობა 16 პროცენტს არ აღემატება. ასეთია დღეს სახელგანთქმული ბი-ბი-სი, რომელშიც პრაქტიკის გავლით ტრაბახობს ზოგიერთი ბრეტელებიანი ჩვენებური ტელეწამყვანი.**

**შარვალი არ ჩაგძვრეს, ბიჭიკო!**

მაშ, რას წერენ ტელეანალიტიკოსები? დასკვნები, რომლებიც ამ წერილშია თავმოყრილი არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა. უწინარეს ყოვლისა: **დასავლური მასმედია ყოველთვის იყო და რჩება ელექტორალური ჯოგის მართვის და პროპაგანდის აქტიურ და ეფექტიან იარაღად. მასმედიაზე კონტროლის დაწესება ლგბტ-მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რადგან სახელმწიფო ტელემაუწყებლობის აუდიტორია დანარჩენზე გაცილებით მეტია,** ხოლო ბრიტანული რეჟიმი ახალი სოდომის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი და მშენებელია.



**ბრიტანეთში ექსპერტები განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთ ძირითად ტელეარხს: ბი-ბი-სის, მეოთხე არხს, აი-ტი-ვის, სკაისა და ვიაკომს. პირველი ორი ბრიტანეთის მთავრობას ეკუთვნის, რომლებსაც ერთობლივად უმეტესი მაყურებელი ჰყავს და სახელმწიფო პროპაგანდას ავრცელებს არა მხოლოდ ბრიტანეთის საზღვრებში, არამედ მთელ მსოფლიოში. ბი-ბი-სი აღიარებულია დესტრუქციული პროპაგანდისა და ტვინების გამორეცხვის მსოფლიო მედია-კორპორაციად და არსებობს და მოქმედებს ტელევიზორზე დაწესებული გადასახადის ხარჯზე. მოქალაქეების მიერ ამ გადასახადის გადაუხდელობა ციხით ისჯება.** მისი ბიუჯეტი მუდმივად იზრდება და ამჟამად 4 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ამ კორპორაციის საბჭოს შემადგენლობას პირადად **ელისაბედ II** ნიშნავს.

მეოთხე არხის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ 2015 წლის იანვარში განაცხადა, რომ შემოიღებს ახალ კვოტებს, რომლებიც „შეესაბამება“ ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიულ სურათს. მიიჩნიეს, რომ სოდომელების რაოდენობა 6 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს. მეოთხე არხი ცნობილია იმით, რომ მან ბრიტანეთში პირველმა მოაწყო „ტელევიზიაში გეირევოლუცია“. შეიძლება მსოფლიოში პირველმაც.

„გეირევოლუციის“ სიახლე და პროგრესულობა გამოიხატა გადაცემების გაპედერასტებაში — აჩვენებენ პროგრამებსა და ტელესერიალებს სოდომელებზე და სოდომელებისთვის. უფრო ადრე მსგავსი ღონისძიებების შემოღების შესახებ განაცხადეს ბი-ბი-სიმ, აი-ტი-ვიმ და სკაიმ. ბი-ბი-სიმ მიზნად დაისახა, 2020 წლის ბოლომდე 8-პროცენტიანი კვოტები შემოიღოს ხელმძღვანელობისთვისაც.

კომუნიკაციების საკითხების სამმართველოს ბოლო ანგარიშის თანახმად, **ლგბტ-თა წილი პერსონალის საერთო რაოდენობაში შეადგენს: მეოთხე არხში — 8 პროცენტს, აი-ტი-ვიში — 5 პროცენტს, სკაიში — 2 პროცენტს, ვიაკომში — 9 პროცენტს. ბი-ბი-სი ჩემპიონია — 10 პროცენტი პერსონალს შორის და 11 პროცენტი ხელმძღვანელობაში** (2019 წლის აპრილის მონაცემებით). გამჟღავნებულ სოდომელებზეა ლაპარაკი. რამდენია ფარული, ღმერთმა უწყის! **ბრიტანეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური კი იუწყება, რომ ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი შეიძლება მივაკუთვნოთ სქესობრივად აღრეულებს.**

პერსონალის შემადგენლობაში სოდომელების მოძალების ფონზე ბი-ბი-სიმ ეთერში გადაცემების კვოტებიც დაადგინა, რომელთა მიხედვით სოდომელობას მასალების 8 პროცენტი ეთმობა.

სტატისტიკოსები ბი-ბი-სის პროპაგანდისტული ფენის საერთო სურათს ასეთად წარმოგვიდგენენ:

**ხელმძღვანელობა: ქალები — 44 პროცენტი, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობანი — 12 პროცენტი, ლგბტ — 11 პროცენტი, ინვალიდები — 9 პროცენტი. პერსონალი: ქალები — 48 პროცენტი, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობანი — 15 პროცენტი, ლგბტ — 11 პროცენტი, ინვალიდები — 10 პროცენტი (დამრგვალებულია). ამ მონაცემებს თუ შევაჯამებთ, დავინახავთ (და დავრწმუნდებით), რომ ნორმალური თეთრკანიანი მამაკაცების რაოდენობა უმცირესობაა: ხელმძღვანელობაში 24 პროცენტია, პერსონალში — მხოლოდ 16 პროცენტი.**

კიდევ რა არგუმენტებს მოითხოვთ იმის დასამტკიცებლად, რომ სოდომელები წარმოგვიდგებიან დასავლეთის სამყაროს საზოგადოებრიობის საუკეთესო ნაწილად?

ჩვენთან რა ხდება?

ვდუმვართ, როგორც ერთ დროს, როცა ხმას არ ვიღებდით საქართველოში ნარკომანების არსებობაზე. ვდუმდით, სანამ ამ პრობლემის შესწავლას არ შეუდგნენ მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერები **გელა ლეჟავა** (მედიცინა) და **ანზორ გაბიანი** (სოციოლოგია). პირველები საბჭოთა კავშირში.

გჯერათ, რომ დღევანდელ საქართველოშიც გამოჩნდებიან რისკიანი ახალგაზრდები, რომლებიც თავს გადადებენ ამ წერილში მიმოხილული პრობლემური ტენდენციის ნიშნების შესასწავლად?

**ა.ხ.**

**ლგბტ-კვოტირების პრაქტიკაში უკეთ გასარკვევად ექსპერტები გვთავაზობენ დიდი ბრიტანეთის ტელევიზია ბი-ბი-სის მაგალითს, რომლის პერსონალის 11 პროცენტი ლგბტ-სოდომელია, ხოლო ნორმალური თეთრკანიანი მამაკაცების რაოდენობა 16 პროცენტს არ აღემატება. ასეთია დღეს სახელგანთქმული ბი-ბი-სი, რომელშიც პრაქტიკის გავლით ტრაბახობს ზოგიერთი ბრეტელებიანი ჩვენებური ტელეწამყვანი. შარვალი არ ჩაგძვრეს, ბიჭიკო!**

## ანეკდოტები თემაზე

კარლსონი ხშირად დადის გეიკლუბში. მოსწონს იქ დამზადებული კერძები, მუსიკა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის პროპელერი მცირე ბრუნზე აქვს ჩართული.

* * *

უცნაური დრო დაგვიდგა, როცა ზედსართავი სახელი „ცისფერი“ არსებითი სახელი გახდა.

* * *

— რა საყვარელი კნუტია! გოგოა თუ ბიჭი?

— გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტს.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სარეიტინგო სიაში, რომელშიც 138 ქვეყნის არმიების შესაძლებლობებია გაანალიზებული, საქართველოს შეიარაღებული ძალები 89-ე ადგილზეა და მისი ინდექსი 1,6679-ს შეადგენს. სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკებიდან საქართველოს უსწრებს რუსეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ლიეტუვა.**

# მსოფლიოს 8 ყველაზე მძლავრი არმია

## 138 ქვეყნის სიაში საქართველოს შეიარაღებული ძალები 89-ეა

**ანალიტიკური კომპანია Global Firepower-მა მსოფლიოს ქვეყნების არმიების 2020 წლის სარეიტინგო სია გამოაქვეყნა. ექსპერტებმა გააანალიზეს 50-ზე მეტი ისეთი პარამეტრი, როგორებიც არის ფინანსური შესაძლებლობები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მოხმარება, ლოჯისტიკური სერვისების ხარისხი, სამხედრო-საჰაერო, სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო ძალების მდგომარეობა და სხვ.**



Global Firepower-ის სარეიტინგო სიაში, რომელშიც 138 ქვეყნის არმიების შესაძლებლობებია გაანალიზებული, საქართველოს შეიარაღებული ძალები 89-ე ადგილზეა და მისი ინდექსი **1,6679**-ს შეადგენს. სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკებიდან საქართველოს უსწრებს: **რუსეთი** — მე-2 ადგილი, ინდექსი 0,0681; **უკრაინა** — 27-ე ადგილი, ინდექსი 0,4457; **უზბეკეთი** — 52-ე ადგილი, ინდექსი 0,08186; **ბელარუსი** — 53-ე ადგილი, ინდექსი 0,8179; **ყაზახეთი** — 63-ე ადგილი, ინდექსი 0,9098; **აზერბაიჯანი** — 64-ე ადგილი, ინდექსი 0,9463; **თურქმენეთი** — 77-ე ადგილი, ინდექსი 1,3292; **ლიეტუვა** — 83-ე ადგილი, ინდექსი 1,475.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველო უსწრებს **ყირგიზეთს** — 98-ე ადგილი, ინდექსი 1,9244; **ლატვიას** — 102-ე ადგილი, ინდექსი 2,0145; **სომხეთს** — 111-ე ადგილი, ინდექსი 2,1251; **მოლდოვას** — 112-ე ადგილი, ინდექსი 2,12291; **ესტონეთს** — 119-ე ადგილი, ინდექსი 2,5893; ყოფილი საბჭოთა კავშირის მე-15 რესპუბლიკა **ტაჯიკეთი** სიაში შეყვანილი არ არის.

მსოფლიოს 8 მძლავრი არმიის სია კი ასეთია:



### 8. დიდი ბრიტანეთი

უცნობია, როგორ აისახება Brexit-ი ატომური იარაღის მფლობელ სახელმწიფოზე, მაგრამ მისი არმია ერთ-ერთი მძლავრია მსოფლიოში. დიდ ბრიტანეთს მესამე ადგილი უკავია ავიამზიდების რაოდენობით (2), მეხუთე — ფრეგატების (13), მერვე — ნაღმოსანი ხომალდების (13) მიხედვით. ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების განკარგულებაშია 4 ატომური წყალქვეშა ნავი ბალისტიკური რაკეტებით; სამხედრო ბიუჯეტი კი 55,1 მლრდ დოლარს შეადგენს.



### 7. საფრანგეთი

დასავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოს გავლენა მსოფლიოს დიდ ნაწილზე ვრცელდება მეცნიერების, პოლიტიკის, ეკონომიკისა და, უწინარესად, კულტურის მეშვეობით, თუმცა საფრანგეთს სამხედრო სფეროშიც აქვს მიღწევები. ის მსოფლიოში მერვე ადგილზეა ფრეგატების (11) და ნაღმოსანი ხომალდების (17) მიხედვით, მეათე ადგილზეა თავდაცვის ბიუჯეტით — 41.6 მლრდ.



### 6. სამხრეთი კორეა

სამხრეთ კორეის რესპუბლიკის სამხედრო ბიუჯეტი 44 მლრდ დოლარს შეადგენს. ამ ქვეყანას 3,1 მლნ რეზერვისტი ჰყავს და ამ მაჩვენებლით მეორეა მსოფლიოში. სამხრეთი კორეა გამოირჩევა, აგრეთვე, ისეთი პარამეტრებით, როგორიც არის დაჯავშნილი ტექნიკა (მე-4 ადგილი) და თვითმავალი არტილერია (მე-3). ამ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებშია 22 წყალქვეშა ნავი (მე-6), 18 ფრეგატი (მე-5) და 2 ავიამზიდი.



### 5. იაპონია

ტექნიკურად ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყანაში დისკუსია მიმდინარეობს კონსტიტუციის მე-9 მუხლის შეცვლაზე, რომლის მიხედვით იაპონია უარს ამბობს სახმელეთო ჯარის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ფლოტის შექმნასა და საერთაშორისო დაძაბულობის კერებში გამოყენებაზე. იაპონიის არმიას ფორმალურად ჰქვია თავდაცვის ძალები — ამ ძალების შესანახავად ოფიციალურად იხარჯება 49 მლრდ დოლარი. ის საზღვაო პორტებისა და ტერმინალების რაოდენობით (მათი რაოდენობა 44-ია) მსოფლიში პირველია, ხოლო ავიამზიდებისა (4) და საესკადრო ნაღმოსნების (40) მიხედვით — მეორე.



### 4. ინდოეთი

ინდოეთი მოსახლეობით (1,29 მლრდ) მეორე ქვეყანაა მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ; მეორეა სამხედროების რაოდენობისა (1,4 მლნ) და რეზერვისტების (2,1 მლნ) მიხედვითაც. ინდოეთის შეიარაღებულ ძალებს ემსახურება 4292 ტანკი (მე-5 ადგილი), 2123 საფრენი აპარატი (მე-4). სამხედრო ბიუჯეტი კი 61 მლრდ დოლარია.



### 3. ჩინეთი

ჩინეთი წლიდან წლამდე აძლიერებს თავის შეიარაღებულ ძალებს და ასე უპირისპირდება აშშ-ის სწრაფვას, იბატონოს რეგიონზე. ჩინეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა მოსახლეობისა (1,3 მრდ) და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების (2,1 მლნ) რაოდენობით. ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალები ტექნიკის საერთო რაოდენობით მესამეა, საზღვაო ფლოტის ძალები — მეორე. ჩინეთს ჰყავს 3500 ტანკი და 33 ერთეული დაჯავშნილი ტექნიკური საშუალება. სამხედრო ბიუჯეტი 237 მლრდ დოლარია.



### 2. რუსეთი

რუსეთი მსოფლიოს ყველაზე მძლავრ არმიებს შორის მეორეა. ეს სახელმწიფო აქტიური სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობით (1 მლნ) ჩამორჩება ჩინეთსა და ინდოეთს, მეორეა სამხედრო-საჰაერო ტრანსპორტის რაოდენობით (4163 ერთეული), მაგრამ მსოფლიოში პირველია ტანკების (12950), თვითმავალი არტილერიისა (6083) და ზალპური ცეცხლის სისტემებით (3860). რუსეთი, აგრეთვე, პირველია კორვეტებისა და საესკადრო ნაღმოსნების რაოდენობით. აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი მხოლოდ 48 მლრდ დოლარს შეადგენს.




### 1. აშშ

Global Firepower-ის კვლევის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მძლავრი არმია აშშ-ს ჰყავს. ის პირველია სამხედრო ბიუჯეტის (750 მლრდ), სამხედრო-საჰაერო ტექნიკისა (13264 ერთეული) და დაჯავშნილი ტექნიკის (39253 ერთეული) მიხედვით, ტანკების რაოდენობით კი მეორეა (6289 ერთეული).

*** ცნობისთვის:** Global Firepower-ის კვლევაში არ არის მონაცემები ამა თუ იმ ქვეყნის ბირთვული იარაღის შესახებ, ამიტომ ეს მონაცემები სხვადასხვა ინტერნეტრესურსში მოვიძიეთ. ბირთვული ქობინების რაოდენობით მსოფლიოში პირველია **რუსეთი.** მას 7500 ბირთვული ქობინი აქვს; მეორეა **აშშ** — 6800 ქობინი, მესამე — **საფრანგეთი** (300), მეოთხე — **ჩინეთი** (240), მეხუთე — **დიდი ბრიტანეთი** (215), მეექვსე — **ინდოეთი** (110), მეშვიდე — **პაკისტანი** (120), მერვე — **ისრაელი** (80).

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლეგენდარულ გოლიათს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ის იყო გამოჩენილი რესლერი, რომელიც 15 წლის განმავლობაში არ დამარცხებულა. ამასთანავე, იღებდნენ ფილმებში და გამოიმუშავებდა მილიონებს. სვამდა უამრავ ალკოჰოლურ სასმელს, მაგრამ არა რეკორდის დასამყარებლად, არამედ ტკივილის გასაყუჩებლად.**

# «დიადი ლოთი»

## ანდრე გიგანტი რინგზე მილიონებს გამოიმუშავებდა, ტკივილს კი ალკოჰოლით იყუჩებდა

**ანდრე რენე რუსიმოვს, ბულგარულ-პოლონური წარმოშობის ფრანგ ლეგენდარულ რესლერსა (რესლინგი — სპორტის სახეობა, რომელშიც ორი ან რამდენიმე შეუიარაღებელი ადამიანი ერთმანეთს ებრძვის გამარჯვების მოსაპოვებლად. დაფუძნებულია ე.წ. კეტჩზე) და მსახიობს ტყუილუბრალოდ არ ეძახდნენ ანდრე გიგანტს. 224 სმ სიმაღლისა და 240 კგ წონის ათლეტს შეეძლო 10 საათში 41 ლ ლუდი დაელია — ერთხელ 350 მილილიტრი ტევადობის 119 ქილა ლუდს (დაახლოებით 41 ლ) გაავლო მუსრი, რის გამოც „დიადი ლოთი“ შეარქვეს.**

ლეგენდარულ გოლიათს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ის იყო გამოჩენილი რესლერი, რომელიც 15 წლის განმავლობაში არ დამარცხებულა. ამასთანავე, იღებდნენ ფილმებში და გამოიმუშავებდა მილიონებს. სვამდა უამრავ ალკოჰოლურ სასმელს, მაგრამ არა რეკორდის დასამყარებლად, არამედ ტკივილის გასაყუჩებლად.

ანდრე აკრომეგალიით იტანჯებოდა, დაავადებით, რომელიც დაკავშირებულია ჰიპოფიზის მუშაობის დარღვევასთან. ადრეულ ბავშვობაში გიგანტიზმით დაავადდა, 19 წლის ანდრეს სიმაღლე 2 მ და 15 სმ-ს აჭარბებდა.

### ნამდვილი ჯარისკაცი და მუსიკოსი

**ანდრე რენე რუსიმოვი** 1946 წლის 19 მაისს დაიბადა საფრანგეთის ქალაქ გრენობლში მცხოვრები ბულგარელი და პოლონელი ემიგრანტების ოჯახში. 14 წლის ბიჭი 100 კგ-ს იწონიდა და 190 სმ სიმაღლის იყო. შვილის ასეთი გაბარიტების გამო მშობლები არ შეშფოთებულან, რადგან ანდრე ნაყოფიერად შრომობდა ფერმაში. ჭაბუკ გოლიათს სურდა, გიტარაზე დაკვრა ესწავლა, მაგრამ ვერ მოახერხა — თითები ძალიან დიდი და სქელი ჰქონდა. შემდეგ მას კიდევ ერთი იმედგაცრუება ელოდა — სურდა, საფრანგეთის არმიაში ემსახურა, მაგრამ ექიმებმა დაიწუნეს დიდი გაბარიტების გამო.

17 წლის ანდრემ, რომელმაც უკვე იცოდა, რომ აკრომეგალია სჭირდა, გადაწყვიტა, რესლინგით დაკავებულიყო.

### მსოფლიოს მერვე საოცრება

ჭაბუკი მოჭიდავე შეხვედრებს მართავდა საფრანგეთში და მეტოქეებს გამუდმებით ამარცხებდა — ფრანგი გოლიათის წაქცევას ვერავინ ახერხებდა. სწორედ იმ პერიოდში შეამჩნია ანდრე ფრანგ-კანადელმა მოჭიდავე **ედუარდ კარპანტიემ.** მან დაარწმუნა ანდრეს მშობლები, საცხოვრებლად გადასულიყვნენ კანადაში, სადაც ანდრეს დიდი წარმატება ელოდა. ასე აღმოჩნდა ანდრე ჩრდილოეთ ამერიკაში. ცოტა ხნის შემდეგ მან რესლინგის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელ **ვინს მაკმენის** ყურადღება მიიპყრო. 1972 წლის შემდეგ, სახელდობრ, მაკმენი იდგა ანდრე რუსიმოვის ყველა წარმატების უკან. ანდრეს მეტსახელი გიგანტიც მაკმენმა შეარქვა, თუმცა მსოფლიოს მერვე საოცრებასაც ეძახდნენ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთ ორთაბრძოლაში არ დამარცხებულა (ასეთი ორთაბრძოლები ათასზე მეტი იყო), არამედ იმიტომაც, რომ წარმოუდგენელი რაოდენობის ალკოჰოლის დალევა შეეძლო. ალკოჰოლი ანდრე გიგანტზე არ მოქმედებდა.





მუჰამედ ალი და ანდრე გიგანტი





ლუდის ქილა ანდრე გიგანტის ხელში



### სიკვდილი სასტუმროში

ანდრე გიგანტი ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე რესლერი იყო, მეგობრობდა გამოჩენილ სპორტსმენებსა და მსახიობებთან — **მოჰამედ ალისთან, არნოლდ შვარცენეგერთან, პიტერ მაივიასთან** (ჰოლივუდის ამჟამინდელი გმირის — **დუეინ ჯონსონის** ბაბუა).

ანდრეს ხშირად იწვევდნენ კინოში გადასაღებად და კინემატოგრაფში მან მოულოდნელად იპოვა თავისი მოწოდება. ანდრემ 1987 და 1988 წლებში ორი ორთაბრძოლა გამართა სახელგანთქმულ რესლერ **ჰალკ ჰოგანთან.** ორივე ორთაბრძოლამ გიგანტს დიდძალი ფულადი შემოსავალი მოუტანა. ორთაბრძოლებთან ერთად ანდრე ალკოჰოლის მოღებასაც განაგრძობდა. იმხანად უკვე იწონიდა 240 კგ-ს, რის გამოც იმ საყოფაცხოვრებო მომსახურებებით ვერ სარგებლობდა, რომლებითაც ჩვეულებრივი ადამიანები. თვითმფრინავით რომ ემგზავრა 2 ბილეთი უნდა შეეძინა, ლაინერის ტუალეტში კი ვერ შედიოდა. გიგანტი რესლერი შეჯიბრებებზე ჩვეულებრივი ავტომობილით ვერ გადაადგილდებოდა და ვინს მაკმენმა მისთვის ტრაილერისგან სპეციალური ავტომობილი შექმნა. პირადი მოხმარებისთვის კი ანდრე გადაკეთებული „კადილაკით“ მოძრაობდა. მისი რანჩო ჩრდილოეთ კაროლინაში ადაპტირებული იყო გოლიათის ზომებთან.

ანდრემ იცოდა, რომ მის გულს არ შეეძლო, დიდხანს მომსახურებოდა გიგანტურ ორგანიზმს. ექიმებმა მას ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს, მაგრამ ანდრემ უარი განაცხადა. მედიკოსებმა გააფრთხილეს, რომ დროთა განმავლობაში მას დაეწყებოდა ტკივილი ზურგის არეში და მუხლებში, მაგრამ გოლიათმა გადაწყვიტა, რომ ამ ტკივილებთან ერთად იცხოვრებდა სიცოცხლის ბოლომდე. ანდრე გიგანტი 1993 წელს გარდაიცვალა პარიზში, სადაც მამის დაკრძალვაზე ჩავიდა. ანდრე სასტუმროში მოკვდა. სიკვდილის მიზეზი გულის უკმარისობა იყო.

ანდრეს ქონება — რამდენიმე მილიონი დოლარი — დარჩა ქალიშვილ **რამონას,** რომელსაც ანდრე არ აღიარებდა, რადგან დაქორწინებული არ ყოფილა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



# კატალონიაში საპროტესტო აქციაზე ესპანეთის მეფის პორტრეტები დაწვეს

**წარმომადგენლებმა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც ესპანეთისგან კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდიან, ბარსელონაში საპროტესტო აქციების სერია მოაწყვეს რეგიონში ესპანეთის მეფე ფილიპე VI-ის ვიზიტის გამო.**

მონარქი კატალონიაში ჩავიდა ღონისძიება Barcelona New Economy Week-ის ფარგლებში პრემიების გადასაცემად. საპროტესტო აქციების გამართვის საბაბთა შორის არის ესპანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით რეგიონის მთავრობის ხელმძღვანელ კიმ ტორას 18 თვით აეკძალა სახელმწიფო მნიშვნელობის პოსტის დაკავება; აგრეთვე, 2017 წელს დამოუკიდებლობის საკითხზე გამართული, თუმცა არაღიარებული რეფერენდუმის წლისთავი.

**rtvi.com -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# რომის პაპის საიდუმლო ანგარიშიდან 20 მლნ გირვანქა სტერლინგი მოიპარეს

## საიდან ამხელა თანხა მღვდელმსახურს?!



**ვატიკანში ძებნა გამოაცხადეს პირებზე, რომლებმაც რომის პაპ ფრანცისკეს 20 მლნ გირვანქა სტერლინგი მოჰპარეს. ეს უზარმაზარი თანხა რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლის ანგარიშიდან მოიპარეს.**

სამართალდამცველები ამტკიცებენ — ანგარიში საიდუმლო იყო. ზოგიერთი კი სვამს კითხვებს — საიდან ამხელა თანხა მღვდელმსახურს და რატომ იყო ის ინგლისურ ვალუტაში? ნუთუ ინგლისის დედოფალმა დაუნიშნა მას უზარმაზარი ხელფასი?

ვატიკანმა უკვე დაიწყო თავის მართლება და განაცხადა, რომ ეს თანხა გადანახული იყო ლონდონში შენობის შესაძენად, მაგრამ რატომ ირიცხებოდა 20 მლნ გირვანქა სტერლინგი რომის პაპის პირად ანგარიშზე, არავის აუხსნია. ახლა ჟურნალისტები ცდილობენ, დაადგინონ, კიდევ რა ოდენობის თანხა დარჩა რომის პაპის საიდუმლო ანგარიშზე.

**korespondent.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ჰიპერბგერითი «ცირკონი» პირველად გამოიყენეს საზღვაო მიზნებისთვის



**რუსული ჰიპერბგერითი რაკეტა „ცირკონი“ პირველად გამოიყენეს საზღვაო მიზნების დასაზიანებლად. პერსპექტიული რაკეტა გაუშვეს ფრეგატ „ადმირალ გორშკოვის“ ბორტიდან და მან წარმატებით დააზიანა 450 კმ-ით დაშორებული მიზანი.**

ეს რაკეტის მეორე გამოცდა იყო მიზნის დაზიანებით. პირველი გამოცდა 2020 წლის იანვარში მოეწყო და ისიც წარმატებით დასრულდა. პირველ შემთხვევაში რაკეტამ 500 კმ-ით დაშორებული მიზანი დააზიანა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ცირკონის“ მაქსიმალური სიჩქარე 1,6 კმ/წმ იყო, მაქსიმალური სიმაღლე — 28 კმ. მიზნამდე მისაღწევად რაკეტას 4,5 წთ დასჭირდა.

**topoor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# პორტლენდში არეულობის მონაწილეებმა თეოდორ რუზველტისა და აბრაამ ლინკოლნის ძეგლები ჩამოაგდეს და «მრისხანების დღე» გამოაცხადეს



**Associated Press-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, არეულობის მონაწილეებმა ქრისტეფორე კოლუმბის ამერიკაში ჩასვლის დღის, 12 ოქტომბრის დღესასწაული — „მკვიდრი ხალხის დღე“ — „მკვიდრი ხალხის მრისხანების დღით“ ჩაანაცვლეს, რადგან აქტივისტები კოლუმბს ადგილობრივი ამერიკელების გენოციდის ქმედებებში ადანაშაულებენ.**

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაახლოებით 200-მა ადამიანმა პორტლენდის ცენტრში მსვლელობა მოაწყო. მათ საღებავებით დაამახინჯეს ძეგლები და ჯაჭვის გამოყენებით კვარცხლბეკებიდან ჩამოაგდეს. ორეგონის ისტორიული საზოგადოების შენობას კი მინები ჩაუმტვრიეს. იმავე გაიმეორეს პორტლენდის სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსის პოლიციის განყოფილებასთან.

პოლიციამ განაცხადა, რომ ყველას, ვინც ჩართული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში, მათ შორის ვანდალიზმში, დააპატიმრებენ.

**alt-info.com**

# «ჯორჯ სოროსი არასამთავრობო ორგანიზაციების მაფიოზური ქსელის ხელმძღვანელია»



**უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმა გლობალისტ მილიარდერ ჯორჯ სოროსს არასამთავრობო ორგანიზაციების უზარმაზარი მაფიოზური ქსელის ხელმძღვანელი უწოდა, რომელიც ევროპის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას პრობლემას უქმნის.**

ორბანის განცხადებით, სოროსი არის მდიდარი ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს უმაღლეს არსებად მიიჩნევს, მართავს ბრიუსელის პოლიტიკას და ევროპაში ყოველწლიურად 1 მილიონი მიგრანტის შეყვანას ცდილობს. **„ის ამას ძალით მიაღწევს, თუ საჭირო შეიქნა, ევროპელი ხალხის ნების საწინააღმდეგოდაც კი“**, — განაცხადა უნგრეთის პრემიერმინისტრმა. **„მიზეზი, რატომაც ორბანი ასეთი გაბრაზებულია უნგრეთზე და პერსონალურად ჩემზე, არის ის, რომ ჩვენ მის გრანდიოზულ ბიზნესგეგმას წინ ველობებით“**, — განაცხადა ორბანმა.

**alt-info.com**

# ამერიკელთა უმრავლესობა ამბობს, რომ დონალდ ტრამპის მმართველობის პირობებში უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ბარაკ ობამასა და ჯორჯ ბუშის პირველი ვადის დასასრულს

**აშშ-ში ჩატარებული ახალი გამოკითხვის თანახმად, მეტი ამერიკელი ამბობს, რომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ოთხწლიანი მმართველობის პირობებში უფრო უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ყოფილი პრეზიდენტების — ბარაკ ობამასა და ჯორჯ ბუშის პირველი ვადის დასასრულს.** კვლევა ავტორიტეტულმა ამერიკულმა კომპანია Gallup-მა ჩაატარა. გამოკითხვის თანახმად, რეგისტრირებული ამომრჩევლების უმრავლესობა — 56% მიიჩნევს, რომ ახლა უკეთ ცხოვრობს, ვიდრე 4 წლის წინათ.

**alt-info.com**





**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი კოლეგისა და მეგობრის, საქინფორმის მთავარი რედაქტორის — არნო ხიდირბეგიშვილის მამა, მოღვაწე ადამიანი, ღირსეული პიროვნება და ძირძველი თბილისელი**

**ალბერტ (აბესალომ) ხიდირბეგიშვილი**

**და გულწრფელად უსამძიმრებენ მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894